

დანიელი რეჟისორი ამერიკის პრეზიდენტით უკმაყოფილოა B1



ცხადაძის „ოქროს გაზაფხული„ B4



სენტ პატრიკ სასწაულმოქმედი B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 31 მაისი, 2005 წელი. №120 (980)

ფასი 50 თეთრი

# დღეიდან გაყვანის რეჟიმში

ნინო გომართელი

*ათწლიანი დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, გუშინ საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო ბაზების თაობაზე შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. ორი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა, სალომე ზურაბიშვილმა და სერგეი ლავროვმა გუშინ გამართული მოლაპარაკების შემდეგ ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის ერთობლივ განცხადებას. რუსული სამხედრო ბაზები 2008 წლის განმავლობაში საბოლოოდ დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას.*

**"რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანა 2008 წლის განმავლობაში დასრულდება,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მის ქართველ კოლეგასთან სალომე ზურაბიშვილთან გამართული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ.

მოლაპარაკებათა შედეგად, მხარეებმა ერთობლივ განცხადებას მოაწერეს ხელი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს არეგულირებს.

ლავროვის თქმით, აღნიშნული განცხადებით ის საკითხები წყდება, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მოუგვარებელი იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე



*სალომე ზურაბიშვილისა და სერგეი ლავროვის ერთობლივი პრესკონფერენცია მოსკოვში.*

## პარლამენტში ცესკოს "დღეები" იწყება

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ პარლამენტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობისა და თავმჯდომარეობის კანდიდატები წარუდგინა. ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე შეთავაზებულია იუსტიციის საბჭოს აპარატის თანამშრომლის, გია ქავთარაძის კანდიდატურა, რომელსაც ინდიანას (აშშ) უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული სამართლის განხრით.

რაც შეეხება ცესკოს წევრობის კანდიდატებს, პრეზიდენტმა პარლამენტს 6 ვაკანტურ თანამდებობაზე 12 კანდიდატი წარუდგინა. მათგან შერჩეულ ექვსეულს პარლამენტი უახლოეს პერიოდში დაამტკიცებს.

პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატები არიან: გიორგი არეშიძე (ქიმიკოსი), ავთანდილ ბერიშვილი (მათემატიკოსი), ლუხუმ ბურჯალიანი (სამართალმცოდნე), გურამ გაჩეჩილაძე (ინჟინერი), გიზო მჭედლიძე (ინჟინერი), გურამ პაპიაშვილი (იურისტი), ნაზი ტყებუჩავა (აგროქიმიკოსი), ემზარ ფაჟავა (ისტორიკოსი), ნოდარ ფოფორაძე (გეოლოგი), თამარ ფაროსანიძე (სახელმწიფო მართვის სამსახური, დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტი), ალექსანდრე ლონღაძე (ფიზიკოსი) და გურამ ვაგალაშვილი (იურისტი).

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნული კანდიდატურები 14 დღეში უნდა განიხილოს და უყაროს კენჭი. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საამისო თადარიგი უკვე დაიჭირეს და ფრაქციებსა და კომიტეტებში მომავალ ცესკო-ელებთან შეხვედრების გრაფიკის შედგენას შეუდგნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სომხეთის "ატომური" დილემა

სოფო ბუკია, *თბილისი*
ქერობ სარქისიანი, *ერევანი*
იდრაკ აბასოვი, *ბაქო*
*(IWPR კავკასიის ბიურო)*

*მოძველებული ატომური ელექტროსადგური სომხეთის ძირითადი ენერგოწყაროა, თუმცა მისი გეოლოგიური და პოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო, სომხეთის აეს-ის მომავალი გაურკვეველია.*

მეწამურის ატომურ ელექტროსადგურს სომხეთის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მის ფარგლებს გარეთ კი იგი ცხარე კამათის საგნად იქცა.

ვინაიდან ქვეყანაში მოხმარებული ენერგიის 40 პროცენტს სწორედ აეს-ი უზრუნველყოფს, სომხეთში დარწმუნებულები არიან, რომ ატომური საგდურის გარეშე ძალიან გაუჭირდებათ. სომხეთის მოქალაქეები ეგუებიან იმ ფაქტსაც, რომ სადგური, რომელსაც სადაცაა 30 წელი შეუსრულდება, სეისმური აქტივობის ზონაში მდებარეობს.

"მე აეს-ზე, წლებია, ვმუშაობ. იგი ისეთივე რისკს შეიცავს, როგორც ყველა აეს-ი მსოფლიოში. რაიმე დამატებით საშიშროებას ვერ ვხედავ. ცხადია, უკეთესია ცხოვრობდე ატომური ელექტროსადგურიდან მოშორებით, მით უმეტეს, რომ ნარჩენები აეს-ის ტერიტორიაზე ინახება, მაგრამ მე ჩემი სპეციალობით მინდა ვიმუშაო, თან, ოჯახიც ხომ უნდა ვარჩინო..." - ამბობს მეწამურის სადგურის თანამშრომელი არაიკ ოვსეპიანი.

მეწამური 1976 წელსაა აშენებული და ორი ენერგობლოკისგან შედგება. იგი მდებარეობს ტექტონური რყევების იმ საშიში ზოლის მახლობლად, რომელიც სპიტაკის დამანგრეველი მიწისძვრის მიზეზი გახდა და 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რაიონი, სადაც სომხეთის აეს-ი მდებარეობს, ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია. სომხეთის დედაქალაქიდან ატომური სადგური 30 კილომეტრითაა დაშორებული.

დღეისათვის, სადგურის მხოლოდ ერთი - 440 მეგავატის სიმძლავრის ენერგობლოკი მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი ობიექტის სრულ დახურვას ითხოვს. აღნიშნული მოთხოვნის არგუმენტად ევროსტრუქტურა სადგურის ადგილმდებარეობას, მის ასაკს და ასევე იმ ფაქტს ასახელებს, რომ ატომურ სადგურს საჭირო საწვავი საჰაერო გზით მიეწოდება.

მეწამურის ატომური ელექტროსადგურის ფუნქციონირება, რომლის მართვასაც ამჟამად რუსული კომპანია-გიგანტი "რაო ეეს"-ი ახორციელებს, სომხეთის მეზობელი ქვეყნების შეშფოთებასაც იწვევს. "სომხეთ-თურქეთის საზღვარს სადგური, სულ რაღაც, 16 კილომეტრითაა დაშორებული, ირანს - 60 კილომეტრით, აზერბაიჯანს და საქართველოს კი - 150 კილომეტრზე ნაკლებით," - აცხადებს აზერბაიჯანის სეისმოლოგიური ცენტრის დირექტორი იეთირმიშლი კურბანი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## თამარაშენში მომხდარ შეტაკებაში ქართული მხარე ოს სეპარატისტებს ადანაშაულებს

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, თამარაშენის საგუშაგოზე მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირების კონკრეტული დეტალები ჯერჯერობით კვლავ გასაიდუმლოებულია.*

ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჯავიდან ცხინვალის მიმართულებით მოძრავი "უაზის" ტიპის ავტომანქანიდან შეიარაღებულმა ფორმიანებმა ცეცხლი გაუხსნეს ქურთის პოლიციის შენობას. ამის შემდეგ "უაზს" გზა გადაუკეტა თამარაშენის პოსტზე დისლოცირებული პოლიციის ჯგუფმა.

ორმხრივი სროლის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო სამმა ქართველმა პოლიციელმა. ერთ-ერთი მათგანი, ქურთის პოლიციის განყოფილების თანამშრომელი, ორი შვილის მამა, სოფელ სვირში მცხოვრები, 25 წლის როლანდ ხეთაგაშვილი შემოვლითი გზით გორის საავადმყოფოში გადაყვანისას გარდაიცვალა. რაც შეეხება დანარჩენ ორ დაჭრილ პოლიციელს - დავით გოგიძესა და დავით შერაზადაშვილს, ორივე მათგანი ქურთის საავადმყოფოშია მოთავსებული. როგორც ექიმები აცხადებენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ოსური მხრიდან ოთხი ადამიანია გარდაცვლილი. ოთხივე მათგანის გვამები ღამის სამ საათზე ცხინვალში გადაიტანეს. სოფელ ქურთაში ჩასულები იყვნენ დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი ერგნეთის საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა ოს ძალოვნებს, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ახლად დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრს მიხეილ მინზაევს; ასევე - კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

# პროგნოზი გამართლდა

## საფრანგეთმა დიდი ევროპული იდეა ჩააგდო

ხათუნა გაბიევი

*30 მაისი. ევროპის ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით საფრანგეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები: "არა" - 54.86 პროცენტი, "დიახ" - 45.14 პროცენტი. ევროპის სივრცის ერთიანი ვალუტის - ევროს საგრძნობლად დაწეული კურსი და ევროკავშირში წარმოქმნილი ლეგიტიმური კრიზისი.*

არასასურველი პროგნოზი გამართლდა და საფრანგეთში გაფართოებული ევროკავშირის ახალი ერთიანი უზენაესი კანონის იდეა ჩავარდა. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობა მაღალი იყო - რეფერენდუმში მონაწილეობა ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა, დაახლოებით, 70-მა პროცენტმა მიიღო. შინაგან საქმეთა მინისტრის დომინიკ დე ვილპენის თქმით, ევროკონსტიტუციის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო სოფლად, ვიდრე - ქალაქებში.

გაგრძელება A5 გვერდზე




*ეროვნულობის გამძაფრებული შეგრძნება.*

## ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი „24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A7

## ამინდი

| | 31/05 | 1 /06 | 2 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 31 | 27 | 32 |
| ქუთაისი | 32 | 27 | 29 |
| ბათუმი | 28 | 26 | 26 |
| სოხუმი | 31 | 27 | 23 |
| ფოთი | 31 | 28 | 28 |
| თელავი | 30 | 27 | 31 |
| ზუგდიდი | 33 | 30 | 29 |
| გორი | 26 | 22 | 26 |
| ახმეტა | 30 | 27 | 31 |
| ჭიათურა | 29 | 24 | 27 |
| გაგრა | 30 | 26 | 24 |
| სამტრედია | 32 | 28 | 30 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8270 |
| ევრო | 2.2868 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.3315 |
| რუბლი | 0.0650 |

| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# რას იცავს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი

## სახელმწიფო ინტერესებს თუ არალეგალურ შემოსავლებს?

*"ამ საკანონმდებლო ცვლილებით ქვეყნის უსაფრთხოებას შეიძლება, პრობლემები შეექმნას. "სახელმწიფო დაცვის შესახებ" კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასაზღვრო ზოლი ხელშეუხებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასაზღვრო რეჟიმის განხორციელება შეფერხდება," - აცხადებს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსი ეკა გიგაური. "ძალიან საეჭვო მოტივია იმის თქმა, რომ ეს ცვლილება ხელს შეუშლის საზღვრის გაკონტროლებას. თუ რომელიმე ბიუროკრატიულ სტრუქტურას სურს, ამ აბსოლუტურად გაუგებარი რეგულირების შენარჩუნებით არალეგალური შემოსავალი ჰქონდეს, ჩვენ ამას არ დავუშვებთ," - ამ სიტყვების ავტორი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგა ბოკერია, არა უბრალოდ ოპონირებას უწევს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირს, არამედ დეპარტამენტის და მთელი მთავრობის მისამართით მკაცრ განცხადებას აკეთებს: "მძიმე რეალობად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ მთავრობის პოზიცია ერთია, ხოლო მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს. ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს როგორც მთავრობას მთლიანად, ასევე, კონკრეტულად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს." დავის საგანია პარლამენტში ორი მოსმენით განხილული კანონპროექტი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე. კერძოდ, საქმე ეხება ცვლილებათა იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები კერძო საკუთრებაში გადადის.*

ვერიკო თევზაძე

გიგა ბოკერიას აზრით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს არ გააჩნია სერიოზული არგუმენტაცია იმის შესახებ, რომ საკანონმდებლო ცვლილება ნამდვილად შეაფერხებს საზღვრის გაკონტროლებას. ეკა გიგაური "24 საათთან" საუბრისას შეეცადა, თავისი პოზიცია კონკრეტული მაგალითებით გაემყარებინა: **"დავუშვათ, ხდება საზღვრის პატრულირება. აზერბაიჯანთან და სომხეთთან საზღვრის მონაკვეთი, ეს არის შემოვლითი გზები. აქ შეიძლება, შემოვიდეს კონტრაბანდა. როგორ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიის გაკონტროლება? ყველა პატარა ბილიკზე საგუშაგოს ხომ ვერ დავდგამ! კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე კი მეპატრონეს შეუძლია, არ შეგიშვას და პრობლემა იქმნება."**

ეკა გიგაურის განმარტებით, პრობლემას ისიც ართულებს, რომ თურქეთის გარდა, არც ერთ მოსაზღვრე ქვეყანასთან არ არის საზღვარი დადგენილი.

სრულიად განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ირაკლი მჭედლიშვილი: **"ამ ცვლილებას არანაირი კავშირი არ აქვს უსაფრთხოების ზომებთან. მე მგონია, რომ ზოლი - ეს საბჭოთა დროიდან არის შემორჩენილი. პრობლემის მოგვარება ადვილად შეიძლება. მესაზღვრეებს შეუძლიათ, კონკრეტული პროექტი გააკეთონ პოსტების განლაგებასთან, თავიანთი მოქმედებების გატარებასთან დაკავშირებით. ის, რომ საზღვრები დაუდგენელია, ან საზღვარზე არსებულმა მდინარე ალაზანმა შეიძლება, კალაპოტი შეიცვალოს, ზოლს არანაირად არ უკავშირდება. სასაზღვრო ზოლი ამ შემთხვევებში არაფერ შუაშია. უნდა მოხდეს საზღვრების დემილიტაცია, კოორდინატები განისაზღვრება ახალი მეთოდებით, ამის გაკეთება თანამგზავრების საშუალებით შეიძლება. საზღვრის დადგენა, უბრალოდ, დიპლომატიური პროცესია. ორ ქვეყანას შორის შეთანხმების შემდეგ ყველანაირი პრობლემა მოიხსნება. ერთადერთი, რა პრობლემაც შეიძლება წარმოიშვას, ეს გახლავთ ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა, როცა საზღვრის დამრღვევი კერძო პირის მიწაზე იმყოფება და მესაზღვრემ იგი უნდა დაიჭიროს. ასეთ ვითარებაში, ბოლო-ბოლო, შეიძლება მეპატრონეს კომპენსაცია გადაუხადოს,"**

გიგა ბოკერია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცვლილება ეხება მხოლოდ სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების იმ მიწებს, რომელიც დღეისთვის იჯარით არის გაცემული. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ამას, ფაქტობრივად, მთელი სასაზღვრო ზოლის ანულირებად აღიქვამს.

პარლამენტარ რომან კუსიანის და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მოსაზრებები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. კუსიანის განცხადებით, არც სასაზღვრო ზოლის და არც სასაზღვრო ზონის კერძო საკუთრებაში გადაცემა არ შეიძლება, მაშინ როცა საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სასაზღვრო ზონაში კერძო საკუთრების არსებობას ბუნებრივად მიიჩნევს.

სამხედრო ექსპერტმა კახა კაციტაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომპეტენტური არ არის, არც ცვლილებათა პროექტს იცნობს. ერთადერთი, რისი თქმაც ბატონ კაციტაძეს შეუძლია: **"კერძო საკუთრება არის ხელშეუხებელი. ეს კოლიზია ჩნდება. იგი კანონმდებლობამ უნდა დაარეგულიროს."** კახა კაციტაძის აზრით, ამ შემთხვევაში თავიდანვე უნდა განისაზღვროს, ფუნქციურად რომელი უწყება აკონტროლებს საზღვარს, პოლიციური უწყება თუ სამხედრო.

რამდენიმე სამხედრო ექსპერტმა ჩვენთან კერძო საუბარში განაცხადა, რომ **"ასეთი სერიოზული საკითხის ნაჩქარევად გადაწყვეტა შეუძლებელია, განსაკუთრებით კი დღეს, როცა სახელმწიფო უსაფრთხოების მექანიზმი, ფაქტობრივად, არ მუშაობს. ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს მყარი არგუმენტები".**

გიგა ბოკერიას განცხადებით, კანონპროექტი არანაირ სადავო საკითხს არ ბადებს. **"მეტიც, თუკი მომავალში აღმოჩნდა, რომ კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა სახელმწიფოს აუცილებლად დასჭირდა, კომპენსაციის გადახდის შედეგად, მიწის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების სრული სამართლებრივი საფუძველი არსებობს,"** - განმარტავს ბოკერია.

გიგა ბოკერია ბევრად უფრო კატეგორიულია, ვიდრე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე: **"კიდევ ერთხელ ვიმორებ, მოგონილი მიზეზია, თითქოს ეს რეფორმა საფრთხეს შეუქმნის საზღვრის დაცვის ამოცანებს."** ეკა გიგაური, უბრალოდ, დასძენს: **"ჩვენ ჩვენი მოსაზრებები გვაქვს, რა თქმა უნდა, მათაც (ოპონენტებსაც) აქვთ თავიანთი პოზიცია."**

კანონპროექტს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე პარლამენტი, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში - სამშაბათს ან ოთხშაბათს განიხილავს.

# პარლამენტში ცესკოს "დღეები" იწყება



*ბიუროს გადაწყვეტილებით, "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" განხილვა გადაიდო.*

პირველი გვერდიდან

თავად კანდიდატურებზე მსჯელობა კი არ ყოფილა, რადგან ბიუროს სხდომის მიმდინარეობისას მათი ვინაობა დეპუტატებისთვის უცნობი იყო.

სამაგიეროდ, ბიუროს წევრებმა გუშინ საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს მიმდინარე კვირის პლენარული სხდომის დღის წესრიგის შედგენას, რომელიც საკმაოდ გადატვირთულია და 70-ზე მეტი კანონპროექტით არის წარმოდგენილი.

ბიუროს გადაწყვეტილებით, გადაიდო "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" განხილვა. მიზეზი: თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებიც ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციაში შედიან, ბრიუსელში იმყოფებიან, მათი მონაწილეობის გარეშე კი ასეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მსჯელობა მიზანშეუწონელია.

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მთავრობისგან მოითხოვეს, რომ "მაგთის" მიერ სიხშირეების ლიცენზიის შესაძენად გაღებული 26 მილიონი ლარი ომის ვეტერანების, რეპრესირებულებისა და მსგავსი კატეგორიის ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდეს.

მთავრობისა და პარლამენტის გზები ხუთშაბათს კიდევ ერთხელ გადაიკვეთება: სამთავრობო საათზე მოწვეული არიან თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს აფრთხილებს, რომ ძველი პრაქტიკა დაივიწყონ და საკანონმდებლო ორგანოში, მინისტრის მოადგილეების ნაცვლად, უწყების პირველი პირები გამოაგზავნონ.

*24 საათი*

# შეუსრულებელი მისია

თამარ მაისურაძე

"არავის უნდა ეთქვას საზღვრის გადაკვეთაზე უარი, თუ მის ქვეყანაში არ დაედგომება," - ეს გახლავთ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკ-ი) მანდატი, რომელიც რამდენიმე წელია, რაც საქართველოშიც ხორციელდება. საქართველოში ლტოლვილის და დევნილის ცნება გაიგივებულია. სინამდვილეში, დევნილი არის მის ქვეყანაში ერთი ადგილიდან სხვა ადგილას იძულებით გადაადგილებული პირი, ხოლო ლტოლვილი არის პიროვნება, რომელიც რასის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსისა თუ სოციალური მდგომარეობის გამო იძულებულია, ერთი ქვეყნიდან მეორეში თავშესაფრის მოთხოვნით გადავიდეს.

საქართველო გაერო-ს წევრი 191 ქვეყნიდან ერთ-ერთია, რომელმაც გამოთქვა კეთილი ნება ლტოლვილებისთვის თავშესაფრის მიცემის თაობაზე. ცნობისთვის, მსგავსი ჟესტი ზემოთ ნახსენები 191 ქვეყნიდან მხოლოდ 21 ქვეყნის ხელისუფლებამ გააკეთა. სწორედ ქართული სახელმწიფოს ლტოლვილების მიმართ დამოკიდებულებას მიეძღვნა სემინარი "გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის როლი", რომელიც თავად ამ ორგანიზაციის წევრებმა ჩაატარეს.

1993 წელს, საქართველოს მთავრობასა და გაერო-ს უმაღლეს კომისარიატს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მკაფიოდ განისაზღვრა ორივე მხარის უფლებები და მოვალეობები. ამდენად, საქართველომ თავის თავზე აიღო ვალდებულება - პირს, რომელმაც საზღვარი მისივე უსაფრთხოებისთვის გადმოკვეთა, საქართველოს მთავრობამ თავშესაფარი უნდა მისცეს.

თავის მხრივ, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი იღებს ვალდებულებას, რომ დაეხმარება ლტოლვილს ადგილობრივ გარემოში ინტეგრაციაში, ასევე ნებაყოფლობით რეპატრიაციაში. თუ რეპატრიაცია ვერ ხერხდება სხვადასხვა მიზეზების გამო, ხოლო მიმღებ ქვეყანას არა აქვს იმის სოციალური პირობები, რომ ლტოლვილი შეიფაროს, ალტერნატივა მესამე ქვეყანაში რეპატრიაციაა. მსგავსი ფაქტები ძალიან იშვიათად ფიქსირდება. ამავდროულად, მესამე ქვეყანაში რეპატრიაცია გაერო-ს პრეროგატივა არ გახლავთ. ამ შემთხვევაში, ლტოლვილის გადაადგილება თავად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. საქართველოს რეალობიდან მაგალითების მოყვანა ძნელია. იმ შემთხვევაში, თუ მესაზღვრეებმა ლტოლვილი დააკავეს, მისთვის საქართველოს გზა დაკეტილია. "გლუკ"-ის წევრები ამას მესაზღვრეების უცოდინრობით ხსნიან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 1951 წლის კონვენციას (რომელიც ლტოლვილთა დაცვას გულისხმობს) რამდენიმე წლის წინ მოაწერა ხელი და ლტოლვილთათვის თავშესაფარი ქვეყნის სტატუსი იტვირთა, საქართველოში ამ სტატუსით მხოლოდ 17 ადამიანი სარგებლობს, რომელთაც ლტოლვილის სტატუსი 1999 წლამდე მიიღეს. როგორც წესი, კონვენციაზე ხელმოწერის შემდეგ თითოეული სახელმწიფო თავად ადგენს კვოტებს, თუ რამდენი დევნილის შეფარებას შეძლებს. ეს საკითხი ამა თუ იმ სახელმწიფოს სუვერენული უფლება და კეთილი ნებაა. საქართველოს ეს კვოტა არ აქვს გათვლილი.

თავად კანონი "ლტოლვილთა შესახებ" 1998 წლის თებერვალშია მიღებული. 15 მუხლისგან შემდგარ კანონში, მართალია, მოგვიანებით, შესწორებები შეიტანეს, თუმცა კანონი მაინც სერიოზულად დასახვეწია.

რაც შეეხება თავად ლტოლვილებს, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ეროვნების მოსახლეობის ჩასახლების შემდეგ ოფიციალურად 7 ათას 800 ადამიანს ასახელებდნენ. აქ შედიოდა სხვა ეროვნების მოსახლეობაც. გასულ წელს 1700 მათგანს ჩამოერთვა ლტოლვილის სტატუსი. ეს ციფრები სავარაუდოა, რეალური რიცხვების დასახელებისგან ყველა თავს იკავებს, რადგან საქართველოში მცხოვრებ ლტოლვილთა რაოდენობა ზუსტად არავინ იცის. 2005 წლის მარტის თვის მონაცემებით, საქართველოში 2548 ლტოლვილი ცხოვრობდა, მათგან ჩეჩენი მხოლოდ 909 იყო.

როგორც "გლუკ"-ის წევრები აცხადებენ, მსოფლიოში, ზოგადად, ლტოლვილთა რაოდენობის შემცირების დინამიკა შეინიშნება. მათივე ინფორმაციით, გასულ წელს საგრძნობლად გაიზარდა ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საბერძნეთში. პროცენტულად კი ლტოლვილთა ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთში ცხოვრობს, რასაც ჩეჩნეთის მოვლენებით ხსნიან.

# ერთ თვეში დამატებული ღირებულების გადასახადი 18 პროცენტამდე შემცირდება

ერთ თვეში დამატებული ღირებულების გადასახადი 18 პროცენტამდე შემცირდება.

როგორც "ინტერ-პრესს" საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით გალეგაშვილმა განუცხადა, მთავრობა არ აპირებს, პარლამენტს 20-პროცენტიანი დღგ-ს ძალაში დატოვება სთხოვოს და მზად არის, 18-პროცენტიანი დღგ-ს პირობებში ბიუჯეტი შეასრულოს.

"პრობლემები არ იქნება, რადგან ბიუჯეტი შესაბამისად არის გათვლილი. ვიცოდით, რომ დღგ 1 ივლისიდან 18 პროცენტი იქნებოდა, ამიტომ ბიუჯეტიც ამის მიხედვით დაიგეგმა," - განაცხადა გალეგაშვილმა.

ამჟამად, საშუალოდ, თვეში ბიუჯეტში დღგ-ს სახით 27-29 მლნ. ლარი აკუმულირდება. ოპოზიციის წარმომადგენლები ეჭვობდნენ, რომ მთავრობა დღგ-ს 18 პროცენტამდე არ შეამცირებდა და 1 ივლისიდან ახალი საგადასახადო კოდექსის ამ მუხლის ამოქმედებას მხარს არ დაუჭერდა.

ახალი საგადასახადო კოდექსი საქართველოში 1 იანვრიდან ამოქმედდა.

*ინტერ-პრესი*

# "ვნეშტორგბანკი" აფხაზეთში საინვესტიციო საქმიანობას უარყოფს

რუსული "ვნეშტორგბანკი" აფხაზეთის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობას არ ახორციელებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ "ვნეშტორგბანკის" პრეზიდენტისა და გამგეობის თავმჯდომარის ანდრეი კოსტინის წერილი მიიღო, სადაც რუსული ბანკის ხელმძღვანელი ბრალდებებს უარყოფს.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, საქმე ეხება საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს "ვნეშტორგბანკი" აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საფინანსო დაწესებულებებთან და კომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს.

"საქართველოს ტერიტორიაზე "ვნეშტორგბანკის" ყოველგვარი საქმიანობა ადგილობრივ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში ხორციელდება. ამასთან, არანაირ საინვესტიციო გარიგებას არც დამოუკიდებლად და არც ერთობლივად აფხაზეთის ხელმძღვანელებთან "ვნეშტორგბანკი" არ ახორცხიელებს," - აღნიშნულია "ვნეშტორგბანკის" პრეზიდენტის წერილში.

ცოტა ხნის წინ, საქართველოს პარლამენტში დეპუტატმა ზურაბ ჯგუბურიამ განაცხადა, რომ "ვნეშტორგბანკი" აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ საქმიანობს და ინვესტიციებს ახორციელებს.

*პრაიმ-ნიუსი*

# სოროსი ქართული დემოკრატიის ხარისხს ზომავს

ვერიკო თევზაძე

ცნობილი ფინანსისტისა და მეცენატის ჯორჯ სოროსის ვიზიტის მეორე დღე საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრით დაიწყო. დახურულ კარს მიღმა დიალოგის შინაარსი საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების განცხადებით, სოროსს აინტერესებს საქართველოში დემოკრატიის ხარისხი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხები. "სოროსს არაფერი აქვს დასამალი, ხელისუფლება რის დაფარვას ცდილობს, ეს ჩვენთვის უცნობია," -ასეთი კომენტარი გააკეთეს გუშინ სამოქალქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ჯორჯ სოროსი განათლების მინისტრს კახა ლომაიასაც შეხვდა. ლომაიას თქმით, სოროსი კმაყოფილია საქართველოს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმით.

სოროსი-ლომაიას შეხვედრისას განიხილებოდა საკითხი ერთიანი ეროვნული გამოცდის მსგავსი სამაგისტრო გამოცდების პროგრამის მომზადების თაობაზე. ჯორჯ სოროსი აპირებს მონაწილეობა მიიღოს პროექტ "ირმის ნახტომის" პროგრამის დაფინანსებაში. ლომაია საქართველოს მოსახლეობას ჰპირდება: "საქართველოს ყველა სკოლა აღიჭურვება კომპიუტერებით, რომლებიც ჩართული იქნება ინტერნეტში. ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს სამი წლის განმავლობაში შევასწავლით ინტერნეტს და კომპიუტერულ პროგრამებს."

შეხვედრის შემდეგ ასევე ცნობილი გახდა, რომ მომავალი წლიდან, ყოველწლიურად, ათი ქართველი სტუდენტი აშშ-ს წამყვან უმაღლეს სასწავლებელში მაგისტრის კურსს გაივლის.

წუხელ სოროსის მონაწილეობით სასტუმრო "მეიდანში" ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" ათი წლის იუბილე აღინიშნა.

საპროტესტო აქციების ნაკლებობა არც გუშინდელ დღეს იყო. ახალბედა "ლეიბორისტებმა" თავი გამოიდეს და "ღია საზოგადოება - საქართველოს " ოფისთან ლოზუნგები გამოფინეს. ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის წარმომადგენლებმა კი ჯორჯ სოროსის ფიტული დაწვეს და მტკვარს გაატანეს.

დღეს სოროსი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდება. ვიზიტის დასასრულს ამერიკელი ფინანსისტი თავის პოზიციას პრესკონფერენციაზე გაგვაცნობს.

# საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური დღეს ყაზბეგის რაიონს მოინახულებს

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ხვალ ყაზბეგის რაიონს ეწვევა, სადაც დიდთოვლობის გამო მოსახლეობას ბოლო ორი თვის განმავლობაში ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

გილაური ადგილზე მოინახულებს აღდგენილ ელექტროგადამცემ ხაზსს, რომლითაც ყაზბეგის ელექტრომომარაგება ხორციელდება.

მინისტრი ეწვევა ყაზბეგის ჰიდროელექტროსადგურს, რომლის რეაბილიტაციაც საბიუჯეტო სახსრებით გახდა შესაძლებელი. მართალია, ჰესი 0,75 მეგავატს გამოიმუშავებს, მაგრამ იგი რაიონის მოთხოვნას მთლიანად დააკმაყოფილებს.

*ინტერ-პრესი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე





## „არც ერთ ტელეკომპანიას არ მიეცა საშუალება სათანადოდ გაეშუქებინათ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებები"

წამყვანები: ნინო კორძახია, გაგა გოგრონიძე

სტუმრები: გიორგი ჟვანია, ექს-პრემიერის ზურაბ ჟვანიას ძმა; შალვა რამიშვილი, ჟურნალისტი; ვახტანგ კომახიძე, ჟურნალისტი

ვახტანგ კომახიძე: არ შეიძლებოდა ასე ჩქარა ასეთი "კვალიფიცირებული" განცხადების გაკეთება და ეს ჩემი აზრით იყო მიზანმიმართული განცხადება.
მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი რამაც გააძლიერა ეჭვები იყო ის რომ არც ერთ ელექტრონული მედიის წარმომადგენელს, არც ერთ ტელეკომპანიას არ მიეცა საშუალება სათანადოდ გაეშუქებინათ ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებული მოვლენები.

შალვა რამიშვილი: ჟურნალისტებმა ეს საკითხი პოლიტიკური მიუკერძოებლობით უნდა დაფარონ. მდგომარეობის თითოეული წამი ხელისუფლების მხრიდან მათთვისვე დამღუპველია.
აქედან არის ორი დასკვნა ან ისინი არიან თავად გასვრილები ან საქმე გვაქვს კატასტროფულ არაპროფესიონალიზმთან.

გიორგი ჟვანია: ოფიციალური ვერსია მოვლენებისა აგებულია ჩემი ძმის ძველი ტელეფონის გარშემო. ის ნომერი რომელიც ძირითადად ფიგურირებს საბუთებში ზურას ფიზიკურად არ ქონდა. მან ის ერთი წლის წინ გამოცვალა. დაცვამ ზურას სიკვდილის შემდეგ პრემიერის ტელეფონით რამდენჯერმე დარეკა და ერთი ზარი ამერიკაში იყო გასული.
მსმენელი: ბატონო მიშა თქვენი პოპულარობა გაქრება როგორც მარმანდელი თოვლი თუ ამ საკითხს არ მოჰფინა სინათლე. ერთი რამდენიმე მართალი სიტყვა გვითხარი კაცო. რისთვის აგირჩიეთ ააა... როგორც აგირჩიეს ისე გადაგირჩევენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად გაემგზავრა.

მონიტორინგის კომიტეტის სხდომა, რომელიც პარიზში რამდენიმე დღეს გასტანს, საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ რეზოლუციის პროექტს შეიმუშავებს. წინასწარი ინფორმაციით, რეზოლუციის პროექტში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და საქართველოში მაჰმადიანი მესხების დაბრუნების შესახებ საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი შევა. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" უახლოეს დღეებში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აკრძალვის და ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელების შეტანას გეგმავს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე "ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, "ნაციონალურ მოძრაობას" უცხოური ორგანიზაცია აფინანსებს, რაც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაა. სოროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი კი, ნათელაშვილის თქმით, ამერიკელი მილიარდერის მიერ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაა. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** მოძრაობის "მომავლის მთავრობასთან ერთად" ლიდერი გია მაისაშვილი ქვეყნის ხსნის მისეული მოდელის განსახილველად საქართველოს მოქალაქეებს დღეს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სასახლეში იწვევს.

გია მაისაშვილი ქართულ საზოგადოებას ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებზე სერიოზული მსჯელობის დაწყებას სთავაზობს და ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ წრეებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** "საქართველოს კონსერვატიული პარტია" ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების მხარდაჭერას არ აპირებს.

როგორც "კონსერვატორების" წარმომადგენელმა ბიძინა გუჯაბიძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის კანდიდატების შერჩევისას დარღვეულია უმთავრესი პრინციპი - პროფესიული ნიშნით ცსკ-ს დაკომპლექტების წესი.

როგორც გუჯაბიძე აცხადებს, ცსკ-ს წევრობის კანდიდატებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია არჩევს, რაც იმთავითვე გამორიცხავს ცსკ-ს კანდიდატების შერჩევის ობიექტურობას. **ინტერ-პრესი**

# დღეიდან - გაყვანის რეჟიმში

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ შეთანხმების ხელმოწერა ძალზე მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული ნაბიჯია.

**"ჩვენ მივაღწიეთ იმას, რაზეც ასე დიდხანს ვმუშაობდით,"** - თქვა მან.

**"ვიმედოვნებ, ეს საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების საბოლოოდ გაყვანას უზრუნველყოფს. მთავარია, რომ ამ პროცესმა ჩვენს ურთიერთობებზე გავლენა არ იქონიოს,"** - ხაზი გაუსვა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მისი ინფორმაციით, სამშაბათს მუშაობას იწყებენ ორი ქვეყნის ექსპერტები და კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

**"თავად პროცესი რთული იქნება, მაგრამ დღეს ის საფუძველი ჩავყარეთ, რომელიც წინსვლაში დაგვეხმარება,"** - დაამატა მან.

რაც შეეხება თავად დოკუმენტს: მხარეები შეთანხმდნენ, რუსეთის სამხედრო დაჯგუფებების გაყვანა 2008 წლის განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდეს.

რუსეთის ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზები წყვეტენ მოქმედებას დანიშნულებისამებრ და განცხადების ხელმოწერის მომენტიდან გაყვანის რეჟიმში ფუნქციონირებენ.

ბაზებიდან მძიმე ტექნიკის გაყვანა დაიწყება უკვე 2005 წელს და 1 სექტემბრამე გაყვანილ იქნება არანაკლებ 40 ერთეული ჯავშანტექნიკა, მათ შორის, არანაკლებ 20 ტანკი.

რუსეთი, 2005 წლის 15 ივნისამდე ქართულ მხარეს გადასცემს ჯავშანტექნიკის სარემონტო ქარხანას, ხოლო 2005 წლის 1 სექტემბრამდე დაასრულებს საქართველოსთვის სხვა ობიექტების გადაცემას, რომლებიც არ გამოიყენება ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფებების ინტერესებში. ამ ვადისათვის გადაცემული იქნება ობიექტი "ზეზვა", აგრეთვე, კოჯრის კავშირგაბმულობის რეტლანსლატორი და პოლიგონი "გონიო".

ამასთან, საქართველოს მხარე, ბაზების გაყვანის დასრულებამდე, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს მათ მიერ დაკავებულ საბინაო ფონდს გადასცემს. ქართული მხარის მიერ გამოყოფილ იქნება, აგრეთვე, მიწის ნაკვეთი რუსეთის ბათუმის სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობის მომზადებისათვის.

2006 წლის 1 იანვრამდე რუსული მხარე განახორციელებს ბაზების შემადგენლობაში არშემავალი სამხედრო ობიექტების ძირითადი ნაწილის გადმოცემას ქართული მხარისათვის.

საქართველოში მყოფი, რუსეთის სამხედრო ფორმირებები ამ განცხადების ხელმოწერის შემდეგ, დაკავებულ იქნებიან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების კუთვნილი ტექნიკის, მატერიალური საშუალებების, სხვა სამხედრო ობიექტების და საქართველოში რუსეთის ბაზების სხვა ქონების, რომელიც ამ მომენტში არის საქართველოს ტერიტორიაზე, გატანის ორგანიზაციით.

ახალქალაქის სამხედრო ბაზის და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის მძიმე სამხედრო ტექნიკის გაყვანა, ასევე ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების დანარჩენი სამხედრო ობიექტების ქართული მხარისათვის გადაცემა 2007 წლის 1 ოქტომბრამდე დასრულდება. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ამინდის პირობების გათვალისწინებით, არაუგვიანეს 2007 წლის ბოლომდე.

ბათუმის სამხედრო ბაზის და ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბის საბოლოო გაყვანა განხორციელდება 2008 წლის განმავლობაში.

რუსეთის ბათუმის სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის შეთანხმებული ნაწილი გამოყენებულ იქნება საქართველო-რუსეთის ანტიტერორისტული ცენტრის ინტერესებში, რაც გაფორმდება ცალკე დოკუმენტით.

რუსეთის სამხედრო ბაზების და ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სხვა სამხედრო ობიექტების მოძრავი ქონება გატანილი იქნება საქართველოს ტერიტორიიდან, ხოლო უძრავი ქონება გადაეცემა საქართველოს მხარეს ფაქტობრივი მდგომარეობით, მხარეთა უფლებამოსილ ორგანოებს შორის შეთანხმებული გრაფიკების საფუძველზე. რუსეთის მხარე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს გადასაცემი ობიექტების დაცულობა.

მხარეები განახორციელებენ ურთიერთქმედებას ბაზების გაყვანის პროცესთან დაკავშირებული სატრანსპორტო დანახარჯების ფინანსირების დამატებითი გარე წყაროების მოძიების მიზნით.

რუსეთის მხარე არ განახორციელებს ბაზებისთვის შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალის შეცვლას, შევსებას, ხოლო სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა ზემოაღნიშნულ ვადებში სამხედრო ქონების გატანის უზრუნველყოფის საჭიროების შესაბამისი იქნება.

რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფებების სხვა სამხედრო ობიექტების შემადგენლობაში შემავალი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, ასევე მათი ოჯახის წევრები, პატივს სცემენ საქართველოს სუვერენიტეტს და იცავენ მის კანონმდებლობას, არ ერევიან მის საშინაო საქმეებში, არ მონაწილეობენ საქართველოს ტერიტორიაზე შიდა კონფლიქტებში.

მხარეებმა გამოხატეს ორმხრივი დაინტერესება რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსწრაფეს სახელშეკრულებოსამართლებრივ გაფორმებაში და მხარეთა დელეგაციებს დაავალეს, სწრაფად მომზადდეს შესაბამისი ხელშეკრულებები, 2005 წლის განმავლობაში გააააქტიურონ მოლაპარაკებათა პროცესი საზღვრის დელიმიტაციის შესახებ.

მხარეებმა გაცვალეს მოსაზრებები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტების დარეგულირების გზების პერსპექტივებზე. მათ დაადასტურეს საკუთარი მზადყოფნა, შემდგომშიც აქტიურად ითანამშრომლონ კონფლიქტების პოლიტიკური დარეგულირების ინტერესებში მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემის საფუძველზე, კონფლიქტის ზონებში მრავალეროვანი მოსახლეობის, მათ შორის, ლტოლვილებისა და ამ კონფლიქტების შედეგად გადაადგილებული პირების ინტერესებისა და კანონიერი უფლებების უზრუნველყოფით.

აღნიშნული განცხადების დებულების შესრულება ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციასა და ნდობის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, გახსნის გზას საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა ძირითადი პრინციპების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერისათვის.






# მიხეილ სააკაშვილი: მტკივნეული საკითხი მოიხსნება



**"ეს არის ისტორიული მოვლენა ჩვენი ქვეყნისთვის,"** - ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე, მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ დოკუმენტის ხელმოწერა საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ.

მისი თქმით, ხელმოწერილი შეთანხმებით, პრაქტიკულად წყდება ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში. მან შეთანხმების გაფორმებას მრავალი წლის განმავლობაში პირველი წარმატებული დიპლომატიური შედეგის პრეცედენტი უწოდა.

**"მე მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა პუტინმა გამოიჩინა გამბედაობა, მშვენიერი პოლიტიკური ალღო აჩვენა, საღი აზრის და თამამი პოლიტიკური ნაბიჯის დემონსტრაცია მოახდინა. და მე არ შემიძლია, ეს არ დავაფასო. ჩვენი ბოლო რამდენიმე სატელეფონო საუბარი უაღრესად კონსტრუქციული იყო,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, რუსული ბაზების საქართველოდან გასვლით, რაც 2009 წლის ბოლომდე დასრულდება, მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა შესრულებული იქნება.

**"მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ-ერთი მტკივნეული საკითხის მოხსნით ჩვენ შევძლებთ სრულიად სხვანაირად ავაწყოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები - უფრო კონსტრუქციულად, ბევრად უფრო დაახლოების პოზიციაზე გადავიდეთ. შევძლოთ ბევრი წარსული წყენის დავიწყება და მომავალზე ორიენტირებული, ორივე ხალხის ინტერესებში შემავალი პოლიტიკის წარმოება,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი განცხადებით, **"საქართველოს უნდა რუსეთთან მჭიდრო, მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობები"** და რუსეთს **"არასოდეს არანაირ პრობლემებს არ შეუქმნის."** პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო მზად არის, რუსეთის ინტერესებში შემავალი ყველა საკითხი სრული მასშტაბით გაითვალისწინოს, მათ შორის - უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლის, ასევე, **"რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინების საკითხები, სადაც ისინი მთლიანად ემთხვევა საქართველოს ინტერესებს, და ასეთი გადაკვეთის ვექტორი ძალიან ბევრია."**

ამავე დროს, მიხეილ სააკაშვილმა ახალქალაქის ბაზაზე ამჟამად მომსახურე ადგილობრივ მცხოვრებთ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახური შესთავაზა, და დასაქმების გარანტიებსა და სოციალურ დახმარებას დაჰპირდა.

**"ამ ხელშეკრულების დასრულებას უმოკლეს ვადებში შევძლებთ. იმიტომ, რომ გარდა პოლიტიკური პრინციპული შეთანხმებისა, საჭიროა ამ ხელშეკრულების იურიდიული გაფორმება. პოლიტიკური ვალდებულება სახეზეა, და ის უნდა შესრულდეს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ "რუსი კოლეგების და პარტნიორების" მხრიდან კოლეგიალობის და ურთიერთგაგების იმედი აქვს.

*24 საათი*

# მსხვილგადამხდელთა ინსპექციამ საბითუმო ბაზარს ყადაღა მოუხსნა

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ანგარიშს ყადაღა მოხსნა. როგორც "ინტერ-პრესს" საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით გალეგაშვილმა განუცხადა, საბითუმო ბაზრის ანგარიშს, ძველი დავალიანების სახით, 1 მლნ. ლარი ჩამოეჭრა, თუმცა მომავალში ყადაღის მექანიზმის გამოყენება აღარ იგეგმება.

"ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი შარშან მიმდინარე გადასახადსაც არ იხდიდა, თუმცა ერთობლივი ღონისძიებების შედეგად, ეს პრობლემა დავძლიეთ და ამჟამად ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ახლა უკვე ბაზარმა ძველი დავალიანების გადახდაც უნდა ისწავლოს. ჩვენი ყადაღაც ამას ემსახურებოდა," - განაცხადა გალეგაშვილმა.

მისი თქმით, ზაფხულის პერიოდი ამ ღონისძიებისთვის სპეციალურად შეირჩა, რადგან ენერგოსისტემაში პრობლემები ნაკლებია და გადასახადების გადახდაც შესაძლებელია.

საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილგადამხდელთა ინსპექციამ ბაზრის ანგარიშები გასული კვირის ბოლოს დააყადაღა.

*ინტერ-პრესი*

# აჭარის ტურისტული ფირმები ტურიზმის ხელშემწყობ ასოციაციაში გაერთიანდნენ

აჭარაში ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობისთვის ტურისტული ფირმები და სასტუმროთა მეპატრონეები ტურიზმის ხელშემწყობ ასოციაციაში გაერთიანდნენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს აჭარის მთავრობის აპარატიდან აცნობეს, აჭარაში არსებული კერძო სასტუმროების შესახებ ინფორმაცია უცხოურ ტურისტულ კომპანიაში ოთხ ენაზე, ბუკლეტებისა და ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდება.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა საკურორტო რეგიონზე სარეკლამო რგოლი დაამზადა, რომელიც აჭარის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსდა და იგი აზერბაიჯანის, სომხეთისა და უკრაინის ადგილობრივ ტელევიზიებში 15 აგვისტომდე იტრიალებს. მალე, ტურიზმის დეპარტამენტი გამოსცემს სპეციალურ ბუკლეტსაც, რომელშიც რეგიონის კურორტებისა და სასტუმროთა ქსელის შესახებ მონაცემები დაიბეჭდება.

*პრაიმ-ნიუსი*

## "მადნეულის" პრივატიზებაზე განაცხადების მიღების ვადა 31 მაისს იწურება

სს "მადნეულის" ინვესტორთა და მყიდველთათვის საწარმოს შესყიდვის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის ვადა 31 მაისს იწურება.

ერთიან საპრივატიზაციო პაკეტში შედის: სს "მადნეულის" აქციათა 97,25 % (აქციის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარი); შპს "კვარციტის" 50 %; შპს "საქართველოს სამთამადნო კომპანია"; შპს "ბოლნისკავკაზტრანსსერვისი"; შპს "ტრანსნედროსერვისი"; შპს "ეკოლოგის" 51 %; შპს "ტრანს ჯორჯიან რესორსის" აქციათა 50%.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ალექსი ალექსიშვილის შეფასებით, საწარმოს ამჟამინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მას დიდი პრობლემები აქვს, რაც "მადნეულში" დამატებითი ინვესტიციების ჩადების შემდეგ გამოსწორდება.

ალექსიშვილის თქმით, "მადნეულის" პრივატიზების სურვილი უკვე რამდენიმე ევროპულმა კომპანიამ გამოთქვა. მათ შორის არიან შვეიცარიული, ავსტრიული, ბრიტანული და რუსული კომპანიები.

მინისტრის ვარაუდით, "მადნეული", რამდენიმე სხვა კომპანიასთან ერთად, მინიმუმ 40-50 მლნ აშშ დოლარად გაიყიდება, თუმცა, დაახლოებით, იგივე რაოდენობის თანხა დასჭირდება საწარმოს ინვესტიციის სახით, რათა მან სრულფასოვნად იმუშაოს.

ამის პარალელურად კი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ცხრა ობიექტის პრივატიზაციის მიზნით, გუშინ ტენდერი გამოაცხადა. აუქციონი მიმდინარე წლის 30 ივნისს გაიმართება, საიდანაც სამინისტრო, მინიმუმ, ორი მილიონი დოლარის მიღებას გეგმავს.

აუქციონზე გატანილია შემდეგი ობიექტები: ს/ს "ავტომობილისტის", სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა 38,28%, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 160 000 დოლარია; შპს "ჰიდროენერგომონტაჟის" 90%, (საწყისი ფასი 77 000 დოლარი); შპს "სტამბა" (საწყისი ფასი 55 000 დოლარი); შპს "შულავერის არამადნეული მასალების ქარხანა" (საწყისი ფასი 280 000 დოლარი); შპს "კულტმშენი" (საწყისი ფასი 85 000 დოლარი); ყოფილი სახაზინო საწარმოს "კომუნსპეცმშენის" ქონება (საწყისი ფასი 8 500 დოლარი) და კოსტავას ქუჩაზე N59 მდებარე შენობა-ნაგებობები (საწყისი 1 200 000 დოლარი).

30 ივნისს, კონკურსის წესით, 2 ობიექტი შპს "ინსტიტუტი მეტალურგპროექტი" (60 000 დოლარად) და შპს "მონონი" (250 000 დოლარად) გაიყიდება.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება აღნიშნული ობიექტების დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებისთვის დღეს 14.00 საათიდან დაიწყება და 29 ივნისის 17.00 საათზე დასრულდება.

*24 საათი*

# სომხეთის "ატომური" დილემა

პირველი გვერდიდან

"ღმერთმა არ ქნას, რომ იქ მიწისძვრა მოხდეს. მაშინ კატასტროფა გარდაუვალია. დასხივება მოელის, მინიმუმ, 400 კილომეტრი რადიუსით დაშორებულ ტერიტორიებსაც," - დასძენს კურბანი.

საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარის გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, "ქართველი სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა კომპიუტერულმა მოდელირებამ ცხადყო, რომ სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე კატასტროფის შემთხვევაში, ჩვენ გვექნება მხოლოდ რვა საათი თბილისის მოსახლეობის საევაკუაციოდ."

სომხეთის სეისმური უსაფრთხოების ეროვნული სამსახურის დირექტორი ალვარო ანტონიანი სომხეთის ტერიტორიაზე ახალ ძლიერ მიწისძვრას არ გამორიცხავს. მისი გათვლებით, ეს შეიძლება მოხდეს 2008-2010 წლებში ქვეყნის სამხრეთით, ანუ მეწამურისგან შედარებით შორს.

სომეხი ჩინოვნიკები ირწმუნებიან, რომ საბჭოთა სპეციალისტების მიერ დაპროექტებული, მეწამურის ატომური ელექტროსადგური რიხტერის შკალით 8-9 ბალიან მიწისძვრას გაუძლებს. იგი აღჭურვილია გგცპ - 440 -ის ტიპის რეაქტორით, რომელიც ჩერნობილის რეაქტორის თაობას მიეკუთვნება. თუმცა, ექსპერტების აზრით, ის გაცილებით უფრო საიმედოა.

სეისმომდგრადობის ერთი გამოცდა მეწამურმა წარმატებით ჩააბარა, როდესაც 1988 წელს 5-6 ბალიან ბიძგებს გაუძლო. თუმცა, ამ მიწისძვრის შემდეგ აეს-ის ორივე რეაქტორი გააჩერეს. 1995 წელს კი, როდესაც სომხეთში მწვავე ენერგოკრიზისის ხანა დადგა, ატომური სადგურის მეორე ბლოკი კვლავ აამუშავეს.

იმ პერიოდში, როდესაც აეს-ი გაჩერებული იყო, სომხეთს ცუდი დღეები დაუდგა: ეკონომიკური დაღმავლობა, ელექტროენერგიის მკაცრი გრაფიკი... მასიურად გაიჩეხა ტყეები - ზამთარში ხალხი ამ გზით ათბობდა სახლებს...

ევროკავშირი ამტკიცებს, რომ ავარიებისა და მიწისძვრების რისკი ძალიან დიდია და ამიტომ, აუცილებელია, სომხეთმა ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო უფრო აქტიურად ეძებოს. 2004 წლის ივნისში ევროკავშირმა სომხეთს 100 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური დახმარება გაუყინა. მიზეზად კი დასახელდა ის, რომ სომხეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ატომური ელექტროსადგური არ დახურა.

ევროკავშირი ევროპის ტერიტორიაზე არსებული ყველა იმ ატომური სადგურის დახურვას ითხოვს, რომლებიც ჩერნობილის აეს-ის თაობას წარმოადგენენ. სომხეთთან დაკავშირებით კი ევროკავშირი კიდევ ერთი მიზეზით ღელავს - რადიაქტიურ ნივთიერებათა გაჟონვის თავიდან ასაცილებლად მეწამურის აეს-ს დამატებითი დამცავი სისტემა საერთოდ არ გააჩნია.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სომხეთის ატომური ელექტროსადგურისთვის საჭირო საწვავის მიწოდება საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებით ხდება. სომხეთისკენ მიმავალი ატომური საწვავით დატვირთული თვითმფრინავები საქართველოს ტერიტორიას გადაუფრენენ.

"ეს იგივეა, რაც ატომური ბომბით ფრენა, რომელიც შეიძლება, ნებისმიერ დროს აფეთქდეს," - ამბობს სომხეთში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი ალექსის ლიუბერი. მისი თქმით, "მეწამურის სადგური მთელი რეგიონისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს."

როგორც სომხეთის აეს-ის გენერალური დირექტორი გაგიკ მარკოსიანი აცხადებს, საქართველოს გავლით რეისები წელიწადში ერთხელ ხორციელდება.

თუმცა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული ენერგეტიკისა და რადიაციის სამსახურის ხელმძღვანელი სოსო კუჭუხიძე ამტკიცებს, რომ სომხეთის აეს-ისთვის განკუთვნილი საწვავით დატვირთული თვითმფრინავები საქართველოს მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ გადაუფრენენ და ეს "არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს."

"ჩვენ ზუსტად ვიცით, როდის და რომელი თვითმფრინავებით ხდება საწვავის გადატანა. აღნიშნული საწვავი აბსოლუტურად უვნებელია და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, ვიდრე რეაქტორის აქტიურ ზონაში არ მოხვდება და ჯაჭვურ რეაქციაში არ შევა. საქართველოს საჰაერო სივრცეზე ტრანსპორტირების მომენტში საწვავი ჩვეულებრივი ნივთიერებაა და რადიაციას არ ასხივებს," - აცხადებს კუჭუხიძე.

მისი თქმით, ასეთი რეისი უკანასკნელად 2004 წლის ზაფხულში განხორციელდა, როდესაც ორმა თვითმფრინავმა სომხეთში დაახლოებით 32 ტონა საწვავი ჩაიტანა.

როგორც ირკვევა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ საკითხებში სრულიად არ არის გარკვეული. აღნიშნული თემა ქართული მედიის დაინტერესების საგანი იშვიათად, უფრო სწორად, თითქმის არასდროს ყოფილა.

ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს საქართველოს "მწვანეთა პარტიის" ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძეც. "ბირთვული ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენება კანონითაა აკრძალული. ცხადია, ატომური ელექტროსადგურისთვის ჩვეულებრივი საწვავი არ მიაქვთ. სავარაუდოდ, აქ საუბარია გამდიდრებულ ურანზე, რომელიც ძალიან საშიშია. ისინი, ვინც ამგვარი ნივთიერების ტრანსპორტირებაზე თანხმობა განაცხადა, დასაჭერია. წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება მოხდეს, თუ ამ ნივთიერებით დატვირთული თვითმფრინავი ჩამოვარდება?" - ამბობს გაჩეჩილაძე.

აკობ სანასარიანი, რომელიც სომხეთის "მწვანეთა პარტიას" წარმოადგენს, შეშფოთების კიდევ ერთ მიზეზს ასახელებს - ეს არის ნარჩენები, რომლებიც მეწამურის რეაქტორის ექსპლუატაციის შედეგად წარმოიშობა. ნარჩენებს სადგურის ტერიტორიაზე, სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით ინახავენ, რაც სანასარიანის თქმით, "ეკოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია."

მთავარი ფაქტორი, რაც სომხეთის აეს-ის დახურვას აფერხებს, არის ის, რომ სომხეთს ალტერნატიული ენერგოსიმძლავრეების შესაქმნელად არც ბუნებრივი რესურსები და არც სხვა რაიმე საშუალებები გააჩნია.

სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის არმენ მოვსისიანის თქმით, სომხეთის აეს-ის დასაკონსერვებლად ერთი მილიარდი დოლარის სამუშაოებია ჩასატარებელი. "მოლაპარაკებები ევროკავშირთან გრძელდება. სომხეთი ითხოვს, განისაზღვროს ალტერნატიული ენერგოწყაროები. დღეს კი, ფინანსების არარსებობის პირობებში, აეს-ის დახურვის კონკრეტულ ვადებზე საუბარი შეუძლებელია," - აცხადებს მოვსისიანი.

თეორიულად, ენერგიის ალტერნატიულ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ირან-სომხეთის გაზსადენი, რომლის მშენებლობაზეც ევროკავშირის გრანტების დიდი ნაწილის მიმართვა იმთავითვე იყო დაგეგმილი. თუმცა, არმენ მოვსესიანი მიიჩნევს, რომ "გაზი ბირთვული საწვავის ალტერნატივა ვერ იქნება, რადგან თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგია ატომური სადგურის ენერგიაზე გაცილებით უფრო ძვირია." გარდა ამისა, მინისტრი თვლის, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება.

"რაო ეეს"-ის ხელმძღვანელი ანატოლი ჩუბაისი აცხადებს, რომ სომხეთში ელექტროენერგიის ტარიფები ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში. კიდევ უფრო ძვირი ღირს ელექტროენერგია საქართველოში. სომხეთს არც ჰიდროენერგეტიკის განვითარება შეუძლია. საამისოდ წყლის რესურსები არასაკმარისია.

სომეხი და რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მეწამურის აეს-ი უსაფრთხო რეჟიმში, სულ ცოტა, კიდევ თერთმეტ წელიწადს იმუშავებს. სომხეთის აეს-ის გენერალური დირექტორის მარკოსიანის თქმით, მას შემდეგ, რაც მეორე ენერგობლოკმა მუშაობა განაახლა, სადგურის უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად 35 მილიონი დოლარია დახარჯული. 22 მილიონი ევრო TACIS-ის პროგრამის ფარგლებში იყო გათვალისწინებული. "შეიძლება ითქვას, რომ სადგურის უსაფრთხოების დონე წლიდან წლამდე იზრდება," - აცხადებს მარკოსიანი.

მეზობელი საქართველოსთვის "მეწამურის" საკითხი ნამდვილ დილემად იქცა. ხალხს აშინებს მოსალოდნელი კატასტროფები, თუმცა ყველას ესმის, რომ ენერგოდეფიციტის პირობებში მყოფი საქართველო, ნაწილობრივ, სომხეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული. სომხეთი კი ელექტროენერგიის ექსპორტიორობას სწორედ მეწამურის ატომური ელექტროსადგურის წყალობით ახერხებს.

სომხეთიდან საქართველო 100-დან 150-მდე მეგავატ ელექტროენერგიას ღებულობს. მართალია, საქართველო ელექტროენერგიას მეწამურიდან კი არა, რაზდანის თბოელექტროსადგურიდან იღებს, მაგრამ როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აცხადებს, "თუ სომხეთის აეს-ი გაჩერდება, სომხეთი ელექტროენერგიის ექსპორტს საქართველოში ველარ შეძლებს."

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანს ნავთობისა და გაზის საკუთარი რესურსები გააჩნია, ენერგომომარაგების პრობლემები ამ ქვეყანასაც აქვს. კერძოდ კი, რთული ვითარება შეიქმნა აზერბაიჯანის სამხრეთით მდებარე ავტონომიურ რეგიონში - ნახიჩევანში. ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ, ნახიჩევანს ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან სომხური ტერიტორიები ჰყოფს, რაც ამ რეგიონის ერთგვარ იზოლაციას იწვევს.

გასული თვის ნოემბერში, ბაქოში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზებულ კონფერენციაზე სომხეთის ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა ლევონ ვარდანიანმა განაცხადა, რომ სომხეთი მზადაა, ნახიჩევანი ელექტროენერგიით უზრუნველყოს.

"ენერგეტიკოსები ყოველთვის მზად ვართ თანამშრომლობისთვის, სხვა პრობლემები კი პოლიტიკოსებმა გადაწყვიტონ," - განაცხადა ვარდანიანმა.

თუმცა, აღნიშნული განცხადების კომენტირებისას, აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერმა აბიდ შარიფოვმა აღნიშნა, რომ ვიდრე ყარაბაღის კონფლიქტი არ მოგვარდება, აზერბაიჯანი სომხეთთან თანამშრომლობას არ აპირებს.

## ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის განცხადება

საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით OSCE/ODIHR-ის მხარდაჭერით აწყობს ფორუმს.

შეხვედრას დაესწრებიან საქართველოს 80-მდე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, ეუთოს მისიის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები, სახელმწიფო სტრუქტურის, ომბუდსმენის და თბილისის მერიის წარმომადგენლები.

განხილულ საკითხებს შორის იქნება მოხსენებები და პრეზენტაციები შემდეგ საკითხებზე:

1. ბავშვთა უფლებები;
2. ტრეფიკინგი;
3. ოჯახური ძალადობა;
4. შრომითი კოდექსის გენდერული ანალიზი.

შეხვედრის ჩარჩოებში ჩატარდება საზოგადოებრივ-კულტურული აქცია, რომელიც მოიცავს ქალთა ორგანიზაციების პუბლიკაციების გამოფენას, ვიდეო კლიპების დემონსტრაციას და საქველმოქმედო აქციას ბავშვებისათვის.

შეხვედრის მიზანია ინფორმაციული გაცვლა და ერთიანობა მნიშვნელოვანი საკითხების ლობირებისათვის კოალიციის საქმიანობის ფარგლებში.

**გიწვევთ შეხვედრაში მონაწილეობისათვის.**

**სასტუმრო მეტეხი-პალასი, 1 ივნისი 2005 წელი, ოფიციალური გახსნა - 10.00 საათი.**

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საიტზე www.wocg.org.ge

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

თანახმად " სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, 2005 წლის 29 მარტს საავტომობილო საწვავის (40500 ლიტრი, მათ შორის რეგულარი-4500 ლ. პრემიუმი-18000 ლ. სუპერი-18000ლ) შესყიდვისათვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ღია ტენდერში გამარჯვებულია შ.პ.ს "ნუკოილი ვახუშტი", რომელთანაც 2005 წლის 23 მაისს დაიდო ხელშეკრულება საერთო თანხით 57015 ლარი.

კორპორაცია განვითარების ალტერნატივები (DAI) ეძებს შესაბამის კანდიდატურებს ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამხრეთ კავკასიაში წყლის რესურსების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის მომავალი პროგრამისათვის. აუცილებელია თითოეულ კანდიდატს ჰქონდეს 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აგრეთვე სასურველია არასამთავრობო ორგანიზაციების მართვისა და განვითარების გამოცდილებაც, ისევე როგორც ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) და/ან სხვა დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

1. საქართველოს პროექტის დირექტორი: ხარისხი გარემოს დაცვის, საინჟინრო, ეკონომიკის, წყლის რესურსების მართვის, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. აუცილებელია ინგლისური ენის ზედმიწევნით ცოდნა.
2. ჰიდროლოგი: ხარისხი საინჟინრო, ჰიდროლოგიის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება მდინარის აუზის დაგეგმვის განხრით.
3. სოციოლოგი: ხარისხი ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში. სასურველია გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების განხრით.

გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და თანდართული წერილი (cover letter) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Gsctb@dai.com

# CENN-ის მუშაობა თბილისის სკოლებში

*ელექტროენერგეტიკული სექტორის მართვის ეტაპობრივად გაუმჯობესებისა და მასში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერის პროექტს "ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით" ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების ("კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი" (CENN), "მწვანე ალტერნატივა" და "ეკოხედვა") კოალიცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს აგებს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია.*

--------------------------------------------------------------------------------

2003 წლის ნოემბრიდან "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის" (CENN) ხელმძღვანელობით ხორციელდება პროექტი, სახელწოდებით:"ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით". პროექტი მიზნად ისახავს ენერგოსერვისის გაუმჯობესებას, სექტორში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას თემთა მობილიზაციის გზით, ურთიერთნდობის ამაღლებას მომხმარებლებს, ელექტროენერგიის მწარმოებელ, მარეგულირებელ ინსტიტუტებსა და კერძო დისტრიბუტორებს შორის, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასა და რესურსების გამოყენების საკითხში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა მომხმარებლებისგან დაკომპლექტებული კონდომინიუმის ტიპის მართვის მოდელი, რომელიც იმუშავებს არა მარტო ენერგეტიკის, არამედ სხვა კომუნალურ სფეროებშიც (გაზი, წყალი, ნარჩენები და ა.შ.).

იმისათვის, რომ შედგეს დიალოგი ენერგოსისტემაში არსებული პრობლემების ირგვლივ მთელი ქვეყნის მასშტაბით, პროექტის ფარგლებში ხორციელდება საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც ეფუძნება ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, მასმედიის გამოყენებასა და საზოგადოებრივ შეხვედრებს.

საგანმანათლებლო კამპანიაში დიდი ყურადღება და დრო ეთმობა ბავშვებთან მუშაობას, რადგან საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული მდგომარეობა მათზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს და ბავშვების თვალით დანახული ენერგოკრიზისი საშუალებას გვაძლევს სრულიად სხვაგვარად აღვიქვათ დღეს არსებული ვითარება საქართველოს ენერგოსექტორში. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სწორედ სასკოლო ასაკში ხდება ძირითადი ჩვევების გამომუშავება და ბავშვების ცნობიერების ჩამოყალიბება, ცხადი გახდება ბავშვებთან საგანმანათლებლო მუშაობის სწორად წარმართვის აუცილებლობა.

აქედან გამომდინარე, CENN - ის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებას სკოლებში. ამ კუთხით მიმდინარე ღონისძიებები ხორციელდება სისტემატურად და მოიცავს საკმაოდ მრავალმხრივ მუშაობას ბავშვებთან, კერძოდ: ბავშვთა ნახატების გამოფენას, საინფორმაციო ბროშურების, პლაკატების, საბავშვო კალენდრების გავრცელებას, სამუშაო რვეულებისა და წიგნების გამოცემას ენერგიის დაზოგვის შესახებ, გაკვეთილების ჩატარებას ენერგორესურსებისა და ენერგიის დაზოგვის თემაზე, ექსკურსიების მოწყობას საქართველოს თბოელექტროსადგურებსა და თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებს თბილისის ექვსი სკოლა, რომლებიც შეირჩა თბილისის ექვს უბანში (ნუცუბიძე, ნაძალადევი, დიდუბე, ოქროსუბანი, ვარკეთილი, ავლაბარი). თითოეული სკოლიდან აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებენ, დაახლოებით, 20 ბავშვისგან შემდგარი ჯგუფები 12-დან 17 წლამდე ასაკობრივი შემადგენლობით.

უფრო კონკრეტულად თუ შევეხებით ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების ნუსხის თითოეულ კომპონენტს, ნათელი გახდება ყოველი მათგანის დიდი მნიშვნელობა ბავშვებთან საგანმანათლებლო მუშაობის სწორად წარმართვის თვალსაზრისით.

კერძოდ, 2004 წლის 19 ნოემბერს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში ჩატარდა ბავშვთა ნახატების გამოფენა. ხატვის ძირითადი თემა იყო "ზამთარი თბილისში". ბავშვებმა უამრავი საინტერესო ნახატი შექმნეს ამ თემაზე და ძალიან ორიგინალური კუთხით დაგვანახვეს ჩვეული ენერგოკრიზისი, რომელიც თბილისს სწორედ ზამთრის განმავლობაში აწუხებს ყველაზე მეტად. გამოფენის ბოლოს გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ საუკეთესო ნახატების ავტორები.

რაც შეეხება სკოლაში ჩატარებულ გაკვეთილებს, ძირითადი თემა, რომელზეც ბავშვებს ესაუბრებიან, არის ენერგორესურსები და ენერგიის დაზოგვა. აღნიშნული გაკვეთილების დროს ბავშვები იღებენ ინფორმაციას განახლებადი და არაგანახლებადი ენერგიის, მისი კონკრეტული წყაროების, ენერგიის მოხმარების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგების, ენერგიის სხვადასხვა წყაროს შეზღუდული მარაგებისა და, აქედან გამომდინარე, ენერგიის დაზოგვის აუცილებლობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაბინძურებას, რაც ენერგიის სხვადასხვა წყაროს გამომუშავებისა და მოხმარების შედეგია.

ენერგიის დაზოგვის აუცილებლობის გაცნობიერების შემდეგ, მათ აცნობენ ენერგიის დაზოგვის ძირითად ხერხებსა და საშუალებებს. გაკვეთილის შემდეგ ბავშვებს უკვე კარგად ესმით, რომ ენერგიის დაზოგვა სასარგებლოა მათთვის, მათი ოჯახებისათვის და, ზოგადად, ქვეყნის ენერგოსისტემის უკეთესად ფუნქციონირებისათვის.

აღნიშნული გაკვეთილები ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს. ამის ერთ-ერთი მიზეზი გაკვეთილის არატრადიციული ფორმატია, რომელიც გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში ბავშვების ინტერაქტიურ თანამონაწილეობას გულისხმობს. CENN - ის თანამშრომლები ცდილობენ, ბავშვებს მაქსიმალურად მისცენ საკუთარი აზრის გამოხატვისა და შეკითხვების დასმის საშუალება. გაკვეთილების ბოლოს ეწყობა დისკუსია გაკვეთილის თემასთან დაკავშირებით. ამას გარდა, ბავშვები ასრულებენ სპეციალურად მათთვის მომზადებულ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რაც ძალიან საინტერესო და, ამავდროულად, სახალისოა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინფორმაციის გადაცემის ფორმა მათი მაქსიმალური დაინტერესების საშუალებას იძლევა და ბავშვებში გაკვეთილის პროცესში თანამონაწილეობის სურვილის ინიცირებას ახდენს. მათ იმდენად მოსწონთ ჩატარებული გაკვეთილები, რომ ბევრი მათგანი სიამოვნებით ეთანხმება მსგავსი გაკვეთილების ჩატარებისთვის სისტემატური ხასიათის მიცემას.

აღსანიშნავია ისიც, რომ "კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის" (CENN) წარმომადგენლებთან ერთად, გაკვეთილების ჩატარების პროცესში მონაწილეობას იღებს თელასი-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც საკმაოდ საინტერესო მასალას აცნობს ბავშვებს შემდეგ საკითხებზე:

საქართველოს ენერგოსისტემა და მისი შემადგენელი ნაწილები;
- "თელასი"-კომპანია, რომელიც ემსახურება თბილისის მოსახლეობას;
ელექტროენერგიის გათიშვაზე პასუხისმგებელი პირები;
- რა შედეგები მოსდევს ელექტროენერგიის საფასურის არგადახდას.

თელასი-ს მიერ სპეციალურად მომზადებული მასალების მეშვეობით ბავშვებს ექმნებათ წარმოდგენა საქართველოს ენერგოსისტემის, კერძოდ კი, მისი შემადგენელი ნაწილების, ამ ნაწილების დანიშნულების, ფუნქციონირებისა და თითოეული მათგანის ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შესახებ. გაკვეთილების განმავლობაში აქცენტი კეთდება იმ აუცილებელი პირობების შესახებ, რომელთა დაცვის გარეშეც წარმოუდგენელია ენერგოსისტემის, როგორც ერთიანი სისტემის, ფუნქციონირება. ეს უკანასკნელი კი გულისმობს მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას, ელექტროენერგიის დეფიციტზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და აღნიშნული პასუხისმგებლობის გადანაწილებას ენერგოსისტემის შემადგენელ რგოლებს, კერძო დისტრიბუტორებს, სახელმწიფოსა და მომხმარებლებს შორის.

CENN -ი მომავალშიც გეგმავს ბავშვებთან მუშაობას. ზემოთ აღნიშნული გაკვეთილების გარდა, მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში იგეგმება ექსკურსიები თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში. ივნისის ბოლოს კი ექვსივე სკოლის ბავშვებისთვის დაგეგმილია ექსკურსია გარდაბნის თბოელექტროსადგურში.

**კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი "CENN"**
ტელ.: +995 32 75 19 03/04
ფაქსი: +995 32 75 19 05
ელ. ფოსტა: info@cenn.org
ვებ-გვერდი: www.cenn.org

Caucasus Environmental NGO Network CENN
USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

# ქაბულში აფეთქებების რიცხვმა იმატა

*ავღანეთის დედაქალაქის ქაბულის გარეუბანში გზაზე მომხდარი აფეთქების შედეგად, სულ მცირე, შვიდი ავღანელი დაიჭრა. პოლიციის ცნობით, ველოსიპედზე დამაგრებული დისტანციური მართვის ნაღმი ნატო-ს მანქანის ჩავლის შემდეგ აფეთქდა.*



*უკანასკნელ ხანებში ავღანეთში ტერაქტების რიცხვმა განსაკუთრებით იმატა*

შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენლის ლუთფულაჰ მაშალის განცხადებით, ტერორისტების სამიზნე ნატო-ს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მანქანა იყო. აფეთქება მოხდა ცენტრალურ გზაზე ბაზართან ახლოს, სადაც ნატო-ს სამშვიდობო ძალების რამდენიმე ბაზა მდებარეობს.

პოლიციის ადგილობრივი განყოფილების უფროსის განცხადებით, დაშავებულებს შორის რამდენიმეს სერიოზული ტრავმა აქვს მიყენებული. ოთხი დაზარალებული ნატო-ს მანქანის უკან მიმავალ ტაქსში იმყოფებოდა, სამი კი - ფეხით მოსიარულეები არიან. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ტაქსის მძღოლი.

დაზიანებას გადაურჩა სამშვიდობო ძალების მანქანა. შესაბამისად, მასში მსხდომი ადამიანებიც უვნებლად გადარჩნენ.

პოლიციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს, ჯერჯერობით არც არავინ დაუპატიმრებიათ, მაგრამ აშკარაა, რომ ეს "ავღანელი მტრების" ნამოქმედარია. ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად იყენებენ ამ ტერმინს ("ავღანელი მტრები") თალიბ პარტიზანებსა და მათ მუსლიმ მოკავშირეებზე საუბრისას.

ამ შემთხვევამდე რამდენიმე საათით ადრე სარაკეტო დარტყმა მიაყენეს დედაქალაქში, ამერიკის საელჩოსთან მდებარე ნატო-ს წარმომადგენლობას. იტყობინებიან, რომ აფეთქების სიმძლავრემ შენობები დააზიანა, თუმცა ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით განსაკუთრებით იმატა ძალადობის აქტებმა, რომელთა განხორციელებაშიც თალიბებს ადანაშაულებენ.

ოფიციალური ცნობით, კვირას შეიარაღებულმა პირებმა ავღანეთის სამხრეთ ნაწილში თალიბანის მოწინააღმდეგე, გავლენიანი სასულიერო მოღვაწე მოკლეს. პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის მთავარ მხარდამჭერს ავღანეთის სასულიერო წრეებში - მაულვი აბდულა ფაიაზს ქალაქ ყანდაჰარში დაესხნენ თავს. ამ შემთხვევას წინ უძღოდა ფაიაზის მიერ ავღანეთის რელიგიურ საბჭოზე (ულემა შურა) წარმოთქმული სიტყვა. სწორედ მისი მიმართვის შემდეგ ჩამოართვეს მოლა ომარს ამირ ულ-მუმინეენის (მუსლიმთა ლიდერის) მაღალი წოდება და შეუწყვიტეს ყველა უფლებამოსილება.

ცოტა ხნის წინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები კვალავაც ამერიკელთა კონტროლქვეშ იქნება. ეს განცხადება ორი ქვეყნის პრეზიდენტის ვაშინგტონში შეხვედრისას გაკეთდა. მანამდე კარზაიმ სურვილი გამოთქვა, ნაწილობრივი კონტროლის უფლება მაინც ჰქონოდა ავღანეთში განლაგებულ ამერიკელთა სამხედრო ნაწილებზე.

როგორც სი-ენ-ენ-ი იუწყება, ამჟამად ავღანეთში 20-ათასიანი ამერიკული სამხედრო კონტინგენტია, რომლის შენახვაც შეერთებულ შტატებს თვეში ერთი მილიარდი აშშ დოლარი უჯდება. ამას გარდა, ქაბულსა და ქვეყნის სხვა ნაწილებში ნატო-ს წევრი-ქვეყნების კიდევ 8,200-მდე ჯარისკაცია დისლოცირებული.

*24 საათი*

# პროგნოზი გამართლდა

## საფრანგეთმა დიდი ევროპული იდეა ჩააგდო

პირველი გვერდიდან

თუ დღემდე ახალი უზენაესი კანონის პროექტისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ძირითად მიზეზად ჟაკ შირაკის კონსერვატიული მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით უკმაყოფილება სახელდებოდა, დღეს ფრანგი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ "არა" მხოლოდ ამ ერთი არგუმენტით არ ყოფილა მოტივირებული. ეს იყო ევროპის დაჩქარებულ გაფართოებაზე ფრანგების რეაქციის აშკარა გამოხატულება.

**"ევროკონსტიტუციის მოწინააღმდეგეთა გამარჯვება, ევროპაში საფრანგეთის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, აუცილებლად შექმნის რთულ პირობებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქვეყანა ორგანიზაციაში მაინც შეინარჩუნებს საკუთარ ადგილსა და როლს. 16 ივნისს ბრიუსელში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სამიტი გაიმართება, რომელზეც მე ჩვენი ქვეყნის პოზიციას დავიცავ. ევროპაში ჩვენი როლის დაცვისას ეროვნული ინტერესების გარშემო გაერთიანება გვმართებს,"** - განაცხადა ჟაკ შირაკმა სატელევიზიო მიმართვაში რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ. სახელმწიფო მეთაურმა ისიც აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში საკუთარ ქმედებათა პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს და ჟან პიერ რაფარენის მთავრობის საქმიანობას შეაფასებს.

**"მომხდარზე პასუხის გაცემას ვაპირებ ხელისუფლების ქმედებისათვის ახალი და ძლიერი იმპულსის მიცემით,"** - თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

იმავე დღეს ჟაკ შირაკი პრემიერ-მინისტრ რაფარენს ელისეს სასახლეში შეხვდა.

**"რაღაც გადაწყვეტილებამდე მივალთ დღეს ან ხვალ,"** - აღნიშნა რაფარენმა პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში, მაგრამ არაფერი უთქვამს, აპირებს თუ არა თანამდებობის დატოვებას. თუმცა, თუ ჟაკ შირაკის განცხადებების სიმძაფრით ვიმსჯელებთ, ამჟამინდელ პრემიერს თანამდებობის დატოვება მოუწევს. რაც შეეხება თავად შირაკს, ანალიტიკოსთა თქმით, ეს მისი ერთ-ერთი სერიოზული მარცხია. აქვე საინტერესო ანალოგიასაც გვთავაზობენ ექსპერტები - კერძოდ, ჟაკ შირაკი გენერალ დე გოლის შემდეგ მეორე პრეზიდენტია, რომელმაც საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის არსებობის მანძილზე რეფერენდუმში დამარცხება იწვნია. შირაკის გადაწყვეტილება, საფრანგეთის მოქალაქეებს რეფერენდუმის გზით გადაეწყვიტათ ევროკონსტიტუციის ბედი, საკმაოდ დიდი რისკი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტის, უშუალოდ, პარლამენტისთვის დაკისრება გაცილებით უსაფრთხო იქნებოდა თავად პრეზიდენტის რენომესთვის. ასეა თუ ისე, რეფერენდუმმა საფრანგეთის "გაყოფა" გამოიწვია. კონსტიტუციის მომხრეები ამ დოკუმენტს ევროკავშირის მოქმედებისათვის მეტი ეფექტურობის მიმცემ ძალად განიხილავენ, რომელიც ევროპას საშუალებას მისცემს, მსოფლიო საკითხებზე უნისონში ისაუბროს. ოპონენტებს ამ დოკუმენტის მიღების შემთხვევაში, ეროვნული იდენტობისა და სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე აშინებთ, რასაც, მათი აზრით, ევროპაში იაფი მუშახელის შემოდინება და უმუშევრობის ისედაც მაღალი დონის კიდევ უფრო ზრდა მოჰყვება. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება, საფრანგეთის რეფერენდუმის უარყოფითი შედეგებით დასრულების მიუხედავად, ეკონომიკური წინაპირობების გაუმჯობესების ტენდენცია სულაც არ შეინიშნება. პირიქით, რეფერენდუმის შედეგების გამოცხადებისთანავე აზიის ბაზარზე ევროს კურსი, აშშ დოლარსა (1:1.2510) და იაპონურ იენთან (1:135.09) მიმართებაში, საკმაოდ დაეცა.

ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროზუს თქმით, საფრანგეთის რეფერენდუმის შედეგებით არ შეიძლება ევროკონსტიტუციისათვის საბოლოო ვერდიქტის გამოტანა. ბაროზუს მოსაზრებას იზიარებს გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერიც.

**"რეფერენდუმის შედეგები, რასაკვირველია, საკონსტიტუციო პროცესზე ძლიერი დარტყმაა, მაგრამ არა - მისი აღსასრული,"** - განაცხადა კანცლერმა. მისი თქმით, ფრანგული პრეცედენტი გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობებზე უარყოფითად არ იმოქმედებს.

ევროპული ინტეგრაციის შეუფერხებლად გაგრძელების იმედი გამოთქვა, თავის მხრივ, პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ.

საფრანგეთის რეფერენდუმის შედეგებზე საუბრისას ვითარების დრამატიზირებას თავი აარიდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტანას ვალიონისმა.

**"მე ამაში ვერ ვხედავ ინსტიტუციური კრიზისის ნიშნებს. არ ღირს ვითარების დრამატიზირება, თუმცა ვერც მის სერიოზულობას უარვყოფთ. საჭიროა კარგად დაფიქრება. ვფიქრობ, უახლოეს სამიტზე ევროკავშირი იმსჯელებს შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებზე,"** - თქვა მან. თუმცა, მან ისიც აღნიშნა, რომ პოლიტიკური კრიზისის მიზეზი შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ ფრანგებმა ის კონსტიტუცია უარყვეს, რომელიც მათივე შექმნილია (ევროპის ახალი კონსტიტუციის მონახაზის ავტორი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ`ესტენია).

ფრანგების არჩევანის მიუხედავად, კონსტიტუციის პროექტის საბოლოოდ ჩავარდნაზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია ნიდერლანდების პრემიერსაც. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ფრანგულის მსგავსად, ნიდერლანდების შემთხვევაშიც არასასურველ პროგნოზს იძლევა სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის "მორის დე ჰონდის" მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები. ამ მონაცემების თანახმად, ჰოლანდიელთა 57 პროცენტი ევროპის ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგია.

### ორი სიტყვით

**ლიბანი.** კვირას ლიბანის დედაქალაქში გამართულ საპარლამენტო არჩევნების პირველ ეტაპზე ოპოზიციამ სრულ გამარჯვებას მიაღწია. ბეირუთის 19 საარჩევნო მანდატიდან ცხრამეტივე ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მომხრეებმა მიიღეს. ანტისირიულ ბლოკს 14 თებერვალს მოკლული პრემიერ-მინისტრის ვაჟი საად ჰარირი უდგას სათავეში. უნდა აღინიშნოს, რომ უმცროსი ჰარირის თანაპარტიელებს 9 საარჩევნო ოლქში, ფაქტობრივად, კონკურენტი არ ჰყოლიათ და მარტო იყრიდნენ კენჭს.

კვირა დღეს დაწყებული საპარლამენტო არჩევნები კიდევ სამ კვირას გასტანს. შემდეგი ეტაპი გაიმართება 5 ივნისს სამხრეთ ლიბანში. მომდევნო კვირა დღეს - მთიანი ლიბანისა და ბექაას ველის მცხოვრებნი მისცემენ ხმას, ხოლო 19 ივნისს, ყველაზე ბოლოს საარჩევნო ურნებთან ჩრდილოეთი ლიბანის მოსახლეობა მივა. **24 საათი**

■ ■ ■

**სუდანი.** ორშაბათს სუდანში დააკავეს საერთაშორისო ორგანიზაციის "ექიმები საზღვრებს გარეშე" წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პოლ ფორმანი. აფრიკის ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყნის გენერალური პროკურორი აცხადებს, რომ აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. საუბარია მარტში გამოქვეყნებულ ანგარიშზე, სადაც მოყვანილია ოთხთვენახევრის მანძილზე დარფურში მომხდარი 500 გაუპატიურების ფაქტი. გენპროკურორის თქმით, ანგარიშში აღწერილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერება. **როიტერსი**

■ ■ ■

**ყაზახეთი.** გუშინ ალმა-ათაში, სამორინე "პეკინში" ჭერი ჩამოინგრა. ყაზახეთის ყოფილი დედაქალაქის მაშველთა სამსახურის პრესმდივნის ნინა პეტუნინას ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არიან დაშავებულები, თუმცა დაზუსტებული ცნობები მათი რაოდენობის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**თურქეთი.** ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ორშაბათს ნავთობსადენის მახლობლად აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც მილსადენი დაზიანდა და, დაახლოებით, ას ბარელამდე ნავთობი დაიღვარა. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, აფეთქებამ ხანძარიც გამოიწვია, მაგრამ მისი ჩაქრობა მეხანძრეებმა მალევე მოახერხეს.

ჯერჯერობით მომხდარზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ადრე მსგავს დივერსიებს ქურთისტანის მუშათა პარტია ახორციელებდა. **როიტერსი**

■ ■ ■

**კავკასია.** რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა ჩეჩნეთში "გუდერმესის ამირა" მანსურ მაგომაევი მოკლეს. როგორც სააგენტო "ინტერფაქსი" იტყობინება, მაგომაევი გუდერმესში ერთ-ერთ კერძო სახლში აღმოაჩინეს. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, დაკავების დროს მაგომაევმა სპეცსამსახურის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია და ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა. ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის მართვის რეგიონულ ოპერატიულ შტაბში ჟურნალისტებს აცნობეს, რომ მაგომაევი ბოევიკთა ერთ-ერთი ლიდერის აჰმედ ავდორხანოვის "მარჯვენა ხელი" იყო. ის უკანონო შეიარაღებული ფორმირების ერთ-ერთ მეთაურთან უვაის ინდარიბიევთან ერთად 2001 წელს გუდერმესზე თავდასხმაში მონაწილეობდა.

საგულისხმოა, რომ 15 მაისს რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა ჩეჩნეთში კიდევ ერთი "გუდერმესის ამირას" - დენილბეკ ესკიევის სიკვდილის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია. რუსი სამართალდამცველები ამ პიროვნებაზეც აცხადებდნენ, რომ აჰმედ ავდორხანოვის "მარჯვენა ხელს" წარმოადგენდა. **24 საათი**

■ ■ ■

**ერაყი.** ორშაბათს ქვეყანაში განხორციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია "ალ-ქაიდამ" აიღო. ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტები ორმა ტერორისტმა-კამიკაძემ განახორციელა. ბოლო მონაცემებით, აფეთქებების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა და 50-ზე მეტი დაშავდა. პირველმა ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა ქალაქ ჰილაში სამედიცინო ცენტრთან აამოქმედა, სადაც პოლიციაში სამსახურის დაწყების მსურველები შემოწმებას გადიოდნენ; მეორე კამიკაძემ თავი საპროტესტო აქციის დროს აიფეთქა - დაახლოებით, 700 პოლიციელი ხელფასის გაზრდას მოითხოვდა. **ინტერპრესი**


# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს ფოთის საზღვაო ნავსადგურის შემოსასვლელი არხისა და ნატანდამჭერი ხაფანგის სარემონტო დასაღრმავებელი სამუშაოების შესყიდვაზე.

ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა - ფსკერდასაღრმავებელი კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.

1. შესასრულებელ სამუშაოთა ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და პირობები

1.1 შემოსასვლელი არხი საერთო სიგრძით 1600მ, მათ შორის I მუხლი სიგრძით - 950მ, ქვედა კიდეებს შორის სიგანით - 100მ, II მუხლი სიგრძით - 650მ, ქვედა კიდეებს შორის სიგანით - 60მ; აუცილებელი სიღრმე - 12,5მ;

1.2 ნატანდამჭერი ხაფანგი "-650"-დან "+400" პროფილამდე; მაქსიმალური სიგანე 130მ; დასაშვები სიღრმე - 12,5მ;

1.3 შემოსასვლელი არხის მთლიან მონაკვეთზე მცურავი ერთეულების მოძრაობა არის ერთ მიმართულებიანი;

1.4 საანგარიშო დონე - ფოთის ნავსადგურის "0";

1.5 შემოსასვლელი არხის დაბინძურება - არ არის;

1.6 შემოსასვლელ არხში აფეთქების საშიშროება არ არის;

1.7 წინასწარი მოცულობა დასაღრმავებელი სამუშაოებისა, 2005 წლის 25 მაისის მდგომარეობით შეადგენს - 1,025ათმ$^3$ (მოცულობა დამატებით დაზუსტდება სამუშაოების დაწყების წინ);

1.8 მოსახსნელი გრუნტის დასაშვები უთანაბრობის სისქე - 0,2მ (დამატებით დაზუსტდება მცურავი საშუალების არჩევის შემდეგ - მრავალჩამჩიანი მიწახაპია, მიწისმწოვი);

1.9 დასაშვები ცდომილება

- სიღრმეზე 0,3მ
- სიგანეზე 2,0მ მუშა ჭრილის ორივე მხარეს;

1.10 დასამუშავებელი ფერდის დახრა - 1:6;

1.11 ჰიდროტექნიკურ ნაგებობებთან (დამცავი მოლი) მიახლოების საზღვარი არა უმცირეს 30მ;

1.12 ამოსაღები გრუნტის დასახელება - მტვერისებრი ქვიშა, ქვიშნარი;

1.13 გრანულომეტრული კლასი და გრუნტის ჯგუფი - III; 3-M;

1.14 მანძილი წყალქვეშა გრუნტსაყარამდე (მდინარე რიონის სამხრეთ ტატთან მდებარე წყალქვეშა კანიონი) - 2კმ;

1.15 გრუნტის დაყრა უნდა განხორციელდეს წყალქვეშა (კანიონი) საყარის ფარგლებში;

1.16 მცურავ საშუალებებს (მრავალჩამჩიანი მიწახაპია, მიწისმწოვი) უნდა გააჩნდეს რეგისტრაციის დოკუმენტაცია;

1.17 მოიჯარადე ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ფსკერდასაღრმავებელი სამუშაოების წარმოების ლიცენზია;

1.18 მცურავი ერთეულის ეკიპაჟს უნდა გააჩნდეს სამუშაოთა წარმოების შესაბამისი კვალიფიკაცია;

1.19 კონკურსში მონაწილე ორგანიზაციას სასურველია ჰქონდეს საერთაშორისო ხარისხის სტანდარტის სერტიფიკატი;

2. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციას სამუშაოების ჩასატარებლად უნდა გააჩნდეს შემდეგი სახის აღჭურვილობა:

2.1 სარემონტო დასაღრმავებელი სამუშაოების ხარისხიანად და დროულად შესრულებისთვის მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მცურავ საშუალებათა ქარავნის კომპლექტაცია შესაბამისი ტიპის მიწახაპით და მიწისმწოვით, შემოსასვლელი არხისა და ნატანის დამჭერის აუცილებელი გაბარიტების უზრუნველსაყოფად;

3. სამუშაოთა წარმოების განსაკუთრებული პირობები:

3.1 კონკურსში მონაწილე ორგანიზაცია შემსყიდველის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე საკუთარი ძალებით ამუშავებს სამუშაოტა წარმოების ტექნოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ნაოსნობის უსაფრთხოებას, ტექნიკური უსაფრთხოების წესებს, სახანძრო უსაფრთხოებასა და შრომის დაცვას;

3.2 სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა: 2005 წელი

3.3 სამუშაოთა წარმოების ადგილმდებარეობა შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შემოსასვლელი არხი და ნატანდამჭერი ხაფანგით.

3.4 დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე, თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ. №52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის 1 სართული, შესყიდვების განყოფილება, ელ-ფოსტა besojojua@yahoo.com, ტელ/ფაქსი: +(995 393) 7-01-48. 2005 წლის 25 ივნისამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის:

ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

- ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი იყო თუ არა მსჯავრდებული;

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები).

4.1 მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

4.2 უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაო:

| N | შესყიდვების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს სახეობა | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

4.3 სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მცურავი საშუალებებისა და მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი.

| N | მცურავი საშუალებებისა და მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა, ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

4.4 ტენდერში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება.

| N | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი, გამოცდილება | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |
| . | | | | |
| . | | | | |

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მეთგანი აღმოჩნდება ყალბი.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების ჩაბარების შემდეგ საკონკურსო კომისია განიხილავს საკვალიფიკაციო მონაცემებს და დამტკიცებულ პრეტედენტებს აცნობებს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას 2005 წლის 01 ივლისამდე.

8. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტედენტებს შეუძლიათ შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ადმინისტრაციული შენობის 1 სართულზე შესყიდვების განყოფილებაში, (ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48) 2005 წლის 0! ივლისიდან 2005 წლის 11 ივლისამდე, 300 (სამასი) აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში, თანხის გადახდის შემდეგ (საკონკურსო მოსაკრებლის ანგარიში - ა/623607, ბანკის/კოდი: №220101606, საინდიფიკაციო/კოდი: № 2150809999, გაერთიანებული ქართული ბანკის №23-ე ფილიალი.

9. საკონკურსო წინადადება ქართველმა "მომწოდებლებმა" წარმოადგინოს - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

10. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 25 ივლისი, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის 1 სართული, შესყიდვების განყოფილება, ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ. №52, ელ-ფოსტა besojojua@yahoo.com, საკონტაქტო ტელ/ფაქსი: +(995 393) 7-01-48..

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 3 პროცენტის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5 პროცენტის ოდენობით.

14. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე.

15. კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: ქარავანის მობილიზაციის ვადებს და სამუსაოების დაწყებას, შ სასრულებელი სამუშაოების ხანგრძლივობას, ანგარიშსწორების პირობებს, სამუშაოების ღირებულებას 1მ ამოსაღებ მოცულობაზე და მთლიანად ხელშეკრულების შესაბამისად.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო პირი - შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი ბესარიომ ჯოჯუა ელ-ფოსტა besojojua@yahoo.com, ტელ/ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ. №52, ან ჰიდროტექნიკურ და საინჟინრო ნაგებობათა განყოფილების უფროსი გენადი კაჭაროვსკი, ელ-ფოსტა lkelbakiani@potiport.com, ტელ/ფაქსი: (+995 393) 7-01-35, ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №1, სამშენებლო კომპლექსის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული.

# თბილისში პოსტსაბჭოთა ქვეყნების საკრედიტო ბიუროების კონფერენცია გაიხსნა

თამარ ივანიძე

გუშინ თბილისში პოსტსაბჭოთა ქვეყნების საკრედიტო ბიუროების პირველი ორდღიანი კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციის ორგანიზატორია საქართველოს ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო, რომელიც საქართველოს ბანკებთან ერთად დსთ-ს სივრცეში პირველი საკრედიტო ბიუროს მთავარ დამფუძნებელს წარმოადგენს.

კონფერენცია ორ დღეს გასტანს. მისი სახელწოდებაა "საკრედიტო ბიუროების პორველი კონფერენცია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზარზე: შესაძლებლობები, გამოცდილება და განვითარება". ფორუმზე განიხილება რეგიონში კრედიტის მენეჯმენტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

როგორც ბიუროს დამფუძნებელმა აიეტ კუკავამ განაცხადა, კონფერენციის მონაწილე 15 ქვეყნის საკრედიტო ორგანიზაციებისა და საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ბაზარზე საკრედიტო ბიუროების ეფექტურად მუშაობის მექანიზმები შეიმუშავეს.

მისი განმარტებით, კონფერენციის მიზანია ბოლო წლებში დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, მსხვილი დასავლური კომპანიების წარმომადგენლებისგან ინფორმაციის მიღება და თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა იმ კომპანიებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან ბიზნესინფორმაციის დამუშავებასა და საკრედიტო რისკების შეფასებაში.

დსთ-ს სივრცეში პირველი ეროვნული საკრედიტო ბიურო 2002 წელს "საქართველოს ბანკის", "რესპუბლიკისა" და "პროკრედიტბანკის" მხარდაჭერით შეიქმნა.

ესიბ-იმ, ისლანდიური CREDIT-INFO-სა და ამერიკული GIA -ის (Global Investment Advisors) პარტნიორობით, ჩამოაყალიბა ფართო საკომუნიკაციო ქსელი, რომელიც იძლევა ინფორმაციის გაცვლის საშუალებას დიდი ბრიტანეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბალტიის ქვეყნებიდან, უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, პაკისტანიდან და ისლანდიიდან.

# აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში ცხელი ხაზი ამოქმედდება

დიანა ჩაჩუა

ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების მოძრაობა მკაცრად გაკონტროლდება, რათა ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურით ტვირთის მოძრაობის შემთხვევები გამოირიცხოს. ეს განცხადება გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის უფროსმა დავით გიორგაძემ გააკეთა. მისი თქმით, ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როცა ნავთობპროდუქტების მესაკუთრეები მყიდველებს ყალბ ანგარიშფაქტურებს აძლევენ.

**"ამგვარი ანგარიშფაქტურით შეძენილი ნავთობპროდუქტები რეალიზაციის ადგილამდე ყალბი დოკუმენტებით მოძრაობს. ადგილზე მიტანის შემდეგ კი, ნავთობპროდუქტების მყიდველი ამ დოკუმენტაციას ანადგურებს. ამიტომ, 1 ივნისიდან თბილისში ავტოგასამართი სადგურების ყოველდღიური შემოწმება განხორციელდება,"** - განაცხადა გიორგაძემ.

მისი თქმით, 1 ივნისიდან ინსპექციაში იმუშავებს სპეციალური სატელეფონო ხაზი, სადაც აქციზის გადამხდელებს შესაძლებლობა ექნებათ, ნავთობპროდუქტების ყალბი ანგარიშფაქტურით შეძენის შემთხვევები დააფიქსირონ. **"ზოგ შემთხვევაში მყიდველმა არც კი იცის, რომ ნავთობპროდუქტებს ყალბი ანგარიშფაქტურით ყიდულობს. გადასახადის გადამხდელი რომ არ დაზარალდეს, შესაბამისი დახმარებისთვის ჩვენ უნდა მოგვმართოს,"** - განაცხადა გიორგაძემ.

ამ დროისათვის უკვე დაფიქსირებულია ყალბი ანგარიშფაქტურის გამოყენების შვიდი შემთხვევა.

საგადასახადო დეპარტამენტი სპეციალურ ღონისძიებებს ახორციელებს თამბაქოს ნაწარმის ლეგალიზაციის მიზნითაც.

საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის უფროსის დავით გიორგაძის განცხადებით, თამბაქოს პროდუქციის ლეგალიზაციის ტენდენცია დადებითია - მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით, გაზრდილია აქციზის მოხმარების მაჩვენებელი.

**"მიუხედავად ამისა, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი მაინც არ არის. ამიტომ, ფინანსურ პოლიციასთან ერთად, გარკვეული ღონისძიებების გატარება იგეგმება, რათა ივნისის ბოლოსთვის თამბაქოს პროდუქციის ლეგალიზაციის დონე შარშანდელ ნიშნულს დაუბრუნდეს,"** - განაცხადა გიორგაძემ.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ახალი "საგადასახადო კოდექსის" ამოქმედების შემდეგ, საქართველოში კონტრაბანდული სიგარეტის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც თამბაქოს პროდუქციიდან ბიუჯეტში შემოსავლები შეამცირა.

# ლარის მიმოქცევის არეალი გაფართოვდა

**ლარი სტაბილურობასთან ერთად მსყიდველობითუნარიანობასაც შეინარჩუნებს?!**

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის განცხადებით, ლარის მიმოქცევის როგორც ეკონომიკური, ისე გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა. გასული წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ვალუტა თითქმის 13%-ით გამყარდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა ავტორიტეტულ ჟურნალ "Деньги"-ს სტატიაში - "პოლონურ-ქართული ალტერნატივა", რომლის ავტორიც მოსახლეობას ურჩევს, ფულადი დანაზოგები ქართულ ლარსა და პოლონურ ზლოტში შეინახონ.

"ლარის გაცვლითი კურსის დინამიკა ცხადყოფს, რომ ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება დროებითი მოვლენა არ ყოფილა. ეკონომიკაში განვითარებული დადებითი პროცესების შედეგად, ლარის მყარი პოზიცია მიმდინარე წელს კიდევ უფრო განმტკიცდება. ამასთან, 2005 წლის განვლილ პერიოდში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ მეტად ვიწრო დიაპაზონში - 1,81-1,84-ის ფარგლებში მოძრაობდა. საანალიზო პერიოდშივე, სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის ინტერვენციების ხვედრითი წილი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია," - განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა. თუმცა, მისი ინფორმაციით, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შესაბამისი ინსტრუმენტების მეშვეობით, ლარის კურსის მკვეთრი რყევების თავიდან ასაცილებლად საკმარისი ოდენობის სავალუტო რეზერვები გააჩნია. მიმდინარე წლის 25 მაისის მდგომარეობით, ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობამ 453.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი წლის დასაწყისიდან 70 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარით გაიზარდა. როგორც დავით ამაღლობელმა აღნიშნა, ქვეყნის ცენტრალური ბანკი ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის შენარჩუნებას მომავალშიც უზრუნველყოფს.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ეროვნული ვალუტის ასეთი მყარი პოზიცია სალარე ოპერაციების მასშტაბების გაფართოების სტიმულს კიდევ უფრო აძლიერებს. მიუხედავად იმისა, რომ ლარებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა თითქმის 2005 წლის დასაწყისის დონეზე რჩება, მათში ვადიანი დეპოზიტების წილის ზრდის ტენდენცია მეტად თვალსაჩინოა. ამასთან, მიმდინარე წელსვე გააქტიურდა ეკონომიკის მოთხოვნა ეროვნული ვალუტით დაკრედიტებაზე, რასაც საბანკო სისტემის ადეკვატური რეაქცია მოჰყვა. შედეგად, გასული 12 თვის განმავლობაში გაორმაგდა ლარებში გაცემული სესხები.

დავით ამაღლობელის შეფასებით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ეროვნული ვალუტის ფუნქციებიც. ლარი მოსახლეობისა და იურიდიული პირებისათვის, დანაზოგების შენახვისა და დეპონირების თვალსაზრისით, სულ უფრო მიმზიდველი ხდება. მომავალში, ეროვნული ვალუტის სიმყარე, თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკა და მდგრადი საბანკო სისტემა ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობას კიდევ უფრო აამაღლებს. შესაბამისად, ლარში აკუმულირებული დანაზოგების მოცულობაც საგრძნობლად გაიზრდება.

*24 საათი*

# SKY.GE - პირველი ტურისტული ცენტრი თბილისში

*დღეიდან, ნებისმიერ მსურველს თბილისის პირველ ტურისტულ ცენტრ SKY.GE-ში შესაძლებლობა ეძლევა, ერთდროულად - გადაცვალოს ვალუტა, შეიძინოს ჯანმრთელობისა და მოგზაურობის დაზღვევის პოლისები, გააგზავნოს და მიიღოს ფოსტა FedEx-ის მეშვეობით, დაგეგმოს საქმიანი ვიზიტი ან ოჯახური მოგზაურობა, და რაც მნიშვნელოვანია, "საქართველოს ბანკის" 0%-იანი სამოგზაურო სესხების მეშვეობით.*



გუშინ სს "საქართველოს ბანკმა", შვილობილ კომპანია "ბისიაი"-სთან, ტურისტულ სააგენტო SKY.GE-თან და FedEx-თან ერთად, თბილისში პირველი ტურისტული ცენტრი გახსნა. აქ კლიენტები პროფესიონალი ტურისტული აგენტებისა და კონსულტანტებისგან უმაღლესი ხარისხის მომსახურებას მიიღებენ.

**"ჩვენ მოხარული ვართ იმით, რომ მონაწილეობას ვიღებთ ასეთ ნოვატორულ პროექტში. თბილისში შექმნილი პირველი ტურისტული ცენტრი მალე ყველაზე პოპულარული გახდება ტურისტებისა და მოგზაურებისთვის, რომლებსაც სურთ სწრაფი, მაღალხარისხიანი და პროფესიული მომსახურების მიღება მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად,"** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ ტურისტული ცენტრის საზეიმო გახსნაზე.

ახალი ტურისტული ცენტრი SKY.GE კლიენტებს მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობს. მათ შორის, საბანკო მომსახურება, ჯამრთელობის და მოგზაურობის დაზღვევა, გადაზიდვები (ექსპრეს-გადარიცხვები და ელექტრონული ფოსტა), სასტუმროების დაჯავშნა, ავია ბილეთების დაჯავშნა, ღირსშესანიშნაობების დათვალიერების ორგანიზება, ვიზასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა, საქმიანი შეხვედრების ორგანიზება და სხვა.

**"ეს არის პირველი და ერთადერთი პროექტი საქართველოში, რომელიც კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს საქმიან ადამიანებს და ტურისტებს. ჩვენი ოფისის საქმიანობა ამარტივებს მოგზაურობასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. აღნიშნული შესაძლებელი გახდა იმ მომსახურებების შეჯერებით, რომელსაც ჩვენი პარტნიორები გვთავაზობენ: სს "საქართველოს ბანკი", "ბისიაი" და FedEx. ჩვენ კლიენტებს მაღალხარისხიან მომსახურებას ვთავაზობთ კვირის შვიდი დღის განმავლობაში. ჩვენს კლიენტებს ეხმარება კონსულტანტების გამოცდილი გუნდი, რომელსაც კარგად ესმის თანამედროვე საქმიანი მოგზაურობის მოთხოვნები და თქვენი ინდივიდუალური მოთხოვნილებები,"** - აღნიშნა SKY.GE-ს პროექტის დირექტორმა ზვიად ფოჩხუამ.

გუშინ ტურისტული ცენტრის გახსნის ცერემონიალზე "საქართველოს ბანკმა" საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონებს საჩუქრად გადასცა VISA GOLD ბარათები და SKY.GE 10% ფასდაკლების ბარათები. ღონისძიების ორგანიზატორებმა ტურისტული ცენტრის გახსნის ცერემონიალის დამსწრე საზოგადოებაში ასევე ავიაკომპანია KLM-ის და თეატრ "ნაბადის" ბილეთები გაათამაშეს.


## ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - "ფესტივალები" გამარჯვებულთა სია:

1. "არტ-გენი"-2005 - "თემის დაცვისა და კულტურული განვითარების კავშირი"
ღონისძიების ჩატარების თარიღი 20 - 27 ივნისი.
2. თბილისის IX საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი - "ისთ-ერნ პრომოუშენი"
ღონისძიების ჩატარების თარიღი 3 - 6 ივლისის ჩათვლით
3. "მზიური" - ახალგაზრდული კავშირი "მატარებელი".
ღონისძიების ჩატარების თარიღი 10 - 12 ივნისი.
4. თბილისის მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალი - კინოხელოვნების ცენტრი "პრომეთე".
ღონისძიების ჩატარების თარიღი 4 - 9 ოქტომბერი.
5. "არტ-კავკასია - 2005" - ასოციაცია "არტ-კავკასია:
ღონისძიების ჩატარების თარიღი 5 - 9 ოქტომბერი.
6. "ეპიკას დღეები თბილისში - 2005" - "ულტრაჯგუფი"
ღონისძიების ჩატარების თარიღი 1 - 3 ივლისი.
7. თბილისის მ. თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "საჩუქარი" - შპს. "GIFT-საჩუქარი."
ღონისძიების ჩატარების თარიღი 5 - 19 ივნისი.

ქ. თბილისის, ხეთაგუროვის ქ.№2
ტელ: 957315; 959880
http//www.tbilisiculture.com
E-mail: education-culturetb@yahoo.com

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

## განცხადება

2005 წლის 1 ივნისს, 15 საათზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი აწყობს პოტენციურ კონტრაქტორ ორგანიზაციებთან შეხვედრას სტიქიური მოვლენების შედეგად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დანგრეული გზებისა და გზებზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების აღდგენითი სამუშაოების პროგრამების გაცნობის მიზნით.

ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო სიმძლავრეები და აქვთ გამოცდილება გზებისა და გზებზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობაში, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ამ შეხვედრაში.

შემდგომში კონტრაქტორების შერჩევა მოხდება ერთ პირთან მოლაპარაკების წესით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
თბილისი, გაგარინის ქ. № 29/ა

## განცხადება

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის საავიაციო ინსტიტუტი, მისამართი: ქ. ქობულეთი აღმაშენებლის გამზირი N269.**

**აცხადებს ღია ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს შემდეგი სახის კვების პროდუქტების შესასყიდად.**

1. პური, პირველი ხარისხის - 155400 კგ.
2. ჩაი - 26,0 კგ.
3. კარაქი - 880 კგ.
4. შაქარი - 1660 კგ.
5. კვერცხი - 11100 ც. კგ.
6. მანი - 290 კგ.
7. შედედებული რძე - 160 კგ.
8. ბრინჯი - 590 კგ.
9. მაკარონი - 890 კგ.
10. ბარდა - 290 კგ.
11. ლობიო - 830 კგ.
12. ხორცი - 3330 კგ.
13. კარტოფილი - 8880 კგ.
14. ზეთი - 445 კგ.
15. ტომატი - 222 კგ.
16. სტაფილო - 444 კგ.
17. ხახვი - 666 კგ.
18. ნიორი - 110 კგ.
19. პილპილი, უცხო სუნელი - 70 კგ
20. მარილი - 666 კგ.
21. მწვანილი - 666 კგ.
22. ვაშლი - 1110 კგ.
23. კომბოსტო - 2220 კგ.
24. ჭარხალი - 1110 კგ.
25. ფქვილი (პურის) - 354 კგ.
26. ფუნთუშა - 22200 ც.
27. ქათამი - 2220 კგ.
28. წიწიბურა - 888 კგ.
29. მაიონეზი - 222 კგ.
30. ბარდის კონსერვი - 222 კგ.
31. ყველი - 555 კგ.
32. არაჟანი - 555 კგ.
33. თევზი - 500 კგ.
34. კაკაო - 100 კგ.
35. კისელი - 3510 კგ.
36. სოსისი - 700 კგ.

მოწოდებული პროდუქტი უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს.

მოწოდების სასურველ ვადად განისაზღვრება 2005 წლის 1 აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველი ორგანიზაციის წინასწარი დაკვეთის შესაბამისად დადგენილი გრაფიკით, შემსყიდველი ორგანიზაციის მისამართზე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართულ ენაზე) წარმოადგინონ 3 ივნისის 9 საათიდან 18 ივნისის 17 საათამდე შემსყიდველი ორგანიზაციის მისამართზე: ქ. ქობულეთი აღმაშენებლის გამზირი №269.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას, იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობას (სასამართლოდან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან), რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციო ცენტრიდან), რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან) რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობას (სამედიცინო დაწესებულებიდან), რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციო ცენტრიდან), რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან), რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს განცხადებაში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მიმართონ 18 ივნისის 9 საათიდან 23 ივნისის 17 საათამდე. მის. ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის 269.

სატენდერო დოკუმენტაცის შედგენილ უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე:
6-65-92, 6-65-05
მისამართი ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის 269.
სატენდერო მოსაკრებლის გადახდა პრეტედენტებს შეეძლებათ აჭარის ცენტრალურ ბანკში.
ბანკის კოდი 220501102
საიდენტიფიკაციო კოდი 245437317
ანგარიშის ნომერი 000134601**

# პროკურატურის დღე ახალმოსახლეობის ფონზე

*30 მაისი საქართველოს პროკურატურის დღეა. რამდენიმე წლის წინ დაარსებულ პროკურატურის დღესასწაულს ყოფილი უმაღლესი სამართალდამცველები, ძირითადად, გაწეული მუშაობის შეფასებით აღნიშნავდნენ ხოლმე. გუშინდელი დღე კი ტრადიციული ზეიმისგან აშკარად განსხვავდებოდა. ამ დღეს საქართველოს პროკურატურა, როგორც წესი, სხვადსხვა რეგიონის და რაიონის პროკურატურების ახალმოსახლეობებს ზეიმობდა.*

"პროკურატურის განვითარების პროექტის" ფარგლებში ევროსტანდარტების შესაბამისად უკვე გარემონტდა და გაიხსნა ვაკე-საბურთალოს, გლდანი-ნაძალადევის რაიონების და დედაქალაქის პროკურატურის ოფისები.

გუშინ კი წითელი ლენტი გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძემ პირველად თბილისში მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში გაჭრა. წლების განმავლობაში, თითქმის, დანგრევის პირას მისულმა რაიონის პროკურატურამ დღეიდან ორთაჭალაში ახალ, ევროსტანდარტების შესაბამის შენობაში გადაინაცვლა, რომელიც თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი.

**"ჩვენს თანამშრომლებს ძალიან დიდ პრეტენზიებს ვუყენებთ და თავდაუზოგავ შრომას ვთხოვთ, მაგრამ იმისათვის, რომ პროკურორებმა ხელმძღვანელების მოთხოვნა დააკმაყოფილონ, საჭიროა, მათ ნორმალური სამუშაო პირობები ჰქონდეთ. ეს იყო ჩვენი დაპირება, რომელიც თანდათანობით შევასრულეთ. ამის შემდეგ კი ჩვენ უფრო კატეგორიულნი ვიქნებით",** - განაცხადა კახა კობერიძემ.

**"პროკურატურა ნამდვილად იმსახურებს ისეთ შენობას, რომ იქ მისვლა არა მარტო მომუშავე პერსონალს, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქესაც არ უქმნიდეს უხერხულობას. სამწუხაროდ, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურა დღემდე სწორედ ასეთ შენობაში იყო განთავსებული. ახალი შენობა კი ძალზედ დიდი საჩუქარია ჩვენთვის და რაიონის თითოეული მოქალაქისთვის",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მთაწმინდა- კრწანისის რაიონის პროკურორმა პაატა ტყეშელაშვილმა.



*მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორი პაატა ტყეშელაშვილი.*

გუშინვე გენერალური პროკურორის მოადგილეებმა კახა კობერიძემ და ნონა წოწორიამ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის ახლად გარემონტებული შენობა გახსნეს. ქვემო ქართლის პროკურატურა შენობის მეორე სართულზე განთავსდება, პირველზე კი, ასევე, ახლად გარემონტებული რუსთავი-გარდაბნის პროკურატურები იმუშავებენ.

**"შენობის რემონტი და ტექნიკით აღჭურვა 375 ათასი ლარი დაჯდა და თანხები ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო",** - განაცხადა ნონა წოწორიამ. ნონა წოწორიას განცხადებით, წლის ბოლომდე გარემონტებული და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი იქნება, პრაქტიკულად, ყველა რეგიონის პროკურატურის შენობა. მოკლე პერიოდში ახალმოსახლეობას იზეიმებენ ბოლნისის, მარნეულის, სიღნაღის, ისანი-სამგორის რაიონების პროკურატურების შენობებიც. წლის ბოლოს კი დასრულებული იქნება კახეთის, იმერეთის და აჭარის საოლქო პროკურატურებიც, რომელებიც საბოლოოდ პროკურატურის ერთიან კომპიუტერულ ქსელში გაერთიანდება.

*24 საათი*

# თამაზ ბაკურიძე განაჩენის მოლოდინშია

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნის და აჭარის ტელე-რადიო მაუწყებლობის ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ბაკურიძის სასამართლო პროცესი, რომლიც, უკვე ათი თვეა, მიმდინარეობს, დასასრულს უახლოვდება. გუშინ განახლებულ სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა საბრალდებო სიტყვა თქვა და სასამართლოს ბაკურიძისთვის შვიდწლიანი პატიმრობის მისჯა მოსთხოვა.*

თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, კერძოდ, დიდი ოდენობის თანხების არამიზნობრივი ხარჯვასა და მითვისებაში ბრალდებული თამაზ ბაკურიძის ინტერესების დამცველს იმედი აქვს, რომ მოსამართლე დაეყრდნობა არა წინასწარ, არამედ სასამართლო გამოძიებას, მისი დაცვის ქვეშ მყოფს უდანაშაულოდ ცნობს და, საბოლოოდ, ბაკურიძის სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება. განაჩენის გამოტანისას მართლმსაჯულებას ობიექტურობის დაცვას სთხოვენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

როგორც ბაკურიძის ადვოკატი აცხადებს, გუშინდელ სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს აღძრული სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნა უცვლელად წაიკითხა. **"ჟურნალისტის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 2003 წლის სექტემბერში, ასლან აბაშიძის განკარგულებით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მუხლით აღიძრა. მაშინდელი გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო ჟურნალისტის მხრიდან აჭარის მეთაურის წინააღმდეგ საჯარო დაპირისპირებასთან. მან პირველმა უწინასწარმეტყველა ასლან აბაშიძეს პოლიტიკური ლიკვიდაცია",** - აცხადებს ბაკურიძის ინტერესების დამცველი.

ბაკურიძის მხარდამჭერები თვლიან, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლების პერიოდში ჟურნალისტის წინააღმდეგ განხორციელებული არაკანონიერი სისხლის სამართლებრივი დევნა ინერციით გააგრძელა ახალმა ხელისუფლებამ. თავად განსასჯელი წარდგენილ ბრალდებებს დღემდე არ აღიარებს და თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს. "ნუ დაუშვებთ პრეცედენტს, რომ ქვეყანას საპატიმროში ჟურნალისტი პოლიტპატიმრის სტატუსით ჰყავდეს", - ასეთ მიმართვას უგზავნის ხელისუფლებას თამაზ ბაკურიძე. **"აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცეზე თავად ბრალდების მხარის არც ერთმა მოწმემ ბაკურიძის ბრალეულობა არ დაადასტურა. 30-მდე სასამართლო სხდომა დაზარალებული მხარის დაუსწრებლად ჩატარდა, 25-მა მოწმემ კი მართლმსაჯულებას ბაკურიძის სასარგებლო ჩვენებები მისცა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ გამოძიებას მართლაც არ გააჩნია ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ მოპოვებული უტყუარი დანაშაულებრივი მტკიცებულებები",** - აცხადებს თამაზ ბაკურიძის ადვოკატი.

ერთი სიტყვით, ათთვიანი სასამართლო პროცესი უახლოეს ხანში დასრულდება. მომდევნო სასამართლო სხდომაზე განსასჯელის ადვოკატი დაცვით სიტყვას იტყვის. მან სახელმწიფო ბრალმდებლის საბრალდებო სიტყვის დეტალურად გასაცნობად და მოსამზადებლად ათდღიანი ვადა მოითხოვა. მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანამდე, ადვოკატის დაცვითი სიტყვის შემდეგ საბოლოო სიტყვის სათქმელად განსასჯელი მოემზადება.

*24 საათი*

# პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების დამსწრეთა სანდოობა ხშირად ეჭვს იწვევს

ომბუდსმენის აპარატის წევრები ცრუ დამსწრეებისა და ცრუ მოწმეების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ. როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, პოლიციის მიერ საგამოძიებო მოქმედებებისას გამოყენებული მოწმეები ხშირად სანდონი არ არიან, რის გამოც, "ცრუ დამსწრეების" მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები შესასწავლი და გამოსაძიებელი ხდება.

სახალხო დამცველმა ორი დღის წინ წერილობით მიმართა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურორს ვაჟა აბაკელიას, ასევე - გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს ლევან მაღრაძეს და მათ ქრთამის გამოძალვის ბრალდებით დაკავებული შალვა ბარდაველიძის საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მოწმის თემურ გოგიჩაიშვილის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ახსნა-განმარტებების სანდოობის, მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შესწავლა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღება მოსთხოვა.

სახალხო დამცველის აპარატს დახმარებისათვის მიმართა შალვა ბარდაველიძის ინტერესების დამცველმა გიორგი ტაბლიაშვილმა. საქმე ისაა, რომ ორი თვის წინ თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ, ჩხრეკის შედეგებზე დაყრდნობით, ბარდაველიძეს ეჭვმიტანილად ცნობის ოქმი წარუდგინა. როგორც გაირკვა, ჩხრეკას ესწრებოდა უკვე კარგად ცნობილი ერთ-ერთი "ცრუ დამსწრე" - თემურ გოგიჩაიშვილი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოკვლეული მასალების მიხედვით, თემურ გოგიჩაიშვილი ექვსჯერ არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. ამასთან, იგი ინტენსიურად ესწრება პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩატარებულ ჩხრეკებს.

სახალხო დამცველს სოზარ სუბარს საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ გოგიჩაიშვილი დაინტერესებულია სამართალდამცავთა მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგებით და პოლიციასთან უკანონო თანამშრომლობას ეწევა.

*24 საათი*

# "თავისუფლების ინსტიტუტი" სასამართლოების თავმჯდომარეების წინააღმდეგ

**"სასამართლო სისტემა მხოლოდ პროკურატურის დაკვეთების შემსრულებელ უწყებად იქცა",** - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები და სასამართლოებს კანონის უხეშად დარღვევაში ადანაშაულებენ.

"თავისუფლების ინსტიტუტის" მონაცემებით, თბილისის რაიონული სასამართლოებისა საოლქო სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების შესახებ პროკურატურიდან მიღებული შუამდგომლობების 95 პროცენტი დაკმაყოფილებულია, რაც, არასამთავრობოთა აზრით, წარმოუდგენელი მაჩვენებელია. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის რაიონულ სასამართლოებსა და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით და სცადა, გამოეთხოვა წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ პროკურატურიდან მიღებული შუამდგომლობებისა და მათი აღსრულების შესახებ მიღებული ინფორმაცია. საპასუხოდ, ამ სასამართლოებიდან მხოლოდ ერთმა - ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ხელმძღვანელმა დააკმაყოფილა სოზარ სუბარის თხოვნა და მას შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდა.

არადა, სახალხო დამცველს უფლება აქვს, მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, გრიფით "საიდუმლოც" კი. სოზარ სუბარის მიერ მოთხოვნილი მასალა კი საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა და მისი მიღება არათუ სახალხო დამცველს, კანონით, ნებისმიერ რიგით მოქალაქესაც შეეძლო.

**"აღნიშნული ინფორმაციის დაფარვით სასამართლოების ხელმძღვანელებმა კანონი უხეშად დაარღვიეს",** - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები და სასამართლოების თავმჯდომარეების პასუხიმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვენ.

*24 საათი*

# თამარაშენში მომხდარ შეტაკებაში ქართული მხარე ოს სეპარატისტებს ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

ოსური მხარე აცხადებს, რომ გარდაცვლილები არც ერთი ოფიციალური უწყების წარმომადგენლები არ არიან. არაოფიციალური წყაროების ინფორმაციით კი, გარდაცვლილებები იმ ე.წ. მოხალისეთა ლაშქრის წევრები არიან, რომელიც გასულ ზაფხულს განვითარებული მოვლენების დროს შეიქმნა ცხინვალში. გარდა ამისა, გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ გარდაცვლილები ნამდვილად იყვნენ ძალოვანი უწყების, კონკრეტულად კი, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები, თუმცა ცხინვალის ხელისუფლება ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

მეტიც, კოკოითის ხელისუფლება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარ შეტაკებაში ქართველ პოლიციელებს ადანაშაულებს. სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა უსაფუძვლო უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას - მთვრალი ოსი სამხედრო მოსამსახურეების დადანაშაულებას მომხდარ ინციდენტში.

**"უაზის" მარკის ავტომანქანას, რომელშიც სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები იმყოფებოდნენ, ცეცხლი ქართველმა პოლიციელებმა გაუხსნეს და ჩვენ მათ გადმოცემას მოვითხოვთ"**, - განაცხადა მან. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება ქართულ სოფლებთან ქურთასთან და თამარაშენთან მომხდარ ინციდენტს ქართულ-ოსური მოლაპარაკების პროცესის ჩაშლის მცდელობად აფასებს.

**"ეს მოლაპარაკების პროცესის ჩაშლის მცდელობაა. ადრე ქართული მხარე აცხადებდა, რომ სურს, პრობლემა ძალისმიერი გზით მოაგვაროს"**, - განუცხადა "რია ნოვოსტის" "რუსეთის ფედერაციაში სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა.

მედოევის თქმით, **"მოცემულ სიტუაციაში სიტყვა "დაჯგუფების" გამოყენება მიულებელია"**.

**"მიმდინარეობს (კონფლიქტის) მოგვარების რთული პროცესი. მის ფარგლებში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა უნდა გამართულიყო, მაგრამ არიან ძალები, რომლებსაც პროცესის მშვიდობიანი გზით განვითარება არ სურთ"**, - აღნიშნა მან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი მომხდარზე პასუხისმგებლობას ოსურ მხარეს აკისრებს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, გაძლიერებულია საგუშაგოები და ყველაფერი გაკეთდება რეგიონში სიმშვიდის შესანარჩუნებლად.

**"დემილიტარიზაციის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია"** - ასე აფასებს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ქართველ სამართალდამცავებსა და ოს მოქალაქეებს შორის მომხდარ შეტაკებას.

შეიარაღებული შეტაკება ცხინვალის რეგიონში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომის წინ მოხდა, რომელიც ვლადიკავკაზში უნდა გამართულიყო.

ხაინდრავას თქმით, კონფლიქტის ზონაში მავანთ დემილიტარიზაციის პროცესი არ სურთ და პროვოკაციებს აწყობენ.

**"მხარეები ყველაფერს აკეთებენ, რათა შექმნილი ვითარება კონტროლს დაექვემდებაროს"**, - აცხადებს გიორგი ხაინდრავა.

მომხდარ ინციდენტს, რასაც როგორც ქართული, ასევე, ოსური მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა, სპეციალურად შექმნილი ერთობლივი კომისია გამოიძიებს. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ. მისი თქმით, კომისიაში შევლენ ქართული და ოსური მხარის, ასევე - სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები. ხაინდრავას განცხადებით, ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანაა, რომ კონფლიქტის ზონაში არ მოხდეს სიტუაციის გამწვავება.

*24 საათი*

# დაზარალებულები განსასჯელების მიმართ ჰუმანურობას იჩენენ

თბილისის საოლქო სასამართლო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს განიხილავს, რომლის მიხედვითაც, ბასილ მკალავიშვილს, სხვისი ქონების განზრახ განადგურებისა და სხვა ბრალდებების გამო, ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა, მისი მრევლის ერთ-ერთ წევრს, პეტრე ივანიძეს კი ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯათ.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე, მართლმსაჯულებას მოწმის სახით, ჩვენება მისცა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილმა ხელმძღვანელმა თემურ მღებრიშვილმა. მღებრიშვილი 2003 წლის 24 იანვარს თბილისში, კედიას ქუჩაზე ეკუმენისტური ლოცვის ჩაშლის ეპიზოდთან დაკავშირებით დაიკითხა. ბრალდების თანახმად, მკალავიშვილის მრევლის წევრებმა კედიას ქუჩაზე შეკრებილ ხალხს ლოცვის ჩატარების საშუალება არ მისცეს.

როგორც თემურ მღებრიშვილმა სასამართლო კოლეგიას განუცხადა, ამ დღეს მკალავიშვილის მრევლის წევრების ქმედებას ექსცესები არ მოჰყოლია და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სპეცდანიშნულების რაზმის წევრების ჩართვის აუცილებლობა არ გამხდარა საჭირო. ამავე ბრალდებასთან დაკავშირებით გუშინვე სასამართლოს ჩვენება ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტმა მალხაზ სონღულაშვილმაც მისცა. ბრალდების მიხედვით, იგი დაზარალებულ მხარედ არის ცნობილი. თავად სონღულაშვილი განსასჯელების დასჯას არ მოითხოვს და მათი პატიებისკენ სხვა დაზარალებულებსაც მოუწოდებს. სონღულაშვილი სასამართლოს დაკავებულების გათავისუფლების თხოვნითაც მიმართავს.

მომდევნო სასამართლო პროცესზე თბილისის ადმინისტრაციული პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელის მიხეილ სალაძის დაკითხვაა დაგეგმილი.

*ინტერ-პრესი*

# ომბუდსმენი კვლავ ცრუ მოწმეებზე ჩივის

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების დამსწრეთა სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს და სამართალდამცველებს კვლავ ცრუ მოწმეთა გამოყენებაში ადანაშაულებს. სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, ქრთამის გამოძალვაში ბრალდებული შალვა ბარდაველიძის საქმეში, მოწმის სტატუსით, ფიგურირებს მოქალაქე თემურ გოგიჩაიშვილი, რომელიც ექვსჯერ არის მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და, ამასთან, იგი ინტენსიურად ესწრება პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩატარებულ ჩხრეკებს. სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ვარაუდით, გოგიჩაიშვილი დაინტერესებულია სამართალდამცავთა მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგებით და პოლიციასთან უკანონოდ თანამშრომლობს. აღნიშნულ საქმეზე რეაგირების მოთხოვნით, სახალხო დამცველმა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურასა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიმართა.

*ინტერ-პრესი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**.......................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** .......................................................

**საკონტაქტო ტელეფონი**.......................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური [illegible];
2. მეტროს სადგური [illegible];
3. მეტროს სადგური [illegible];
4. მეტროს სადგური [illegible];
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible];
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური [illegible];
10. [illegible] "24 საათის" [illegible];
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" [illegible];

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".


## ორი სიტყვით

**თბილისი.** ჩეჩნეთში სპეცსამსახურების თანამშრომლებმა გუდერმესის რაიონის ე.წ. ემირი მანსურ მაგომაევი მოკლეს. მაგომაევი გუდერმესში ერთ-ერთ კერძო სახლში აღმოაჩინეს. დაკავების მცდელობის დროს მან სპეცსამსახურის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია და სროლის დროს დაიღუპა. როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის მართვის რეგიონულ ოპერატიულ შტაბში ჟურნალისტებს აცნობეს, მაგომაევი ბოევიკთა ერთ-ერთი ლიდერის აჰმედ ავდორჰანოვის "მარჯვენა ხელი" იყო. ის უკანონო შეიარაღებული ფორმირების ერთ-ერთ მეთაურთან უვაის ინდარბიევთან ერთად 2001 წელს გუდერმესზე თავდასხმაში მონაწილეობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის საქალაქო სასამართლოში აჭარის ტელევიზიის ყოფილი დირექტორის, ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნის თამაზ ბაკურიძის საქმის განხილვა შედგა. სასამართლომ ბრალმდებლის მოთხოვნა მოისმინა. პროკურატურა ბაკურიძეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში ადანაშაულებს. პროკურორმა მისთვის შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. როგორც ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, ბაკურიძე სრულიად უდანაშაულოა. დაცვის მხარემ საბოლოო სიტყვისთვის ათი დღის ვადა მოითხოვა. **მედიანიუსი**

# ჩრდილოვანი ეკონომიკის აღლუმი საქართველოში

*ჩრდილოვანი ეკონომიკის აღლუმი მაშინ იწყება, როცა მაფია კორუფციულ ფორმას იძენს. "კორუპტიონ" ლათინურად თანამდებობის პირის მოსყიდვა-გარიგებაა, რომლის მიზანია ქრთამი, შედეგი - შავი ფული, გათეთრება კი - დასასრული. "მაფია" იტალიურად ეკონომიკურ სფეროში, ძალადობაზე დამყარებულ სოციალურ ურთიერთობათა სისტემაა. როცა ძალადობას კორუფცია ცვლის, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა უშედეგოა და აღლუმი შეუქცევადი ხდება.*

გურამ ტუღუში
ანტიკორუფციული კავშირის "ენვეიქსი"-ს საბჭოს თავმჯდომარე

## პროფიციტული ბიუჯეტი

მუდმივ სეკვესტრებს ჩვეულნი, პროფიციტული ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების მოწმენი გავხდით. გეგმის ზევით მობილიზებული იქნა: სახელმწიფო ბიუჯეტში - 28 მილიონი ლარი, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში - 37 მილიონი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან: ცენტრალურ ბიუჯეტში 6,9 მილიონი, საგზაო ფონდში - 9,5 მილიონი ლარი, სოც. უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში - 10,9 მილიონი ლარი. კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულება, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 1 მილიარდი ლარით.

რესპუბლიკაში შემცირდა: სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 17 რაიონში, ნათესი ფართობები - ათეულ ათას ჰექტრობით, მარცვალ პარკოსნების წარმოება - ათეულ ათას ტონობით. სიღარიბესთან ერთად, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდამ კულმინაციას მიაღწია, უმუშევართა რიცხვმა - 305 ათას კაცს გადააჭარბა, საბიუჯეტო რეზერვები ხელუხლებელია - ბიუჯეტი მაინც გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ როგორ? კითხვაზე პასუხი არ ჩანს.

## მიმოფანტული საბიუჯეტო რეზერვები

ქვეყნის საბიუჯეტო ბაზამ გასულ წელს 4 მილიარდ ლარს გადააჭარბა, მესამედიც ვერ ავითვისეთ. მილიარდობით ლარი ყურადღების მიღმა დარჩა და მისი ათვისების ტექნოლოგია ვერავინ შეიმუშავა. აღურიცხავ-დაუბეგრავი პროდუქციის მოცულობა, ყველა ეტაპზე გათვლით, 12 მილიარდიდან 16 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, მატება 4 მილიარდი - ოთხჯერ მეტია, ვიდრე წინა წლის და ორჯერ მეტი, ვიდრე წინა სამ წელიწადში ერთად აღებული. გასულ წელს არ აღირიცხა და არ დაიბეგრა: პურფუნთუშეული - 616 ათ.ტ. ფქვილი - 511 ათ.ტ. შაქარი - 12 ათ.ტ. სიგარეტი - 142 მილ. კოლოფი, ნათურა - 18 მილ. ცალი, საბურავი - 1,1 მილ.ცალი, ბენზინი - 547 ათ.ტ. დიზელი - 299 ათ.ტ. მარტო წლის პირველ ნახევარში: შავი ლითონის ჯართი - 78 ათ.ტ. ხე-ტყე: დაუმუშავებელი - 6,4 ათ.კბ. დამუშავებული - 10,2 ათ.კბ. კერამიკული ფილები - 6,5 ათ.ტ. და ა.შ.

აღურიცხავი ტვირთების საერთო წონამ 3,6 მილიონი ტონა შეადგინა, რომლის ტრანსპორტირებას დასჭირდა ათი ტონა ტვირთამწეობის 360 ათასი პირობითი ტრაილერი, რომლებიც უპრობლემოდ მოძრაობდნენ რესპუბლიკის ყველა რეგიონში. მარტო თურქეთის რესპუბლიკაში ექვს თვეში აღურიცხავად ექსპორტირებული იქნა 120 მილიონი დოლარის ღირებულების - 225 ათასი ტონა, ხოლო იმპორტირებული - 15 მილიონი დოლარის ღირებულების 70 ათასი ტონა ტვირთი, ანუ საზღვარი შეუმჩნევლად გადალახა 22500-მა და გადმოლახა 7 ათასმა პირობითმა ტრაილერმა.

"დიდი საქმე, საბაჟო მოსაკრებელი ექსპორტზე, სულ რაღაც, 0,2 პროცენტია," - გვანუგეშებენ გულგრილი ჩინოსნები, ეს 0,2 პროცენტი - 420 ათასი ლარია, აღურიცხავი პროდუქციაა საწარმოებში, დაკარგული გადასახადები და შავი ფულია საზღვარგარეთულ ბანკებში. ყოველივე ეს ხდება ჩვენი ხელშეწყობით, თვალის არიდებით, ჩვენივე ხელით დაწერილი მტაცებლური საგადასახადო კოდექსით, მერე ჩვენვე ვკეტავთ გზებსა და გზაჯვარედინებს, გავკივით: "შეგვხვდეს პრეზიდენტი," და მოვითხოვთ პენსიების, ხელფასების, დახმარებების გაორმაგებას და დროულად გაცემას.

მოხმარებული პროდუქციიდან გასულ წელს არ დაიბეგრა: პურფუნთუშეული და ფქვილი - 86-86 პროცენტი, ბენზინი და დიზელი - 64-64 პროცენტი, მეტლახი და კაფელი - 43 პროცენტი. 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი, დღეში საშუალოდ აღირიცხა: ფქვილი - 53 გრამი, პურფუნთუშეული - 63,9 გრ. მაშ. თბილისში - 129 გრ, ქუთაისში - 158 გრ, ბათუმში - 52 გრ, ქობულეთში - 36 გრ, დანარჩენი პროდუქციებიდან კი: მაკარონი - 6 გრ, ძეხვი - 2,6 გრ, არაყი, ლიქიორი და კონიაკი ერთად - 3 გრ, კარაქი - 3,2 გრ, მინერალური წყალი - 4,6 გრ, სიგარეტი 1 მწეველზე 10,8 ღერი და ბენზინი ერთ მანქანაზე 2,9 ლიტრი, თბილისში 4,2 ლიტრი და რაიონებში 918 გრამი. ბენზინის კონტრაბანდა გაიზარდა 67 ათასი ტონით - 547 ათას ტონამდე, დიზელის კი შემცირდა 40 ათასი ტონით - 299 ათას ტონამდე.

კახეთის მხარის 6 რაიონში რეალიზებული 9 ათასი ტონა საწვავი ხვნა-თესვას ვერ ეყო, ანუ ექვსივე რაიონის ავტოპარკის საწვავის წლიური დანახარჯი ბალანსით ნულს უტოლდება.

ამ ფორმის საბიუჯეტო რეზერვების სიმრავლე, ეკონომიკური დანაშაულის მასშტაბების მანიშნებელია. რა იყო ეს - დანაშაული თუ დრაკონულ საგადასახადო კოდექსს შეტოვებულ მეწარმეთა იძულებითი ღონისძიება, გაკოტრებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა, გზა საკუთარი ბიზნესის გადარჩენისა. ან იქნებ, ლეგალური და არალეგალური იმპორტის საშუალო ფასებმა გაგვიიოლა ან დაკარგულმა საბიუჯეტო შემოსავლებმა გაგვიუარესა ცხოვრება. ანალიზი ამ კუთხით არ გაკეთებულა და კომპეტენტური დასკვნის უფლებაც არავის ენიჭება.

## კორუფციის თბილისური შუქ-ჩრდილები

თბილისი ერთადერთი დედაქალაქი მსოფლიოში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედზე მეტი - 1 მილიონ 80 ათასი კაცი ცხოვრობს, ქალაქი ურიცხვი კაზინოებით, მარკეტებით და სუპერმარკეტებით, დაუღლელი ოპერატორებით და მუნჯი ექსპერტებით, გამარჯვების ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდა ლიდერებით, რომლებიც მუდამჟამს გადაულახავ პრობლემებად მონათლულ, არარსებულ ფინანსურ პრობლემებს უჩივიან.

მაინც არავინ ცდილობს, ქალაქის 1,5-მილიარდიანი საბიუჯეტო ბაზიდან თუნდაც ნახევარი აითვისოს. არც იმას აღიარებენ, რომ ქალაქში გასულ წელს ბრუნვაში იყო, ყველა ეტაპზე გათვლით, 5 მილიარდი ლარის ღირებულების აღურიცხავ-დაუბეგრავი პროდუქცია, მ.შ. იყო: პურფუნთშეული - 128 ათ.ტ. ფქვილი - 106 ათ.ტ. საწვავი - 245 ათ.ტ. სიგარეტი - 35 მილიონი კოლოფი, რომლის ტრანსპორტირება მოახდინა 48 ათასმა პირობითმა ტრაილერმა, რომლებსაც აღურიცხავი დაუბეგრავი, ტვირთები გადაჰქონდათ. არავის აინტერესებს, თბილისის 147-მა ლუქდადებულმა, ბენზოგასამართმა სადგურმა როგორ შეძლო 245 ათასი ტონა კონტრაბანდული საწვავის რეალიზაცია.

თვალს ვერ ავარიდებთ კურიოზულ სტატისტიკას, მოხმარებული პროდუქციიდან არ აღირიცხა: ფქვილი და პურფუნთუშეული 72-72 პროცენტი, საწვავი - 54 პროცენტი, სიგარეტი - 39 პროცენტი. დღეში საშუალოდ მოხმარება 1 სულზე აღირიცხა: პურფუნთუშეული - 129 გრ, ფქვილი - 107 გრ, სიგარეტი - 1 მწეველზე 11 ღერი და ა.შ.

ვერავინ ამჩნევს, რომ სავაჭრო ქსელი გადაჭედილია აღურიცხავი პროდუქციით, ვერ ამჩნევენ ფარულ შრომით საქმიანობას და კომერციული ფართის ფარულ იჯარას, ფალსიფიცირებულ პროდუქციას, ცენტრალურ პროსპექტებზე ამოყრილ გამწვანების "ბარდიულებს" და გადაკეტილ "ტროტუარებს", ღია ტიპის უგემოვნო, ერთი ინდ. მეწარმის კუთვნილ, მომსახურების ობიექტების მწკრივს, რომლებიც იმდენივე გადასახადს იხდიან, რამდენსაც ინდმეწარმე-მეწაღე.

სამწუხაროა, რომ მილიონიან ქალაქში ერთი კაციც ვერ მოძებნეს, რომელიც პროდუქციის აღურიცხაობის აღკვეთის ტექნოლოგიებს, ფალსიფიცირებული ზენორმიული პროდუქციის აღრიცხვა-დაბეგვრის წესს შეიმუშავებდა. თბილისში ვერც იმას ამჩნევენ, თუ რას ნიშნავდა, რომ 1468 გადამამუშავებელმა საწარმომ, რესტორანმა და სასტუმრომ სამეურნეო წელი მილიონობით ლარის ზარალით დაამთავრა და მუშაობას დღესაც სიხარულით აგრძელებს.

## ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის ტემპები

ერაყელ ფანატიკოსთა წყალობით მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდას ყველა სახის პროდუქციის ფასების ზრდა მოჰყვა. დაზარალდნენ მომხმარებლის სტატუსდამკვიდრებული ქვეყნები, მით უმეტეს, საქართველო, როცა ჩვენმა ფინანსისტებმა შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმების ამოქმედებაზე უარი თქვეს. ფასების ზრდა ბიუჯეტის შესრულების უტყუარ გარანტად აღიქვეს. ვერავინ გაიაზრა, რომ ბიუჯეტის შესრულების შერჩეული ფორმა ჩრდილოვან ეკონომიკას და სიღარიბეს ორმაგად ზრდიდა.

ყოველ ტონაზე ფასები გაიზარდა: ხორბლის - 84 ლარით, ფქვილის - 92, შაქრის - 70, ყავის - 892, ზეთის - 626, სარეცხი საშუალებების - 371, ბენზინის - 207, დიზელის - 175 და ნავთის - 258 ლარით. ფასების ზრდის ხარჯზე დასაბეგრი ბრუნვა, ყველა ეტაპზე გათვლით, გაიზარდა: ფქვილის ლეგალური იმპორტით - 103 მილიონი ლარით, არალეგალური იმპორტით ჩრდილოვანი ეკონომიკა - 236 მილიონი ლარით, შესაბამისად ბენზინით - 183 და 340 მლ. ლ-ით. დიზელით - 87 და 157 მლ. ლ-ით. მარტო ამ სამმა პროდუქციამ დასაბეგრი ბრუნვა გაზარდა 375, ხოლო ჩრდილოვანი ეკონომიკა - 733 მლ. ლარით. ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის ელემენტებში ფიგურირებს აღურიცხავი პროდუქცია: 142 მლ.კოლოფი სიგარეტი, 12 ათ.ტ. შაქარი, 18 მლ.ნათურა, 1,1 მლ.საბურავი, 284 ათ.ტ. ხორბალი, ამდენივე ფქვილი და ქატო, თურქეთის რესპუბლიკაში აღურიცხავად ექსპორტირებული 225 ათ.ტ. და იმპორტირებული 70 ათ.ტ. ტვირთი და სხვა მრავალი. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა 4 მილიარდი ლარით - 33 პროცენტით გაიზარდა.

**თუ ჩინოსანმა იცის, რაც ხდება და დუმს, მაშინ ყველა კორუმპირებული ყოფილა, მაგრამ თუ დუმან იმიტომ, რომ არ იციან, რა ხდება, მაშინ - არაკომპეტენტურნი. სხვა ლოგიკა და მესამე სტატუსი არ არსებობს.**

სამწუხაროა, რომ ჩემი კავშირის პირმშომ, საფინანსო პოლიციამ იმედი გამიცრუა და თავისი მოვალეობა 2 პროცენტითაც ვერ შეასრულა. საგადასახადო კოდექსის 223 მუხლის მე-5-ე პუნქტის გამოყენებაც კი საკმარისი იყო, რომ ბიუჯეტი სამმაგად შესრულებულიყო, თუნდ, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტები გაგვეუქმებინა და გადამხდელები გადასახადებისაგან გაგვეთავისუფლებინა.

ლოგიკას უსიამოვნო დასკვნამდე მივყავართ: "კორუპტიონ" თანამდებობის პირის ანუ სახელმწიფო მოხელის მოსყიდვაა, ანუ არ არსებობს კორუფცია სახელმწიფო მოხელის გარეშე, ხოლო ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომლის მასშტაბებს ქმნის მაფია, სადაც ძალადობა კორუფციამ ჩაანაცვლა, ნიშნავს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა სახელმწიფო მოხელეთა ხელდასმული სფერო ყოფილა. არც სხვა დასკვნაა სასიამოვნო: თუ ჩინოსანმა იცის, რაც ხდება და დუმს, მაშინ ყველა კორუმპირებული ყოფილა, მაგრამ თუ დუმან იმიტომ, რომ არ იციან, რა ხდება, მაშინ - არაკომპეტენტურნი. სხვა ლოგიკა და მესამე სტატუსი არ არსებობს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის რაღაც ნაწილი ჩვეულებრივი ეკონომიკური დანაშაულია კორუფციის გარეშე, რაღაც ნაწილს კორუფციული ფორმა აქვს ანგარების გარეშე - ქართული მენტალიტეტის, ნაცნობმეგობრობის შედეგია, დანარჩენი ნაწილი კი მთლიანად ანგარებითი კორუფციაა, რაც ანტიკორუფციული ღონისძიებების რეალიზაციას ართულებს.

აუცილებელი ხდება ახალი ფორმის საკანონმდებლო აქტების შემუშავება, რომ ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა, დასჯადობასთან ერთად, შეუძლებელი იყოს. ეს პრობლემას არ წარმოადგენს, ჩინოსანთა სურვილი რომ არსებობდეს. მიმდინარე პროცესების შემყურეს არ მიკვირს, თუ ყველგან რატომ არის დაარქივებული ჩვენი მიზნობრივი პროგრამა: "კორუფციული ოპერაციების ბლოკირებით 3 მილიარდი ბიუჯეტს."

## მართული ინფლაცია

"ინფლაციონ" ლათინურად გაბერვა, ჭარბი ქაღალდის ფულით მიმოქცევის არხების გადავსებაა, რომლის შედეგია ფასების ზრდა სამომხმარებლო ბაზარზე, უცხოური ვალუტის კურსის დაცემა, ლაჟი ოქროზე და ა.შ.

სექტემბრის ჭენებითი და დეკემბრის მცოცავი ინფლაცია დაიწყო და დამთავრდა, ამა თუ იმ ვალუტის მოზღვავება-დეფიციტის გარეშე. უცხოური ვალუტის კურსის დაცემა ექსპერტთა ერთმა ნაწილმა შეცდომით ლარის გამყარებად მიიჩნია, ორივე ინფლაცია შეფარულ ძალთა ინტერესებს ემსახურებოდა და ყოველგვარი კონტრღონისძიებების გარეშე დამთავრდა. პირველი შეწყდა მომენტალურად, 10 სექტემბერს, დღის 4 საათზე, მთავრობის სხდომის დამთავრებისთანავე. 24 საათში ლარის კურსი ნორმაში ჩადგა, რაც მისი მართულობის მანიშნებელი იყო.

ორივე პერიოდის ინფლაციით დაზარალდა, პირველ რიგში, მოსახლეობა. თითოეული ოჯახის თვიური დანახარჯი, საშუალოდ, 150 ლარით გაიზარდა, ეს იყო ხელფასებისა და პენსიების შემცირება არაპირდაპირი გზით, ასევე დაზარალდნენ: ექსპორტიორები, საბაჟო და რკინიგზის დეპარტამენტის ტიპის საწარმოები, რომელთა შემოსავალი, ძირითადად, უცხოური ვალუტაა.

მოგებული დარჩა: სახელმწიფო - რომელმაც შეავსო სავალუტო რეზერვები, ბიუჯეტში მობილიზება გაუკეთა ინფლაცირებული ლარის დიდ მასას, დაფარა ვალების ერთი ნაწილი; კომერციული ბანკები, იმპორტიორები და თელასის ტიპის საწარმოები - რომელთა შემოსავალი ეროვნული, ხოლო გასავლის ნაწილი - უცხოური ვალუტაა.

## საწვავი და სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობაში 801 ათას ჰა სახნავიდან მოსავლის მისაღებად ყოველწლიურად 10 ათ.ტ. ბენზინს და 59 ათ.ტ დიზელს ხარჯავს. კულტურების მიხედვით, ყოველ ჰა ფართობზე 80-დან 250 ლიტრამდე საწვავი იხარჯება. საწვავზე ფასების ზრდის შედეგად, დანახარჯი ხორბლის ნათესზე 112 ლარით-291 ლარამდე გაიზარდა. ხორბლის თვითღირებულება ასეთ ანგარიშით საცალო ფასს გაუსწორდა. თუ არა საწვავის არალეგალური იმპორტი და ალაზანზე "გადაჭიმული" რეზინის მილები, დაბალი ცხობის უნარის 16-17 წებოგვარას მქონე ხორბლის რეალიზაცია პრექტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

თუ ფინანსთა სამინისტრომ შეასრულა დანაპირები და დავიწყეთ საწვავის რეალიზაცია ევროპული სტანდარტების მიხედვით, საწვავის დანახარჯი ჰა-ზე კიდევ 125 ლარამდე გაიზრდება და 416 ლარს მიაღწევს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა პროდუქციის წარმოების მხრივაც, და თუ ამ ტემპით ფასების ზრდა გაგრძელდა, ხვნა-თესვას აზრი დაეკარგება და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხვალ მეცხვარე, მევენახე და მექანიზატორი ვაგზლის ბაზრობის მუდმივ სტუმრებად ვიხილოთ. ორჯერ გაიზრდება პრობლემები, თუ ამერიკელთა პროგნოზი გამართლდა და ბარელი ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე 100 დოლარამდე გაიზარდა. ამ დარტყმას პირველად სოფელი მიიღებს, სოფელი, სადაც დღეს 2 მილიონ 62 ათასი კაცი - 515 ათასი ოჯახი ცხოვრობს.

**ორივე პერიოდის ინფლაციით, პირველ რიგში, მოსახლეობა დაზარალდა. თითოეული ოჯახის თვიური დანახარჯი, საშუალოდ, 150 ლარით გაიზარდა, ეს იყო ხელფასებისა და პენსიების შემცირება არაპირდაპირი გზით, ასევე დაზარალდნენ: ექსპორტიორები, საბაჟო და რკინიგზის დეპარტამენტის ტიპის საწარმოები, რომელთა შემოსავალი, ძირითადად, უცხოური ვალუტაა.**

## ბიუჯეტის შესრულების საიდუმლო

ნიჭიერად მართულ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა და ფინანსები მეცნიერულ დონეზე იმართება, ბიუჯეტის შესრულების საფუძველი, ყველა შემთხვევაში, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირება, სამამულო პროდუქციის წარმოების ზრდა და, დადებით სალდოს შენარჩუნების პირობით, იმპორტ-ექსპორტის განვითარებაა.

გარე სამყაროში მიმდინარე უარყოფითმა ეკონომიკურმა პროცესებმა უპრობლემოდ შემოაღწია ქვეყნის დაუცველ საბაჟო სივრცეში. იმპორტზე ფასების ზრდა სწრაფად გავრცელდა სამამულო წარმოების სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ფასების ზრდის შედეგად მიღებული დასაბეგრი ბრუნვა ბიუჯეტის შესრულების, მართალია, ერთჯერად, მაგრამ უტყუარ გარანტად აღიქვეს.

ყველა ეტაპზე გათვლით დასაბეგრი ბრუნვა გაიზარდა: ფქვილის იმპორტის ხარჯზე 103 მლ. ლ-ით, შესაბამისად, ხორბლის - 161, შაქრის - 46, ყავის - 8, ზეთის - 45, სარეცხი საშუალებების - 15, ბენზინის - 183, დიზელის - 87 და ნავთის იმპორტის ხარჯზე - 28 მლ. ლარით. 9 სახის პროდუქციამ, რომლის წილი იმპორტში 31 პროცენტია, დასაბეგრი ბრუნვა გაიზარდა 680 მილიონი ლარით. იმპორტირებული პროდუქციიდან დანარჩენი 79 პროცენტის, 649 მილიონი დოლარის ღირებულების ექსპორტირებული პროდუქციის, 2,8 მილიარდი ლარის ღირებულების სამამულო წარმოების სამრეწველო, ამასთან - სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ფასების ზრდის ხარჯზე დასაბეგრი ბრუნვა, ყველა ეტაპზე გათვლით, 3 მილიარდ ლარამდე გაიზარდა და ბიუჯეტმა უშრომელად მიიღო, მინიმუმ, 600 მილიონი ლარი.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, 17 რაიონში შემცირების მიუხედავად, ღირებულებაში გაიზარდა 315 მილიონი ლარით. სიგარეტის წარმოება შემცირდა 8,5 მილიონი კოლოფით, ღირებულებაში კი გაიზარდა 12 მილიონი ლარით. სამამულო პროდუქციის წარმოების ზრდას მნიშვნელობა აღარ ენიჭება, სანამ ფინანსისტები ბიუჯეტის შესრულების ყველაზე იოლ ფორმებს, ფასების ზრდის ელემენტებს ფლობენ.

ბიუჯეტში მობილიზებული იყო: ფასების ზრდის ხარჯზე 600 მილიონამდე ლარი, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტივებით - 80 მილიონამდე, პრივატიზაციით - 73 მილიონი, წარმატებებით - 143 მილიონი ლარი. მათ შორის არის სპეცფონდებში წინა წლიდან გადმოყოლილი ნაშთი 7 მილიონი ლარი, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან სპეცფონდებში განხორციელებული ტრანსფერტი 15,4 მილიონი ლარი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტებში დააფიქსირეს მუხლით: "სხვა შემოსავლები", ამასთან, ანარიცხები - 121 მილიონი ლარი. ჯამში, ასეთმა შემოსავლებმა 896 მილიონი ლარი შეადგინა, რომლის გარეშე საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები გეგმებს 80 პროცენტითაც ვერ შეასრულებდნენ. შედეგად მივიღეთ საამაყო შესრულება: სახელმწიფო ბიუჯეტში 1,8 და კონსოლიდირებულ ბიუჯეტში 2,4 მილიარდი ლარი.

ანალოგიური პროცესები დღესაც მიმდინარეობს და მ.წ. ბიუჯეტს პრობლემები არ ექნება. მაგრამ, რა იქნება მომავალ, 2006 წელს?

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ნულს უახლოვდება, შსს "რეზერვი" თითქმის ამოიწურა, წარმატებებს, ალბათ, შევწყვეტთ, ერაყის ომი დასრულდება ანუ ნავთობის ფასი 28 დოლარამდე შემცირდება, ფასების ვარდნით დავკარგავთ: დასაბეგრ ბრუნვას 3 მილიარდ, ბიუჯეტში კი - 900 მილიონამდე ლარს, რომლის საკომპენსაციოდ ამ ეტაპზე არაფერი ჩანს.

რა იქნება, თუ ამერიკელთა პროგნოზი გამართლდა და ბარელი ნავთობის ფასი 100 დოლარამდე გაიზარდა? გაორმაგდება ფასები, დასაბეგრი ბრუნვა, ბიუჯეტის შემოსავლები, გაიზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკა, თითოეული ოჯახის დამატებითი დანახარჯი - 300 ლარამდე, რომლის კომპენსირება ბიუჯეტიდან შეუძლებელი იქნება.

ფინანსისტები რჩებიან არჩევანის წინაშე: ან ორმაგად შესრულებული ბიუჯეტი და ფასების ზრდის ხარჯზე ცხოვრების პირობების გაუარესება, ან გაუმჯობესება და ბიუჯეტის პრობლემები. რომელს აირჩევენ, ამას ნოემბერ-დეკემბერში ვიხილავთ.

**საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ნულს უახლოვდება, შსს "რეზერვი" თითქმის ამოიწურა, წარმატებებს, ალბათ, შევწყვეტთ, ერაყის ომი დასრულდება ანუ ნავთობის ფასი 28 დოლარამდე შემცირდება, ფასების ვარდნით დავკარგავთ: დასაბეგრ ბრუნვას 3 მილიარდ, ბიუჯეტში კი - 900 მილიონამდე ლარს, რომლის საკომპენსაციოდ ამ ეტაპზე არაფერი ჩანს.**

## ეკონომიკა და ტერიტორიული კონფლიქტები

გორში და ზუგდიდში სიცოცხლე რომ დუღდეს, ოსები და აფხაზები სამხრეთისკენ იბრუნებდნენ პირს. მაგრამ ეს არ მოხდება, სანამ ჩრდილოვანი ეკონომიკა და სიღარიბე შეუჩერებლად იზრდება. ამ პირობებში, განაწყენებულ თანამემამულეებს გაღატაკებულ ქვეყანაში აქეთ ვეპატიჟებით, ძირძველები კი იქით გარბიან.

დილეტანტთა წყალობით, ბიუჯეტმა ბოლო ათ წელიწადში 20 მილიარდამდე ლარი დაკარგა. ეს კი საკმარისზე მეტი იყო, ვიდრე ქვეყნის აღორძინებას სჭირდებოდა. ტერიტორიული პრობლემები მოგვარებული გვექნებოდა, მაგრამ სულ "ჩქარა"-ს და "გვაცალე"-ს ძახილით გვკვებავდნენ.

12 წლის მანძილზე, სხვადასხვა დონის დელეგაციები და კომისიები წერდნენ ოქმებს, დადგენილებებს, პროტოკოლებს. გვესმოდა: "ეს უკვე საქმეა", "გამოიკვეთა პოზიტივი", "გადაიდგა პირველი ნაბიჯი", იხარჯებოდა დრო და მილიონები. ვერ ვხვდებოდით, რომ ეს იყო დროის გაყვანის პოლიტიკა, რომ არ არსებობს სეპარატისტებისთვის მისაღები დიალოგის და სტატუსის ფორმა, თუ მასში არ დაინახეს რუსული მიზნების მისაღწევი საიმედო ტრამპლინი, ეს კი ჩვენთვის მიუღებელია, ანუ პრობლემის მშვიდობიანი ფორმით მოგვარების ყველა საშუალება ამოწურულია.

ძალის გამოყენებაც უშედეგო იქნება, სანამ არსებობს გუდაუთა და როკის გვირაბი - საბრძოლო ტექნიკით მომარაგების უწყვეტი ხაზი. "ვერ ჩაერევიან, უფლება არა აქვთ," - გვაიმედებენ გულუბრყვილონი. თუ მოსახდენი მოხდება, მერე ოკეანის გაღმა წლობით ვიაროთ და ვარკვიოთ, ვინ რა პირობა დაარღვია, ვინ მტყუანია და ვინ - მართალი.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის იდეას სეპარატისტები სატყუარად მიიჩნევდნენ. სამართლიანად შეწყდა მსჯელობა ამ თემაზე, პრობლემის მოგვარების გზებს დღეს მთებს გადაღმა დავეძებთ.

მოგვეცით ადმინისტრაციულ საზღვრებზე პოლიტიკური დატვირთვების გარეშე, ქაოსურად განვითარებადი ათი ერგნეთის ბაზრობა, დაბეგვრის რეჟიმში მოქცეული "ერგნეთული იმპორტი", ათი სოლიდური ერთობლივი საწარმო და ფინანსური ვალდებულებებით დატვირთულ, ერთნაირი მიზნების და მისწრაფებების მქონე ადამიანთა ეკონომიკურ კავშირებს ვერაფერს დააკლებს პოლიტიკოსთა კაპრიზები. აფხაზები, ოსები და ქართველები ერთად მოილხენენ, პოლიტიკოსებმა კი იმოგზაურონ, იდავონ და წერონ პროტოკოლები.

## დანაშაულის კვალდაკვალ

იმპერიის ნგრევამ ერთნაირად დააზარალა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. დავკარგეთ ნედლეულის მომწოდებლები და პროდუქციის გამსაღებლები. რუსეთს ბლოკადა გამოვუცხადეთ, გავაჩერეთ საწარმოები, შევწყვიტეთ პროდუქციის წარმოება-მიწოდება. დავნერგეთ წინასწარი ჩარიცხვის წესი და პრობლემები შევუქმენით არარენტაბელურ საწარმოებს, გავაჩერეთ, და უფრო მეტად გაიზარდა უმუშევრობა.

უმუშევარი ადამიანების არსებობის ერთადერთ გზად იმპორტი მივიჩნიეთ. შეღავათები გავავრცელეთ მეფრინველეობის პროდუქტების და ფქვილის იმპორტზე, "დაგვავიწყდა" ხორბალი, დავბლოკეთ მეფრინველეობის 35 ფაბრიკა და 10 წისქვილ-კომბინატი, უმუშევრად დავტოვეთ, შესაბამისად, 25 ათასი და 4,5 ათასი კაცი. თვალი ავარიდეთ სარეცხი საშუალებების, ცხიმების, საკონდიტრო და პარფიუმერული ნაწარმის კონტრაბანდას, დავბლოკეთ: საპნის ქარხანა, ცხიმკომბინატი, საკონდიტრო და პარფიუმერიის ფაბრიკები, ქუჩაში გავუშვით კიდევ სამი ათასი კაცი. დავბლოკეთ ზუგდიდის კამვოლკომბინატის გაფართოებისათვის კრედიტის გამოყოფის გეგმა - დავბლოკეთ შულავერის და ვაზიანის მატყლის სარეცხი ფაბრიკები, რესპუბლიკის 14 რაიონის 132 სოფელში კი - მეცხვარეობის განვითარება. ფასებით დავეწიეთ ევროპას, ხელფასებით - აფრიკას. ვიცოდით, რას ვანგრევდით, არ ვიცოდით, რა უნდა აგვეშენებინა. დაუძლურებულთ, არ შეგვეძლო დანგრეული ეკონომიკის აღდგენა. ქვეყანას სჭირდებოდა ამ ფუნქციის შემსრულებელი ქართველი "ფორდები" და "როკფელერები", დავიწყეთ მათი "ჩამოყალიბება".

გაუფასურებულ კუპონებში ვაბრუნებდით კრედიტებს და ვყიდდით მატერიალურ აქტივებს, ღირებულების შემცირების მიზნით, ვარგისი დანადგარებისა და ნაგებობათა ამორტიზაციის მოტივით ჩამოწერა დავიწყეთ, ხანდაზმული კრედიტორების აღდგენა და დებიტორების უიმედობის მოტივით ჩამოწერა. ნულოვანი აუქციონებით მთელი სიმდიდრე გავანიავეთ. 6-ჯერ გავმდიდრდით, როცა 5 დოლარად ნაყიდ ვაუჩერებს პრივატიზაციის დროს 30 დოლარად ვუთვლიდით. კუპონის კურსის დაფიქსირება 1993 წლის 7 აპრილს შეგვახსენდა და სწრაფად დავიწყეთ გაუფასურებული კუპონების შესყიდვა გამყარების მოლოდინში, მერე დავაბრუნეთ, და საბოლოოდ გავძარცვეთ ქვეყანა.

**სამამულო პროდუქციის წარმოების ზრდას მნიშვნელობა აღარ ენიჭება, სანამ ფინანსისტები ფლობენ ბიუჯეტის შესრულების ყველაზე იოლ ფორმებს, ფასების ზრდის ელემენტებს.**

გვახარებდა მთებს გაღმიდან მიღებული კრედიტები და გრანტები, რომლებიც იმპორტზე მადის აღძვრას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ეკონომიკის აღდგენას. არავინ ეკითხებოდა თუნდაც თურქეთის ფინანსთა მინისტრს საქართველოს ბაზრის დაპყრობით მიღებული მოგებიდან, რა ნაწილს უხდიდა საწევრო გადასახადების სახით იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საიდანაც იგივე თანხის ნაწილი, ისევ იმპორტზე მადის აღსაძვრელად, კრედიტების სახით მოედინებოდა ჩვენს ქვეყანაში და კვლავინდებურად გვეხარჯებოდა ისევ იმპორტზე, და ვიმყარებდით მომხმარებლის სტატუსს.

ვერ მივიღეთ ვერც "ფორდები" ვერც "როკფელერები". ხელში შემოგვრჩა მდიდარი მეწარმეები, გამაკოტრებელი საგადასახადო კოდექსი და შარის მოყვარული ჩინოსნები. მიმტევებლები ვართ, ადვილად ვივიწყებთ გაჭირვებას, რა იქნებოდა, რომ გვყოლოდა თუნდაც უკანონო გზებით გამდიდრებული, თავიანთი ფინანსებით ათ-ათი: ივანიშვილი, ორჯონიკიძე, გელაშვილი, პატარკაციშვილი, ზენდუქიძე, თოფაძე, ჭყონია, ტყემალაძე, ხაზარაძე, ფიფია, ბუბუტეიშვილი, საგანელიძე და სხვები. დღეს ჩვენ კუვეიტის დარი ქვეყანა ვიქნებოდით, სიღარიბე და უმუშევრობა ძველ ქართულ ლექსიკონში საძებარი სიტყვები იქნებოდა.

ეს იყო ყველას დანაშაული, სიკეთის ძიებაში, დანაშაული-დამნაშავეების გარეშე, სიკეთე ვერ ვიპოვეთ, დანაშაული კვლავ გრძელდება და შემჩერებელი არ ჩანს. პირიქით, კვლავ მოქმედებს მძარცველური საგადასახადო კოდექსი, რომელიც აიძულებს მეწარმეს: ან დამნაშავე გახდეს, ან გაკოტრდეს. ანუ აირჩიოს: ან ციხე, ან შიმშილი.

## რეზიუმე

განვკარგავთ სამრეწველო საწარმოებს, სახნავ-სათესებს, მაგრამ - უნიჭოდ. ვამცირებთ: სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას, ნათესებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. გვაქვს წისქვილკომბინატები, მეფრინველეობის ფაბრიკები - მთებს გადაღმა ვყიდულობთ ფქვილს და მეფრინველეობის პროდუქტებს. გვაქვს ცხიმკომბინატი, საპნის ქარხანა, საკონდიტრო და პარფიუმერიის ფაბრიკები - შემოგვაქვს ცხიმები, სარეცხი საშუალებები, საკონდიტრო და პარფიუმერიის ნაწარმი. გვაქვს აბრეშუმის პარკი, მატყლი, ტყავი - არ ვჭრით, არ ვკერავთ, ვყიდით და ევროპაში დავეძებთ სინთეზური ბოჭკოს ქსოვილებს. გვაქვს ხე-ტყე, ჯართი - ვყიდით და იქვე ვყიდულობთ ასანთსა და ელექტროსადენებს. გვაქვს ღვინის ქარხნები, ვენახები - გვიფუჭდება ყურძენი. გვაქვს აუთვისებელი საბიუჯეტო რეზერვები - ბიუჯეტს ვასრულებთ იმ ფორმებით, რომლის შედეგადაც იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკა და სიღარიბე. პრეზიდენტი გვავალებს ერთს, ჩვენ ვაკეთებთ მეორეს, პრეზიდენტი მოითხოვს ერთად დგომას, სათნოებას - ჩვენ კი, პირიქით, ვზრდით დაპირისპირებას.

პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერები იმდენ ხანს დევნიდნენ ინტელიგენციას და ქუჩაში "27 ვიგინდარა"-ს მღეროდნენ, სანამ ერი შუაზე არ გაიყო და მთავრობას არ დაუპირისპირდა. მეორე პრეზიდენტის მომხრეები იმდენ ხანს აზეპირებინებდნენ ამომრჩევლებს საარჩევნო სიებში მსხვილი ასოებით ჩაწერილი მკვდარი სულების გვარებს და იმდენ ხანს უწოდებდნენ გაყალბებულ არჩევნებს დემოკრატიულს, სანამ გაღიზიანებამ პიკს არ მიაღწია და ვარდების რევოლუცია არ მოხდა. ყველა მედალიონის პირველ მხარეზე მამებლობა, მეორეზე კი - დაპირისპირება ეწერა. ძალიან საეჭვოდ ჰგავს დღევანდელი მედალიონი გუშინდელს. მაშ, როგორ გავიგოთ:

პრეზიდენტის ინიციატივით გლეხობას მოუხსნეს მიწის გადასახადი, ჰა-ზე დანახარჯი შეუმცირეს 15 ლარით - მავანმა საწვავის ფასების ზრდით გაუდიდა 112 ლარით. პრეზიდენტმა მძღოლები გაათავისუფლა ტექ. დათვალიერების გადასახადებისგან - მავანმა აღუდგინა. პრეზიდენტის ინიციატივით პენსიები გაორმაგდა - მავანმა არაპირდაპირი გზით გაანახევრა. პრეზიდენტი ხელფასების ზრდას შეგვპირდა ხელფასის ფონდის ზრდით - მავანმა გაადიდა შტატების შემცირებით. პრეზიდენტი გვპირდება დახმარებებს - მავანთ მოახდინეს გადავადება. პრეზიდენტი გვპირდებოდა კადრების შერჩევას პროფესიონალებში - მავანნი პოულობენ ბირჟაზე, ძმაკაცებში. პრეზიდენტი გვპირდებოდა ბიუჯეტის შესრულებას წარმოებების ამუშავებით - მავანნი აღწევენ ფასების ზრდით. პრეზიდენტი განაწყენებულ თანამემამულეებთან მოითხოვს ნდობის აღდგენას - მავანნი კი უკადრისი ტერმინებით ალიზიანებენ. ვერ ვიხსენებთ ჩინოსანთა მიერ პრეზიდენტის დავალების შესრულების ისეთ ფორმას, რომელსაც მოსახლეობის გაღიზიანება და გამწარება არ მოჰყოლოდეს.

და თუ ყველა გაღიზიანებულმა ერთად იყვირა, ხმაც კი მეწყერს დაემსგავსება, და თუ ვინმემ გულში უკადრისი გაივლო, ყველას გასაგონად ხმამაღლა ვიყვირებ... "მეტის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!"

სანამ თეატრი დაგვემშვიდობება



B2

"დემოკრატია ცხვრის ფარა არ არის"



B3

ახალი კაცი ქართულ კალათბურთში



B4

კანის ფესტივალის ექო

# დანიელი რეჟისორი ამერიკის პრეზიდენტით უკმაყოფილოა

## ლარს ფონ ტრიერის ახალი ფილმი "მანდერლეი"

ნინია კაკაბაძე

მაშინ, როდესაც საქართველოს მცირეოდენი ხნით ვტოვებდი, ქვეყანა "მსოფლიო დირექტორის" მოლოდინში იყო. ბატონ ბუშს პრაქტიკულად ერთი ნაბიჯით გავასწარი. კანში, სადაც 58-ე საერთაშორისო კინოფესტივალი იმართებოდა, ბევრი ჩემი "დირექტორი" დამხვდა. დირექტორებში, ბუნებრივია, არა პოლიტიკოსები, არამედ კინორეჟისორები იგულისხმებიან. მათი მოსმენა, მათი ფილმის ნახვა და, ეჭვი მაქვს, მათი ცეკვაც, მგონი, პოლიტიკოსებისას და მათ შორის ჯორჯ ბუშისასაც სჯობს. მოკლედ, მაშინ, როდესაც მისტერ ბუში მეიდანზე კურტუმოს აქნევდა, დანიელი კინორეჟისორი კანის ფესტივალზე თავის ახალ ფილმს აჩვენებდა და პრესკონფერენციაზე იმასაც ამბობდა, რომ მისტერ ბუში პროჭია.

ფილმი MANDERLAY ლარს ფონ ტრიერის მეორე ტრილოგიის მეორე ნაწილია. მაშინ, როდესაც ტრიერის ფილმის სანახავად ემზადები, ყოველთვის სიახლეს ელი - ახალი სტილი, ახალი კინომანერა, ესთეტიკა და ჩემთვის, როგორც მისი ერთგული მაყურებლისათვის, ექსპერიმენტი. დანიელი რეჟისორის უკანასკნელი ნამუშევარი სტილურ სიახლეს ნამდვილად მოკლებულია, ეს ტრიერის უკანასკნელი ფილმის, "დოგვილის" გაგრძელება უფროა, ვიდრე ტრილოგიის ნაწილი. რეჟისორმა ამ შემთხვევაში ფილმი შინაარსობრივადაც კი გააგრძელა, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ტრილოგია შინაარსობრივად სრულიად დამოუკიდებელ კინონაწარმოებებს წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში მან ტრილოგიის განსხვავებულ ჩარჩოში მოქცევა სცადა, რაც, ჩემი აზრით, ნაკლებად ეფექტური და საინტერესო გამოდგა. ამიტომ მაშინ, როდესაც ტრიერის ახალი ფილმის პირველი კადრი გამოჩნდა და ეკრანზე ისევ ცარციით დახაზული, პირობითი ქალაქი შევიცანი, მოლოდინი ოდნავ გამიცრუვდა. მიუხედავად ამისა, გამეორებული კინომანერა სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ ფილმი ძალიან საინტერესო, აქტუალური, ინტელექტუალური და კინემატოგრაფიულად დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ ვიდრე ფესტივალზე ფილმების ჩვენება დაიწყებოდა, ჟიურის პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ჟიურის თავმჯდომარემ, ემირ კუსტურიცამ განაცხადა, რომ ყველაზე დიდ ყურადღებას ფილმის ესეთეტიკას მიაქცევდა. მაშინ, ალბათ, უკვე ცხადი იყო, რომ ლარს ფონ ტრიერი კანის ფესტივალიდან ხელცარიელი წავიდოდა. და რა არის ამის მიზეზი? სერბი კინორეჟისორი ემირ კუსტურიცა და დანიელი ლარს ფონ ტრიერი თანამედროვე ევროპულ კინემატოგრაფში ყველაზე თვითმყოფადი ესეთეტიკის კინოს ქმნიან, ისინი, ამავე დროს, დაახლოებით ერთი ასაკის არიან და ერთმანეთის ყველაზე დიდი კონკურენტებიც. ამიტომ, ისიც შეიძლება ითქვას, რომ კუსტურიცას და ტრიერს ერთმანეთის კინო ესთეტიკა არ მოსწონთ. იმასაც ვფიქრობ, რომ ლარს ფონ ტრიერი ჟიურის თავმჯდომარის პოსტზე მსგავსად მოიქცეოდა და კუსტურიცას ფილმს აუცილებლად ყოველგვარი პრემიის გარეშე დატოვებდა. თუმცა, ტრიერის ფილმი ნამდვილად არ იმსახურებდა ასეთ იგნორირებას, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ჯიმ ჯარმუში მთავარ პრიზს, თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცუდი ნამუშევრისათვის მიიღებდა.

"მანდერლეი" მაყურებელმა, ერთმნიშვნელოვნად ანტი ამერიკულ ფილმად აღიქვა, თუმცა ფილმის მხოლოდ ამ ჭრილში განხილვა მართებული არ იქნება. მაგრამ ეს შეფასება რეჟისორმა არ გააპროტესტა. "როგორ შეგიძლიათ აკრიტიკოთ ქვეყანა ისე, რომ იქ არ იცხოვროთ" - ასეთი იყო, ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვა პრესკონფერენციაზე. "მე 60 პროცენტით ამერიკელი ვარ. ამერიკა დღეს ზემოდან აზის მთელ მსოფლიოს. მთელი მსოფლიო ამ ერთი ქვეყნის კულტურის ზეგავლენის ქვეშ არის. ჩემი ცხოვრების 60 პროცენტი ამერიკულია, ვინაიდან მე ვჭამ ამერიკულ საკვებს, ვსვამ ამერიკულ სასმელს, ვუყურებ ამერიკულ ტელევიზიას... ერთადერთი რისი უფლებაც არ მაქვს - მე ვერ ვიღებ მონაწილეობას არჩევნებში. და რატომ არ შემიძლია გავაკეთო ფილმი ამერიკაზე, არა მგონია, ეს საკვირველი იყოს" - ასეთი იყო ტრიერის პასუხი.

მანდერლეი ერთი პატარა ქალაქია ამერიკაში, სადაც დოგვილიდან მამამისთან ერთად მომავალი გრეისი, თავის შემდეგ გაჩერებას აკეთებს. გრეისის როლი ნიკოლ კიდმანს უნდა განესახიერებინა, მაგრამ როგორც ეტყობა, მსახიობმა უფრო რბილი ხასიათის, სხვა რეჟისორის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, ვინაიდან დაკავებულობის გამო მან ტრიერისთვის ვერ მოიცალა. ამიტომ გრეისის როლს ახალი სახე - ბრიუს დალას ჰოვარდი ანსახიერებს. გრეისი მანდერლეიში თითქოს განმანათლებლის სტატუსით შედის, უმეტესად შავკანიან მოსახლეობას ლექციების სახით წარმოდგენას უქმნის ზოგადი ზნეობისა და მორალური კრიტერიუმების შესახებ, დებატების კულტურას ასწავლის, არჩევნების ჩატარებას და ა.შ. "ეს არის დემოკრატია?" კითხვას სვამს ერთ-ერთი შავკანიანი პერსონაჟი. საყურადღებო ის არის, რომ პირველ არჩევნებს, რომელსაც ქალაქში მცხოვრებნი დამოუკიდებლად ჩაატარებენ, მათი მეზობელი ქალბატონის, წამლის ქურდის სიკვდილით დასჯაა. სასჯელის შესრულებას კი გრეისს ავალებენ, ვინც ამას ეწინააღმდეგება, მაგრამ მაინც ასრულებს. თითქოს მასწავლებელი, რომელიც თავისუფლებას და დემოკრატიას ასწავლის მოსახლეობას, პირველ დამოუკიდებელ შედეგად სიკვდილს (სიკვდილით დასჯას) იღებს, შემდეგ განმანათლებელი მასწავლებელი (თავისუფლების მქადაგებელი), თავად იქცევა მკვლელად.



ლარს ფონ ტრიერი





ფილმ "მანდერლეის" პლაკატი.

"თავისუფლება ცუდია? დემოკრატიის შედეგი მხოლოდ სიკვდილია?" - ისმოდა ამგვარი კითხვები პრესკონფერენციაზე. ლარს ფონ ტრიერი კი წყნარი და მშვიდი ტონით პასუხობდა: "დემოკრატიისა და თავისუფლების ნიღბით ბოროტმოქმედებას, რომ ჩადიან, ეს არის ტრაგიკული. თავისუფლების მახინჯად გამოყენება ყველაზე დიდი დანაშაულია". ამას კი პირველ ყოვლისა ერაყის ომთან მივყავართ, სადაც დემოკრატიის და ერაყელი ხალხის თავისუფლების ეგიდით, ადამიანები კვდებიან და ძალიან დიდ ბოროტებას ეყრება საფუძველი. "ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამერიკა (ამ შემთხვევაში მისი ხელისუფლება) ცდილობს, მთელი დარჩენილი სამყარო საკუთარ სიმართლეში დაარწმუნოს და აიძულებს ისე იმოქმედოს, როგორც მას სურს. ეს კი არა თავისუფლება, არამედ ძალადობაა" - ამბობს ტრიერი.

მეორე თემა, რომელსაც ხაზს უსვამას ტრიერი თავის უკანასკნელ ნამუშევარში, რასიზმია. რასიზმის თემა ამერიკაში. გრეისი, რომელიც მანდერლეის მცხოვრებლებს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, საკუთარი მოსავლის ქალაქიდან გატანას და გაყიდვას ასწავლის, მარცხით მთავრდება. უკანა გზაზე მომავალ პერსონაჟს, რომელსაც მთელი ქალაქის მოგება გაყიდული პროდუქტიდან, ანუ ფინანსები მოაქვს, გზად ფულს პარავენ, ართმევენ. "ამერიკა ჯერ მზად არ არის შავკანიანების მისაღებად" - ამბობს გრეისი ფილმის ერთ-ერთ ფინალურ ეპიზოდში. მანდერლეის მცხოვრებლები, მას, ვინც ფული ქალაქამდე ვერ ჩამოიტანა, ხეზე მიაბამენ და როზგებით ცემენ. ფილმის ფინალში შეშინებული გრეისი მანდერლეის ტოვებს. ამ შემთხვევაში რასიზმის თემა არასწორხაზოვნად არის მოწოდებული, ვინაიდან შავკანიანს, რომელსაც ფულს თეთრკანიანები პარავენ, შემდეგ შავკანიანები სჯიან. სისასტიკე და ძალადობა მანდერლეიში (ამერიკაში) თეთრკანიანებშიც არსებობს და შავკანიანებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ მანდერლეის ერთმნიშვნელოვნად ანტიამერიკული ფილმის სტატუსი მიენიჭა და ეს არც ფილმის ავტორმა უარყო, მაინც რთულია, ფილმი, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა და მასში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია დასმული, მხოლოდ ერთი მიმართულებით - ანტიამერიკულ მანიფესტად გამოვაცხადოთ. "ძალიან ბევრი ამერიკელია, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არა ხელისუფლებას, და ახლანდელს. მე ვეწინააღმდეგები ამერიკის, ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას, რომელსაც ძალიან ბევრი დანაკლისი აქვს. ეს კი ცალსახად არასწორია" - ამ შემთხვევაში ტრიერი დანაკლისში, პირდაპირი მნიშვნელობით ადამიანების დანაკლისს, მათ სიკვდილს გულისხმობდა.

ერთი სიტყვით, მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი ჯორჯ ბუში იმყოფებოდა, კანში, ყველაზე პრესტიჟულ კინოფესტივალზე, ყველაზე გავლენიანი ევროპელი კინორეჟისორი მის საწინააღმდეგო, ანტიამერიკულ ფილმს წარმოადგენდა.

ამ ფილმის სანახავად კინოდარბაზში შესვლის წინ, რიგში მომლოდინე გერმანელი კინომცოდნე გამომელაპარაკა, რომელსაც "საუკუნის ვიზიტის" შესახებ (გადმოცემით ვიცოდი) ვუამბე. გაკვირვებულმა კინომცოდნემ მკითხა, "საპროტესტო აქცია ხომ მოეწყო ბუშის ვიზიტის დროს?", ინფრომაცია იმის შესახებაც მქონდა, რომ არაფერი მსგავსი ჩემს ქვეყანაში არ ყოფილა. ამის შემდეგ საკმაოდ სარკასტული ღიმილით მომიგო - "იცეკვებდა, აბა, რა იქნებოდა".

ტრიერის ფილმის მაგალითზე კი ერთი სურვილი მაქვს, - საქართველოში ყოველთვის იყოს ორი განსხვავებული აზრი. მაშინ როდესაც "უმეტესობას" ბუშის ვიზიტი ბედნიერებას განაცდევინებს, ვიღაცას პროტესტის გამოხატვის სურვილიც გაუჩნდეს, იმ ადამიანებისათვის, რომელნიც უკვე დაიღუპნენ ერაყის ომში და შეიძლება კიდევ დაიღუპონ. ყველა მოვლენას, რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს, ჩვენთვის ორი მხარე აქვს - ნეგატიური და პოზიტიური.



კადრი ფილმიდან



კარს ფონ ტრიერი, და "მანდერლეიში" მონაწილე მსახიობები



კადრი ფილმიდან



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
ცვეტაევა, რილკე, პასტერნაკი
"ოდესმე..."
რეჟისორი: ავთანდილ ბაქრაძე
დას: 20:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ამირან შალიკაშვილი
"კრიმანჭული"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"ხანგრძლივი ნიშნობა"
(რეჟისორი: ჟან პიერ რენე;
მთავარ როლში: ოდრი ტოტუ)
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
14:00; 19:30; 22:00 სთ.

"ცოდვების ქალაქი"
დას: 17:00 სთ.

**ახმეტელი**
"ცოდვების ქალაქი"
დას: 14:30 სთ.

"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
დას: 17:00 სთ.

**ამირანი**
"მისს კონგენიალობა-2"
დას: 15:00; 20:00; 22:15 სთ.

"კონსტანტინე"
დას: 17:30 სთ..

## გამოფენები

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
იტალიელი მხატვრის ალბაკიარა პიზუტოს ნამუშევართა გამოფენის გახსნა

**ქროსროუდი**
(ირაკლი აბაშიძის 10)
ირინა აბჟანდაძის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა

**კოპალა**
ეკა ნათენაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**TMS**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ეროვნული გალერეა**
პაატა მოისწრაფიშვილის პერსონალური გამოფენა "მინდივნი"
(ფერწერა, გრაფიკა)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სანამ თეატრი დაგვემშვიდობება

### დიდი ხელოვანი და დიდი ადამიანი

სოფო კილასონია

*25 მაისს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის აკადემიური ორკესტრის კონცერტი. პროგრამაში იყო მოცარტის უვერტიურა ოპერისთვის "ფიგაროს ქორწინება", მოცარტის 25-ე საფორტეპიანო კონცერტი და რეგერის ვარიაციები მოცარტის თემაზე. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს საღამო ჩვენთვის განსაკუთრებული არ იქნებოდა, რომ არა ორი ქართველი ხელოვანის წარმატებული ტანდემი იმავე დღეს და იმავე დარბაზში. მოსკოვურ ორკესტრს თბილისის ოპერისა და ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი დირიჟორობდა. სოლისტი კი გამოჩენილი ქართველი პიანისტი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი და საქართველოს სახალხო არტისტი ელისო ვირსალაძე გახლდათ.*

უკვე დიდი ხანია, რაც ქალბატონი ელისო ვირსალაძის ჩამობრძანებას და მის კონცერტს მუსიკალური თბილისი ელის, თუმცა, ვერა და ვერ დადგა ეს ნანატრი დღე. როგორც ვხვდები, ამას ბევრი მიზეზი უნდა ჰქონდეს, თუმცა, ამაზე საუბრისგან დღეს მაინც თავს შევიკავებ, მოგვიანებით იქნებ თავად პიანისტმა თქვას რამე ამის შესახებ. მოსკოვის კონსერვატორიაში მოწყობილ კონცერტთან დაკავშირებით ვესაუბრე ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილს, რომელიც ჩაიკოვსკის სახელობის აკადემიურ ორკესტრს უკვე მეორედ მიუწვევია, თუმცა, ქალბატონ ელისოსთან შემოქმედებითი ურთიერთობა აქამდე არ ჰქონია. ასე რომ, პირველი კითხვა, ბუნებრივია, მათ ერთობლივ მუშაობას შეეხო. საკმაოდ ვრცელ კითხვას ბატონი ზაზასთვის დამახასიათებელი მოკლე და ლაკონიური პასუხი მოჰყვა:

- ელისო ვირსალაძე დიდი ხელოვანი და დიდი ადამიანია. მას პირველად ახლა შევხვდი. როგორც მუსიკოსს, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ვიცნობ. მის ღირსებებზე ახალს ვერაფერს ვიტყვი. ამ ორკესტრმა უკვე მეორედ მიმიწვია. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი ვლადიმერ ფედოსიევია. პირველად შარშან მიმიწვიეს. თაქთაქიშვილის პირველი სიმფონია და სიბელიუსის მეორე სიმფონია შესრულდა (საკონცერტო სტუდიაში). ამჯერად პროგრამაში იყო მოცარტის უვერტიურა "ფიგაროს ქორწინებიდან", ოცდამეხუთე საფორტეპიანო კონცერტი, მეორე განყოფილებაში კი - რეგერის ვარიაციები და ფუგა მოცარტის თემაზე.

**- როგორი იყო განწყობა კონცერტის შემდეგ?**

- ძალიან კარგი, სასიამოვნო. როცა გყავს ისეთი პარტნიორი, როგორიც ქალბატონი ელისოა, როცა ასეთ ორკესტრთან მუშაობ, შემოქმედებით პროცესს ყოველთვის ახლავს სიამოვნება.



*ზაზა აზმაიფარაშვილი.*

**- ხომ არ იცით, შედის თუ არა ელისო ვირსალაძის გეგმებში კონცერტი თბილისში?**

- თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ვისაუბრეთ და ეს ჩემი ინიციატივა იყო. მის მიერ ჩატარებულ კონცერტს ან მასტერკლასს თბილისში მთელი მუსიკალური საზოგადოება ელის. მას, როგორც მუსიკოსს, ელიან. ცოტა ხანში მეცოდინება მისი კონკრეტული გეგმები.

**- თეატრს დავუბრუნდეთ. 4 ივნისს ლადო ათანელისა და გეორგინა ლუკაჩის კონცერტი გაიმართება. მოლოდინი, მართლაც დიდია. მაინც რა ელით ოპერის მოყვარულთ?**

- გეორგინა ლუკაჩი ბრწყინვალე სოპრანოა, ათანელს კი რეკლამა არ სჭირდება. ყველა დიდ სცენაზე დიდი წარმატებით გამოდის. ამიტომ ის განსაკუთრებული სახელია მთელი მსოფლიოსთვის. ასე რომ, კონცერტი ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

**- რატომ იგვიანებს "დონ-პასკუალე"?**

- "პასკუალე" მარტში უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო და, რაც მთავარია, დირიჟორ გოგი ჭიჭინაძის ავადმყოფობის გამო დროში ვერ ჩავეტიეთ. შემდეგ უკვე საბალეტო სპექტაკლების პერიოდი დაიწყო. თუმცა, სულ მალე პრემიერა შედგება.

■ ■ ■

რაც შეეხება სეზონის დახურვას, მას "დაისი" დააგვირგვინებს და ოპერისა და ბალეტის თეატრი სექტემბრამდე დაგვემშვიდობება. თეატრი მრავალ სასიამოვნო სიახლეს და არაერთ პრემიერას გვპირდება.

# ხუთწლიანი პროექტის პირველი დღე

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო საქართველოში იტალიის საელჩოს, იტალიის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მილანის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად იწყებს ახალ - ხუთწლიან პროექტს სახელწოდებით "თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიები საქართველოს ძეგლთა რესტავრაციაში".

პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოს ისტორიულ ძეგლებზე ქართველი და იტალიელი სპეციალისტების ერთობლივი საკვლევ-სარესტავრაციო სამუშაოები. ამ მიზნით, საქართველოში ჩამოვიდა მილანის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი ლუჩიო სპეკა.

პროგრამის ფარგლებში დღეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი, პროფესორი ლუჩიო სპეკა, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად სამშვილდეში გაემგზავრნენ.

ამჟამად მიმდინარეობს იმ ძეგლთა შერჩევა, რომლებზეც დაიგეგმება ქართველი და იტალიელი სპეციალისტების ერთობლივი საკვლევ-სარესტავრაციო სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, როგორც იტალიელი სპეციალისტების საქართველოში ჩამოსვლა და სწავლების კურსის ორგანიზება, ასევე სამხატვრო აკადემიის რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის სტუდენტების იტალიაში პრაქტიკაზე მივლინება. სექტემბერისთვის კი დაგეგმილია იტალიელ რესტავრატორთა ჯგუფის ჩამოსვლა და პრაქტიკული სამუშაოების დაწყება.

# ხოჭოები, ეგოისტები და გენური ინჟინერია

### თამაზ ვარვარიძის სტუდენტებმა პლაკატები გამოფინეს

ია ვეკუა

სკოლაში კომუნისტურ პერიოდში ვსწავლობდი. როგორც ამ პერიოდის საშუალო სასწავლო დაწესებულებებს ეკადრებოდა, პიონერთა ოთახის შესასვლელთან, კედელზე, წითელი დროშის ფონზე ორი ნორჩი პიონერი - გოგონა და ბიჭი ეხატა. ბიჭი მაგრად ჰგავდა ჩემს უფროს ძმას, თუმცა, ამის გარეშეც სულმოუთქმელად ველოდი, როდის გავხდებოდი ამ ოთახში შესვლის ღირსი. ჩემთვის ეს საბჭოთა აგიტაციის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ნიმუშია. რა თქმა უნდა, პიონერი გავხდი და ძალიან მიხაროდა, ვიდრე რამდენიმე წლის შემდეგ დაახლოებით იმავე შინაარსის ნახატი კომკავშირელთა ოთახთან არ ვნახე...

ამბობენ, რომ ირაკლი თოიძის "დედა-სამშობლო გვეძახის" (Родина-мать зовет!) მილიონობით საბჭოთა მოქალაქისთვის ომში წასვლის სტიმული გამხდარა. ბოლო წლების საქართველოში ლამის მოჩვენებად იქცა მოწოდება "გვახსოვდეს აფხაზეთი!", მას კი ვინმე მეპლაკატის მიერ დიდი მონდომებით დახატული საქართველოს რუკა ახლავს, რომელსაც აფხაზეთის ნაწილი ვაშლივით აქვს მოკბეჩილი. აფხაზეთი გვახსოვს, მაგრამ ყველაზე დიდი მონდომებით მაინც იმ სარეკლამო დევიზს გამოვეხმაურეთ 10 მაისს, დილის 9 საათზე, ამერიკის პრეზიდენტის ქართულად დახვედრისკენ რომ მოგვიწოდებდა.

როგორც ჩვენი პრეზიდენტი ამბობს, მის ამერიკელ კოლეგას 150 ათასი მასპინძელი დახვდა. ესე იგი, მარტივად რომ ვთქვათ, რეკლამამ იმუშავა. გუშინ "ქარვასლაში" გახსნილმა გამოფენამ კი ამ გამომსახველობითი საშუალების მეტი შესაძლებლობები გაგვაცნო.

თამაზ ვარვარიძე სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის პლაკატის სახელოსნოს ხელმძღვანელია და ამ დარგის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევა. ამიტომ მისი სტუდენტების ნამუშევრების საჯაროდ გამომზეურებამ განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. არცთუ უსაფუძვლოდ - ეს გამოფენა თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლო დროის ყველაზე საინტერესო და ზედმიწევნით კონცეპტუალურ ქართულ აქციად.

ამჯერად ვარვარიძემ 27 საუკეთესო სტუდენტის 100 საუკეთესო ნამუშევარი შეარჩია და თანამედროვე რეკლამისა და სააგიტაციო შინაარსის პლაკატების არასრული ნაკრები შემოგვთავაზა. გამოფენაზე რამდენიმე თემატიკა იყო "გაპლაკატებული": რეკლამა, სოციალური სფერო, პოლიტიკა, ხელოვნება და ა.შ. ხელოვნების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ქართველი მხატვრები და მწერლები საკუთარ ნაწარმოებებში ხშირად მიმართავენ სოციალურ პრობლემას, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს თემატიკა გამოფენის მთავარი შტრიხია.




*27 საუკეთესო სტუდენტის 100 საუკეთესო ნამუშევარი "ქარვასლაში".*

თუმცა, თავად სოციალური სფეროც რამდენიმე ნაწილად იყოფა: გენური ინჟინერია (კვერცხი ძროხის შავ-თეთრი შეფერილობით), აბორტი (ფიროსმანის ცნობილი ნამუშევრის ინტერპრეტაცია), შიდსი (ჭიამაიების ცხოველური სექსი + ნარკომანის დეგრადაციის პროცესი - გზა ინფიცირებისკენ), ცხოველთა დაცვა (გამოფენის ყველაზე გულისამაჩუყებელი ექსპონატი - როგორ ცდილობს ვეფხვი "მტაცებელი" ქალის მხრებიდან გაქცევას), სამშობლოს მონატრება (ქართლის დედა ნიუ იორკის ფონზე თავისუფლების ქანდაკების ნაცვლად). საკმაოდ საინტერესოა სერია "ეგოისტი", რომლითაც ახალგაზრდა მხატვრებს დაუფარავად გამოაქვთ ადამიანის ის აუტანელი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, თავადაც ახასიათებთ.

გამოფენაზე გარკვეული ადგილი თეატრალური წარმოდგენების აფიშებსაც ეთმობა. აქ არის როგორც "მაკბეტისა" და "რომეო და ჯულიეტას" დადგმების მაუწყებელი, ისე ქართველი რეჟისორების (ლევან წულაძე, კახა ბაკურაძე) სპექტაკლების აფიშებიც. ახალგაზრდა მხატვრებმა წიგნებისთვისაც მოიცალეს - რამდენიმე პლაკატი გვახსენებს, რომ წიგნი ჩვენი საგანძურია.

გამოფენის მარგალიტად იქცა ვაჩე ქურდიანის პლაკატი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ლონდონში გამართული პლაკატების ფესტივალის საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. მისი ნამუშევარი მწერების (ტარაკნები, კოღოები, ბუზები!!!) დაცვის საზოგადოებამ "ბაგ ლაიფმა" აირჩია. ქურდიანის პლაკატი საკმაოდ მარტივია (და, ალბათ, ამიტომაცაა გენიალური): ყვითელ ფონზე კოვზის შავი კონტური ხატია. კოვზის დიდ ბოლოს აწერია "ჩემთვის", მომცრო ბოლოს - "მწერებისთვის". ასეა, დაცვა და გაფრთხილება მწერებსაც სჭირდებათ!

საინტერესოა სარეკლამო ხასიათის პლაკატებიც. "სვოჩის", "ბენეტონის", "ტეფალისა" და იაპონური ლუდის რეკლამები იმდენად სახალისო და ორიგინალურია, რომ ამ ფირმების მაღალანაზღაურებად თანამშრომლებს, ალბათ, არასდროს მოუვათ თავში. სწორედ აქ იკვეთება - რამდენად არსებობს იმის გარანტია, რომ ქართველი მერეკლამეების იდეებით უცხოელი დამკვეთი დაინტერესდება.

**თამაზ ვარვარიძე:** "კარგი რეკლამის შესაქმნელად გამოკვეთილი რეცეპტი არ არსებობს. ამიტომ მის შესაქმნელად ნებისმიერი გამომსახველობითი საშუალების გამოყენება შეიძლება. მთავარია, არსებობდეს იდეა, რომლის გარშემო იკვრება პლაკატი. გარდა ამისა, დასრულებული ნამუშევარი ხელოვნების ნიმუშიც უნდა იყოს და არა მხოლოდ საინფორმაციო საშუალება. ამ დარგის სკოლა საქართველოში თითქმის არ არსებობდა. კეთდებოდა მხოლოდ საბჭოთა სააგიტაციო-იდეოლოგიური პლაკატები, რომელსაც მიზანმიმართული დანიშნულება ჰქონდა. ახლა ამ დარგს სხვა როლიც აკისრია - უფრო აქტუალური და სოციალურად დატვირთული გახდა. ეს თაობა ძალიან ნიჭიერია, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ნულიდან დაიწყეს და, ფაქტობრივად, ქართული სარეკლამო სკოლა შექმნეს. ვცდილობ, ყველა სფეროში მუშაობის გამოცდილება მიიღონ, ამიტომ დავალებას თავად ვაძლევ. რაც შეეხება საზღვარგარეთ მათ მუშაობას, ჩვენს ფაკულტეტს მხოლოდ გარკვეული კონტაქტების დამყარების ორგანიზება შეუძლია, დანარჩენი მათზეა დამოკიდებული."

# რეზო გაბრიაძე: "დემოკრატია ცხვრის ფარა არ არის"

*__დოსიე:__ რევაზ (რეზო) გაბრიაძე დაიბადა 1936 წლის 29 ივნისს ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე. 1968 წელს დაამთავრა სცენარისტებისა და რეჟისორების უმაღლესი საკავშირო კურსები. 1981 წელს დააარსა და სათავეში ჩაუდგა თბილისის მარიონეტების თეატრს. 1993-დან 1995 წლამდე იყო ს. ობრაზცოვის სახელობის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. რეზო გაბრიაძე არის პიესების ავტორი, თეატრალური სპექტაკლების რეჟისორი და მხატვარი, დაწერა სცენარები მხატვრული ფილმებისთვის: "არაჩვეულებრივი გამოფენა" (რეჟისორი: ელდარ შენგელაია), "არ დაიდარდო", "მიმინო", "ქინ-ძა-ძა", "პასპორტი" (რეჟისორი: გიორგი დანელია). გაბრიაძე - მხატვარი, სკულპტორი (მისი ჩიჟიკ-პიჟიკი დგას სანქტ-პეტერბურგში, ოდესაში კი - რაბინოვიჩის ქანდაკება), წიგნის გრაფიკოსი. პერსონალური გამოფენები ჰქონია მოსკოვში, ლოზანაში, პარიზში, ბერლინში, პეტებრურგში. გაბრიაძის ფერწერული და სკულპტურული ნამუშევრები ინახება აშშ-ს, საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიის, ისრაელისა და იაპონიის სახელმწიფო და კერძო მუზეუმებში. არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1989), საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1979). ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს თბილისში.*



თითქმის თხუთმეტწლიანი პაუზის შემდეგ მოსკოვს რეზო გაბრიაძის თოჯინების თეატრი მასშტაბური გასტროლებით ეწვია. გასტროლების დაწყებამდე ცნობილმა კინოსცენარისტმა, რეჟისორმა, მხატვარმა და სკულპტორმა გაზეთ Новые известия-ს შეკითხვებს უპასუხა.

**- ერთ-ერთ სპექტაკლს, რომელიც მოსკოვში ჩამოიტანეთ, "სტალინგრადის ბრძოლა" ჰქვია. რატომ მიმართეთ ომის თემას?**

- ყოველთვის მაინტერესებდა ომის თემატიკა. წარმოიდგინეთ ქვის ან ბრინჯაოს ხანა. ევროპის მოსახლეობაა - მაქსიმუმ 100 ათასი ადამიანი. ვერ გამიგია, რა აიძულებდა ამ ადამიანებს გადაადგილებულიყვნენ ამა თუ იმ მიმართულებით სხვა ტომებთან საბრძოლველად. რა უნდა გაეყოთ? რა უნდოდათ? მაგრამ ის ომები სხვა იყო. თქვენ ხომ ვერ წარმოგიდგენიათ ბაგრატიონი აირწინაღით სანგარში. ახლა კი ომი ინდუსტრიული, მცოცავი გახდა. ტელევიზორით ხშირად შეიძლება ნახო, როგორ ისვრიან ერთ ქუჩაზე, მეორეზე კი ფეხსაცმელს ყიდულობენ. რა არის ეს? როგორც ჩანს, კაცობრიობამ უნდა მონახოს რაღაც, რომ ეს საშინელება თავიდან აიცილოს. ომის ტრანსლაციას პირდაპირი ეთერით გვთავაზობენ... ჩანს, ადამიანების გონებას არ ძალუძს ეს გაიგოს.

თუმცა, სრულიად შესაძლებელია, მე, უბრალოდ, ჩამოვრჩი ცხოვრებას. მაგალითად, მეჩვენება, რომ კალორიების სიჭარბისგან დაიბადა ახალი სახეობა - homo supermarketus. თითქოს ყველაფერი მეტისმეტად იოლად გვეძლევა. ნებისმიერ მოზრდილ მაღაზიაში შესული თქვენ ზამთარში ნახავთ ისეთ პროდუქტებს, რასაც კლეოპატრაც კი ვერ ინატრებდა. თითქოს ასე იყო ყოველთვის. არ მესმის: როგორ უნდა ჭამო ჟოლო იანვარში? ეს ხომ ღვთაებრივი ციკლია, რომელსაც ადამიანი განუკითხავად არღვევს. ისე ვიქცევით დედამიწაზე, როგორც უწესო სტუმრები, რომლებიც სხვის კარადებში იხედებიან და აყალმაყალს ტეხენ.

**- უკანასკნელი წლები ქართული კულტურისთვის რთული იყო. როგორ გადაიტანა ეს პერიოდი თქვენმა თეატრალურმა კოლექტივმა?**

- თეატრი გაჩენის დღიდან მთელ მსოფლიოში კრიზისშია, ანუ მუდამ ცუდადაა. ვფიქრობ, თეატრის მდგომარეობა არ შეიძლება იყოს სახარბიელო. გაიხსენეთ მოლიერი, შექსპირი - მათაც კი მძიმე დრო განვლეს. ამას გარდა, ამ ჟანრში მარად ცოცხალია მხატვრული სახეების გოდებისკენ მიდრეკილება: "ოხ, ახლა ყველაფერი ცუდადაა!". ამიტომაც, მოდი, ნუ შევადარებთ თეატრს იმას, რაც საზოგადოებაში ხდება. ეს ადამიანის განსხვავებული შინაგანი მდგომარეობაა. ჩვენ ხანდახან რეჟისორებსა და მსახიობებს ვურევთ მწერლებსა და მუსიკოსებში - მათ ფანქარი და ფურცელი აქვთ, ნოტები და ინსტრუმენტები. აქ კი რთული მექანიზმია. ჩემთვის გაუგებარია, ვინ არიან მსახიობები. რა იმალება მათ უკან? ადამიანი! ადამიანი, რომელიც გამოდის სცენაზე და რაღაცებს აკეთებს.

**- და მაინც, რევოლუციის შემდეგ საქართველოში ადამიანებს ახალი პერსპექტივა გაუჩნდათ?**

- მე შემიძლია მცირე დეტალებით განვსაჯო. თუ ადრე პომიდორით მოვაჭრე გლეხს ყოველ ას კილომეტრში თხუთმეტჯერ აჩერებდნენ და ყვლეფდნენ, ახლა იგი თავისუფლად მოძრაობს. ვიღაც, რასაკვირველია, მერე აუცილებლად გაძარცვავს. მაგრამ ჯერჯერობით ეს საშინელება არ ხდება ჩვენს გზებზე, რისთვისაც მადლიერი ვარ.

ახლა ხელისუფლებაში ახალგაზრდები მოვიდნენ. მათ კარგად არ ახსოვთ, ან თუ ახსოვთ, ვერ აღიქვამენ განვლილი წლების პრობლემებს, ცინიზმს, უნდობლობას, რომელიც გვახასიათებდა. ჩვენ შემდეგ კიდევ იყო თაობა, უფრო მეტად ცინიკური, რომელსაც არაფრის სწამდა და სიტყვებით ჟონგლიორობდა. ძალიან ხშირად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განიხილავენ, მაგალითად, რამდენად გვესადაგება შვეიცარიული თუ ამერიკული სახელმწიფო მოწყობის მოდელი. ცოტა სასაცილოა, რადგან ამ დროს არავინ ფიქრობს, ჩვენ თვითონ რამდენად მივესადაგებით ამ მოდელებს. ძალიან ძნელია, დემოკრატია საზოგადოებაში შემოიტანო. ეს ხომ ცხვრის ფარა არ არის, რომ გადაასწრო მას. დემოკრატია - ეს წყობილების მეტად რთული ფორმაა. ჩვენთან კი ფიქრობდნენ, რომ ის თავისთავად მოვიდოდა. საბოლოო ჯამში, გამოვიდა ერთი მთლიანი გინება, ურთიერთობის უზრდელი ფორმა, მეტად ახლოს მყოფი ყაჩაღობასთან. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ბანალურია...

**- თქვენი თეატრი სახელმწიფო დოტაციაზეა?**

- ჩვენ ვიღებთ ბიუჯეტის ფულს, მაგრამ სახელმწიფო არაა იმდენად ძლიერი, რომ საკმარისად გვაფინანსებდეს. ენაც არ მომიბრუნდება, რომ სპექტაკლის დასადგმელი თანხა ვითხოვო მაშინ, როდესაც ვიცი, რომ რომელიმე კოლეგას ჭერში წყალი ჩასდის. ახლა, ჩემი აზრით, კულტურაში ის ეპოქაა, როდესაც სისხლის ფასად უნდა შექმნა.

**- პარადოქსულია, მაგრამ თქვენი ნამუშევრები ესმით ყველგან, თუმცა, ისინი მეტად ნაციონალურია. რითი ახსნით ქართული თეატრის ამგვარ მისაწვდომობას?**

- დავიწყოთ გეოგრაფიით. საქართველო - ეს მეტად მნიშვნელოვანი ადგილია, რითაც დასავლეთი ყოველთვის იყო დაინტერესებული. ეს უკვე აღარაა აღმოსავლეთი - ყველაფერი აღმოსავლური რაღაცნაირად აზელილია. საუკუნეების განმავლობაში აქ ყალიბდებოდა განსაკუთრებული კულტურა. ყველაფერი განსაზღვრა უდიდესმა ისტორიულმა ფაქტმა - საქართველომ ქრისტიანობა აირჩია. ამანვე განსაზღვრა ქართველის დამოკიდებულება ოჯახისადმი, ღვინისა და ყველაფერი დანარჩენისადმი.

თეატრი - ეს უბრალოდ ამ კულტურის ანარეკლია. ქართულ ხასიათში ყველაზე მეტად ელასტიკურობა მომწონს. იგივეს თქმა შეიძლება ჩვენს ურთიერთობაზე. რა თქმა უნდა, არ არსებობს არაღვთაებრივი ენა. ალბათ ნებისმიერი ავტორი იგივეს დაამტკიცებდა საკუთარ ენაზე. მაგრამ მე მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ ქართული ენა მეტად თეატრალურია. ეს ჩემი მშობლიური ენაა და ნებისმიერი უბრალო ფრაზაც კი ორგანულია ჩემთვის. შესაძლოა, რუსებიც იგივეს ფიქრობენ საკუთარ ენაზე. ადამიანების ურთიერთობას თეატრში, ისევე როგორც ცხოვრებაში, თავად ადამიანების ხასიათიც განსაზღვრავს. ნიჭიერი ადამიანები ნიჭიერად მეტყველებენ ნებისმიერ საკითხზე: ქალზე, პირველ კოცნაზე... უნიჭოები - უნიჭოდ. პირველნი, როგორც წესი, საკუთარ აზრს მოკლედ და ზუსტად აყალიბებენ. ამის მაგალითია ჩეხოვი...

**- მაგრამ ახალგაზრდა თაობა საქართველოში ნაკლებად კითხულობს რუსულად, ბევრმა კი საერთოდ არ იცის რუსული ლიტერატურა...**

- რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვფლობდეთ ენებს. ისე მოხდა, რომ ჩვენ უზარმაზარი მეზობელი გვაყავს - რუსეთი - ბრწყინვალე ლიტერატურით, უდიდესი მიღწევებით. რაც მთავარია, შესაძლებლობებით, რომელსაც ჩვენსას ვერ შევადარებთ. ვგულისხმობ რუსეთის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. მაგალითად, იმისთვის, რომ გენეტიკის შესახებ კარგი წიგნი ქართულად თარგმნო, საჭიროა ფული. საჭიროა მთარგმნელები, სპეციალისტები. ამ შემთხვევაში რუსული ენის ცოდნა გვაძლევს შესაძლებლობას, მისაწვდომი იყოს ჩვენთვის მსოფლიო ლიტერატურა. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ბევრმა ბავშვმა რუსული არ იცის. იდეალურ შემთხვევაში, ახალგაზრდამ უნდა იცოდეს რუსულიც, ინგლისურიც. მთლად ბედნიერებაა, თუკი ეცოდინება ფრანგულიც (მე თვითონ ძალიან მიყვარს).

# ბავშვის სახე 40 წლის შემდეგ

## ფოტოგრაფის გმირები, რომლებიც არავის ავიწყდება

ცნობილმა ამერიკელმა ფოტოგრაფმა დაიან არბუსმა 48 წლის ასაკში 1971 წელს მოიკლა თავი. საგამოფენო დარბაზებს კი შთამბეჭდავი სახეებით სავსე ფოტოების მთელი არქივი დაუტოვა. ამ ფოტოებზე ზოგი გმირი სასაცილოა, ზოგი - უცნაური, ზოგი - ოდნავ ტრაგიკულიც. მათი ერთხელ ნახვა და მერე დავიწყება შეუძლებელია. მეტიც, თითოეულის გამომეტყველების მიღმა მნახველი თავისებურ ამბებსაც თხზავს და არბუსის პერსონაჟებს თავის წარმოსახვაში აცოცხლებს.

მეტროპოლიტანის ხელოვნების მუზეუმში მიმდინარე გამოფენა "ხასიათის გახსნა" სწორედ ამ სახეებს წარმოგვიდგენს. ჟურნალისტები კი არბუსის პერსონაჟებს დაეძებენ და რამდენიმე მათგანის პოვნას ახერხებენ კიდეც.

მაგალითად, ტყუპი დები უეიდები. 1967 წელს ისინი 7 წლისანი იყვნენ. არბუსმა გოგონები ერთ-ერთ საშობაო წვეულებაზე ნახა, მშობლებისგან ნებართვა აიღო და ფოტოები გადაუღო. ოღონდ, ჯერ დები ტროტუარზე დააყენა ერთმანეთის გვერდიგვერდ და თხოვა, პირდაპირ ობიექტივში ეცქირათ. გოგონებს სახეზე ოდნავ განყენებული და არაფრისმთქმელი გამომეტყველება შერჩათ.

"ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი დევიდ სიგელი მათ მეტროპოლიტანის გამოფენაზე შეხვდა და გაარკვია, რომ უკვე ზრდასრულ დებ უეიდებს იმ დღიდან ბევრი არაფერი ახსოვთ, არც ფოტოაპარატიანი ქალი, არც კედელთან მიყუდება და ობიექტივში ცქერა და არც სადღესასწაულო ტორტის ნაჭერი, რომელიც ფოტომდე რამდენიმე წუთით ადრე მიირთვეს.

"მხოლოდ კაბები დაგვრჩა", - აცხადებს ქოლინი.

"დედამ შეგვიკერა. ფოტოზე მათი ფერი შავად ჩანს, ისე კი, მწვანეა", - დასძენს ქეთლინი.

არადა, ამ ფოტოს შემდეგ დები უეიდები ამერიკული ფოტოგრაფიის ისტორიას სამუდამოდ შემორჩნენ და არბუსის ერთ-ერთი ყველა სამახსოვრო კადრი შექმნეს. მათ ისეთი ვარსკვლავობა მოიპოვეს, როგორზეც არავინ ოცნებობს და უფრო სპონტანურის ელფერი დაკრავს. ასეა: ერთ დღეს ჩვეულებრივი ბავშვი ხარ, შენი ბავშვური საზრუნავი გაქვს, მეორე დღეს კი ვიღაც უცნობი დეიდა გიღებს ფოტოს და შემდეგ ამ ფოტოს არა მხოლოდ ამერიკაში, მის საზღვრებს გარეთაც ყველა ათვალიერებს, ფოტოზე გარკვეულ შინაარსს კითხულობს და შენს სახესაც ველარასდროს ივიწყებს.

გამოფენას ტყუპების მამაც ესწრებოდა. ბილ უეიდმა "ვაშინგტონ პოსტს" გულწრფელად გაუმხილა: "როცა ფოტო ვნახეთ, მივხვდით, რომ გოგონები შემზარავად ჰგავდნენ ერთმანეთს. ბავშვებს ცხადია, მერეც ბევრი ფოტო გადავუღეთ, მაგრამ ასეთი არც ერთი არ გამოსულა. არბუსის ფოტოზე დებს რაღაც მოჩვენების აურა მოჰქონდათ".

შემდეგ ეს აურა - უბიწოებისა და ბოროტების შემზარავი ნაზავით სტენლი კუბრიკმა გამოიყენა ფილმში "ნათება". მან ფილმის მთავარ გმირებად გამოიყვანა დები ერთნაირ კაბებში, რომლებიც მოჩვენებები არიან და საშინელ ამბებს ატრიალებენ.

"არა, ეს ფილმი ნანახი არ მაქვს. ისე კი გამიგია, მაგრამ ვერ ვნახავ. არ მიყვარს ჰორორები" - აცხადებს ქეთლინი.

დიახ, ქეთლინიც და მისი დაც სინამდვილეში ძალიან კეთილმოსურნე და უბრალო ადამიანები არიან. ორივე გათხოვილია, სტანდარტული ამერიკული ცხოვრებით ცხოვრობს, მუშაობენ და შვილებს ზრდიან. ფოტოს გახსენება ღიმილს ჰგვრით და თავს ფსიქოლოგიური კითხვებით არ იღლიან: "ნუთუ, ეს გოგო ჩემში კვლავაც ცხოვრობს?" ანდა ასე: "საინტერესოა, ეს ფოტო ჩემს შინაგან სამყაროზე ამბობს რამეს თუ ყველაფერი ხელოვნურია?"

ასეა თუ ისე, უეიდები მხოლოდ ერთი მაგალითია. ასეთივე





*არბუსის მოდელები თავიანთ ბავშვობის დროინდელ ფოტოებთან ერთად.*

მძაფრ ემოციას მნახველში ხომ არბუსის სხვა პერსონაჟებიც იწვევენ. მაგალითად, შიშველი ქალი მზის სათვალით (1965 წ.) ანდა ტრანსვესტიტი ნიუ იორკული ნარკო-წვეულებაზე (1970 წ.).

ისე, არბუსის გმირების კვალის მიგნება რთული საქმეა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი ძალიან ბევრნი არიან. ესეც რომ არა, ბევრმა მათგანმა არც იცოდა, რომ ფოტოს უღებდნენ. ამ ბოლო კატეგორიას მიეკუთვნება ანდერსონ კუპერიც. მის სურათს ასე ჰქვია - "ძალიან თოთო ბავშვი. ნიუ იორკი" (1968 წ.). ბავშვს თვალები დახუჭული აქვს, პირიდან დორბლი სდის. ერთი კრიტიკოსი მას მიცვალებულის ნიღაბს ადარებს. მოკლედ, ფოტოს მართლაც ძალიან უცნაური აურა აქვს, მაგრამ მთავარი სენსაცია მაინც ბავშვის ვინაობაა. ანდერსონ კუპერი "სი ენ ენ"-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წამყვანია.

"ფოტო საძინებელი ოთახის კედელზე მიკიდია. ვფიქრობ, ძალიან კარგი კადრია, უბრალოდ, ცოტა მეწყინა, ელტონ ჯონმა ამასწინათ აუქციონზე რომ გამყიდა", - აცხადებს კუპერი და გულისხმობს ორიგინალი ფოტოს ასლს, რომელიც ელტონ ჯონმა პირადი კოლექციიდან მართლაც გაიტანა აუქციონზე.

დაიან არბუსი კუპერის დედის გლორია ვანდერბილტის მეგობარი იყო. 1968 წელს ის თოთო ბავშვების სერიას აკეთებდა, რისთვისაც მეგობრის პატარა შვილი გამოიყენა. კუპერი დღეს დასძენს: "ვიცი, რა ემოციასაც იწვევს ფოტო მნახველში, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ისიც ძალიან კარგია, რომ მუზეუმში მოვხვდი. უბრალოდ, ერთს ვთხოვ დამთვალიერებელს, რომ ყუმბარიან ბავშვში არ ავერიო".

ყუმბარიანი ბავშვი არბუსის კიდევ ერთი ცნობილი ფოტოპერსონაჟია. ის კოლინ ვუდია. ახლა 50 წლისაა, ხოლო როცა არბუსის კამერის მსხვერპლი გახდა, სულ შვიდიოდე წლის იყო. ხელში სათამაშო ყუმბარა უჭირავს და ავადმყოფურად მკაცრი გამომეტყველება ადევს სახეზე. უცნაური აურის შექმნას მისი გარეგნობაც უწყობს ხელს - ბავშვი ძალიან გამხდარია და პოზაც არაბავშვური აქვს.

არადა, ეს მხოლოდ ერთადერთი ყველაზე შემზარავი კადრია. იგივე ფირზე არის სხვა კადრებიც, რომლებზეც ვუდი აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოზარდია, კეთილი და საყვარელი. ვუდი ეჭვობს, რომ ის ცნობილი ფოტო, აშკარად გამოკვეთილი აურით მან და არბუსმა ერთობლივად შექმნეს: "ეს პოზა ჩემით არ მიმიღია. ან ბევრი გადაღებებისგან დავიღლებოდი და ამიტომაც მივიღებდი ასეთ გამომეტყველებას, ან თვითონ არბუსი გამომიწვევდა. მგონი, სულაც საომარ თემაზე გადაღებული ფილმების პერსონაჟებს ვბაძავდი. იმ პერიოდში ვგიჟდებოდი ასეთ კინოზე".

კოლინ ვუდს ამ ერთი ფოტოსგან კიდევ ბევრი სხვა მოგონებაც დარჩა. 14 წლის იყო, როცა გააზრებინეს, რომ მასში რაღაც მანიაკური სისასტიკე იმალებოდა - ნახევარდამ მიაგნო არბუსის ფოტოს სადღაც და ბიჭს საშინლად დასცინა. მერე კლასელმაც ნახა სურათი, ვუდი მასხრად აიგდო, სურათი დააქსეროქსა და სკოლის კედლებზე მოფინა. ბავშვი შოკში ჩავარდა.

"მახსოვს, გაცეცხლებული ვიყავი არბუსზე, რომელმაც გაჩხიკული ბავშვი, მეზღვაურის ფორმითა და ყუმბარით ხელში, სხვების დასაცინად გამიმეტა".

თუმცა, ბრაზი ბავშვობიდან ზრდასრულობაში აღარ გადმოჰყოლია. დღეს კოლინ ვუდს ჰგონია, რომ მისი ფოტო ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ფოტოა, თვითონ არბუსი კი - საოცარი ფოტოგრაფი. ვუდი დასძენს:

"მან მე მარტოსულობის მომენტში დამიჭირა. იგრძნო, რომ ცუდად ვიყავი და ფოტო გადამიღო, თითქოს ამით ჩემი მარტოსულობა გაიზიარა. საერთოდაც ასე იყო, ის ფირზე აღბეჭდავდა სხვების მარტოსულობას. იმ ყველასთვის საზიარო გრძნობას, როცა გინდა კავშირი სხვასთან და არ იცი, როგორ შეხვიდე კონტაქტში. ალბათ, თვითონაც ასე გრძნობდა თავს - მარტოსულ ქალად, რომელსაც ვერავინ გაუგო და რომელიც იმედოვნებდა, რომ ამ უარყოფით ემოციაში ჩაძირვით, ფოტოობიექტივის გავლით დაძლევდა საკუთარ სევდას".

აი, ასე საინტერესოდ საუბრობს კოლინ ვუდი ფოტოგრაფზე, რომელიც წლების შემდეგ თავიდან აღმოაჩინა და შეიყვარა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ კავშირიც შედგა; ვგულისხმობთ, ფოტოკონტაქტს, რომელმაც არბუსი თავის გმირებს დააკავშირა, ორივე ერთად კი - პუბლიკას. ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანები ხომ მოჩვენებები არც ერთ შემთხვევაში არ არიან. ისინი ჩვენ შორის ცხოვრობენ და ვინ იცის, ძალიანაც გვგვანან ჩვენ. მეტროპოლიტანის მუზეუმში მიმდინარე გამოფენის მორალიც, ალბათ, ეს არის.



დავით კოვზირიძის სვეტი

# სენტ პატრიკ სასწაულმოქმედი

იცით, რატომ მოიგო 25 მაისს "ლივერპულმა"? არ მითხრათ, ინგლისელებმა ჯიგრით ითამაშესო. ან კიდევ - გაუმართლათ, როგორც "მანჩესტერ იუნაიტედს" 1999 წლის 26 მაისსო. ნურც იმას იტყვით, რომ რაფაელ ბენიტესი გენიალური ქოუჩია. არა, არა და არა! მოდი, უფრო დავძაბავ ინტრიგას და ქართულ მოყვითალო პრესაში აპრობირებული მეტად მარგინალური ხერხით გავამძაფრებ შესავალს: გინდათ გაიგოთ, რა ძალები ჩაერივნენ "ლივერპულის" გამარჯვებაში? გაინტერესებთ, სად და როდის გადაწყდა "მილანის" შოკის ამბავი? რა შუაშია მაგია და პეკინის ქუჩა? ვინ არის წმინდა პატრიკ სასწაულმოქმედი? მაშინ ყურადღებით მომისმინეთ.

ჩემს სამეგობროში წესია ასეთი - კარგ ფეხბურთს ერთად ვუყურებთ, უმეტესად ვატოსთან, პეკინზე. ეს ტრადიცია არც გასულ ოთხშაბათს დარღვეულა - მშვენიერი ამინდი, არანორმალური რაოდენობის გაყინული ლუდი და "მილანი"-"ლივერპული". მეტი რაღა უნდა უნდოდეს ფეხბურთზე შეყვარებულ ჯეელთა ჯგუფს? არც არაფერი.

შეაგდო მალდინიმ - გაფითრდა "ლივერპულზე" შეყვარებული ჩემი ძმაბიჭი, სტამბულის ბილეთებს რომ ჩალიჩობდა, რომ ვერ იჩალიჩა და დამატებითი დროისთვის უკვე იმდენი სიგარეტი ჰქონდა მოწეული, რამდენიც მენოტიმ გააბოლა 78-ის მსოფლიოს ფინალისას. მიაყარა წყვილად კრესპომ და უკვე ყველანი შევწუხდით მეორე ტაიმის უპერსპექტივობით.

შესვენებას აშკარა ლაიტმოტივად გასდევდა პესიმიზმისა და უკმაყოფილების ნაზავი შემდეგი რეპლიკებით: "არა რა, "მილანი" მაინც მაგარი კამანდაა", "ნეტა "ჩელსი" გასულიყო", "ნარდი ხომ არ გვეთამაშა?"

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ჩვეულებამ თავისი ქნა და კვლავ ტელევიზორს მივაშტერდით. ამ დროს ზარის ხმა გაისმა და ზღურბლს გადმოაბიჯა პაატამ, იგივე პატრიკმა, იგივე წმინდა პატრიკმა - ჩვენი მასპინძლის თანამშრომელმა, რომელიც ძალიან ჩქარობდა. აქვე გეტყვით, რომ წარმოდგენა არა მაქვს, რატომ, როდის და რა დამსახურებისთვის ეწოდა მას წმინდა პატრიკი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს წინასწარმეტყველური მეტსახელი გამოდგა.

ის იყო, პაატას ზღურბლი უკან უნდა გადაელახა, სტივენ ჯერარდმა ძალიან ლივერპულური თავური მიართვა "მილანს". ვატო და პატრიკი სასწრაფოდ შემობრუნდნენ გამოცოცხლებულ ოთახში გამეორების სანახავად და როცა კვლავ მიუახლოვდნენ კარს, შმიცერმა მეორე აულებელი დააგრუხუნა. სცენა კიდევ ერთხელ გამეორდა - შემობრუნდნენ, გამეორება ნახეს და საყოველთაო ოვაციების ფონზე გაემართნენ გასასვლელისკენ.

- არ წახვიდე, პატრიკ! - წამოხტა ფერზე და გუნებაზე მოსული "მენოტი".

- ძალიან მეჩქარება, თან ორი გოლი უკვე გავატანინე. კარგად იყა...

და სასწაული! ჯერარდი დააგდეს და მსაჯმა პენალტი დადო! მთელი ოთახი ფეხზე დგას, ყველა გაოგნებულია, უკვე ყველა "ლივერს" გულშემატკივრობს, უკვე ყველა გრძნობს, რომ ისტორიულ ფინალს უყურებს...

ხაბი ალონსოს ორმაგ თერთმეტმეტრიანს რომ ვზეიმობდით, სენტ პატრიკ სასწაულმოქმედი სადარბაზოდან გადიოდა და არავინ უწყის, რაზე ფიქრობდა. ყოველ შემთხვევაში, არა ფეხბურთზე, რადგან ის სოკერის ბაიბურში არაა და ალბათ, დღემდე არ იცის, რამხელა ფურცელი ჩაწერა დიდი ბრიტანეთის ისტორიაში.

■ ■ ■

ეს რაც შეეხება მაგიას და საქართველოს წვლილს "ლივერპულის" უნიკალურ ტრიუმფში. ახლა კი კიდევ ერთ ძალიან მაგარ კაცზე მინდა ვილაპარაკოთ. მას სტივენ ჯერარდი ჰქვია და ის, რაც სტამბულში გააკეთა, არასდროს დამავიწყდება.

იმ დღეს მოედანზე ორი დიადი კაპიტანი იდგა ერთმანეთის წინაშე. პაოლო ჩეზარევიჩზე ახალი რაღა უნდა ვთქვა, ლეგენდა, თაობებისთვის სამაგალითო სპორტსმენი და პროფესიონალიზმის განსახიერებაა. ძალიან სამწუხაროა, რომ მალდინი, დღეს თუ არა ხვალ, სამუდამოდ გამოეთხოვება ფეხბურთს, რადგან კაპიტანი ბევრია, ასეთი ბელადი კი - ძალიან ცოტა.

ქართველებს გადაგვავიწყდა ამ სტატუსის მქონე ფეხბურთელთა როლი და კაპიტანი მხოლოდ ის კაცი გვგონია, რომელსაც სამკლაური უკეთია და მსაჯს ეკამათება. რა ხანია არ გვყოლია ფეხბურთელი, ვინც გაჭირვებაში დაიქოქება, ერთი-ორს დაიღრიალებს, ჯიგარს მოედანზე დატოვებს და თანაგუნდელებს სინდისში შეულიტინებს.

კაპიტანი მთელი 90 წუთის განმავლობაში ლიდერი უნდა იყოს, გუნდს იქ უნდა დაეხმაროს, სადაც საჭიროება ითხოვს.

გავიხსენოთ ჯერარდი, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი, 90 კი არა, 120 წუთის განმავლობაში ომობდა მგელივით. ჯერ გოლი გაიტანა, მერე პენალტი აიკიდა, ბოლოს კი, როცა ანჩელოტიმ მარცხენა ფრთა გალესა სერჟინიოთი, ჯერარდმა დაცვის მარჯვენა ფლანგზე ჩაიჩოჩა და იქ ღვარა ოფლი და მთელი თავისი ბრწყინვალება.

ჩვენ არ გვყავს ჯერარდი.

გვყავს კაპიტანი, მაგრამ ის არ ჩანდა ბერძნებთან მეორე ტაიმში.

აი, კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო პრობლემა.

■ ■ ■

სადაც ჩემპიონთა ლიგაზე შევყოვნდით, იქ უეფას თასიც უნდა გავიხსენოთ. მით უმეტეს, რომ მეტად უსიამოვნო ამბავი გადავიტანეთ - რუსებმა, როგორც იქნა, საერთაშორისო ტურნირი მოიგეს და 24-წლიანი ირონია წყალში ჩაგვიყარეს. თუმცა, გარკვეული უპირატესობა მაინც გვაქვს: ეგენი თასების თასს ველარასდროს მოიგებენ. და კიდევ - 81-ში "დინამოს" ერთი ლეგიონერიც არ ჰყოლია, ხოლო გაზაევის არმიელების ნახევარს მილიტარისტულ რუსეთთან არანაირი კავშირი არა აქვს - არც პასპორტით, არც გარეგნობით და არც მენტალიტეტით.

ლიგის ქართულ-რუსულ ორთაბრძოლაშიც რომ ჩამოვრჩით? ორი წლის წინ კალაძემ რომ მოიგო, მაგრად გავიჯგიმეთ, მაგრამ შარშან ალენიჩევმა თან მოიგო და თან გოლიც გაიტანა ფინალში. კი გავათანაბრებდით ამ ფარულ ომს, კალაძის ძმაკაცებს ახლაც რომ ეყოჩაღათ, მაგრამ...

მაგრამ სენტ პატრიკ სასწაულმოქმედს სულ სხვა გეგმები ჰქონდა.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# ცხადაძის „ოქროს გაზაფხული"



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*თბილისის "დინამომ" საქართველოს ჩემპიონატი მე-12 მოიგო.*

მიხეილ აბაიშვილი

“ვინც არ უნდა თქვას, რომ საქართველოს ჩემპიონატი არც ინგლისის პრემიერლიგაა, არც ესპანეთის პრიმერადივიზიონი, არც იტალიის სერია A, საქართველოს ჩემპიონობა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საფეხბურთო ტიტულია. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ფეხბურთელებს იმ თავდადებისა და ბრძოლისუნარიანობისთვის, რაც მათ ოქროს მედლებისაკენ მიმავალ გზაზე გამოავლინეს”, - ეს სიტყვები “დინამოსთვის” მორიგი, რიგით მე-12 “ოქროს გაზაფხულის” მომყვანმა კახაბერ ცხადაძემ ბათუმის “დინამოსთან” მოგების შემდეგ წარმოთქვა. გუშინ ბათუმელთა დამარცხება, რბილად რომ ვთქვა, არ იყო რთული და გადაუჭრელი ამოცანა, მით უმეტეს, ისეთი გუნდისთვის, როგორიც “დინამოა”. ცხადაძის გუნდმა დამაჯერებლად და ძალების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე გაიმარჯვა. სწორედ ეს დამაჯერებლობა აკლდა ჩემპიონატის შუა გზაზე “დინამოს”, რომელიც მეორე ეტაპის დასაწყისში ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, მატჩს მატჩზე აგებდა და ოქროს მედლების მოპოვებაც ბუნდოვან პერსპექტივას ემსგავსებოდა. ცხადაძემ ახალი სიცოცხლე შთაბერა გუნდს, დაუბრუნა საკუთარი ძალების რწმენა და “დინამო” ჩემპიონი გახადა.

35-ე წუთზე ოდიკაძის ბრწყინვალე პასით ანგარიში გახსნა ლევან მელქაძემ. ეს მისი 24-ე გოლი აღმოჩნდა ჩემპიონატში. ამ მაჩვენებლით ის საქართველოს 2004/05 წლების სეზონის საუკეთესო მომბარდირი გახდა. 4 წუთში ლადო დვალიშვილმაც გამოიჩინა თავი. თანაავტორობა, უფრო ზუსტად, საგოლე პასი ისევ ოდიკაძეს ეკუთვნის. 88-ე წუთზე მატჩს, ჩემპიონატს და ტიტულისთვის ბრძოლას წერტილი დაუსვა შეცვლაზე შემოსულმა გიორგი ჭელიძემ, რომელმაც ზუსტი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. მასპინძელთა კაპიტანს ირაკლი ზოიძეს, რომელიც საქართველოს ჩემპიონატების ვეტერანია და გუშინ მეათედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თამაშში სერიოზულად ჩართვა ერთხელაც არ დასჭირვებია.

“მთავარ მწვრთნელად რომ დავინიშნე, “დინამოს” ძალიან უჭირდა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა “დინამოს” ყველა თანამშრომელს, მომსახურე პერსონალს, ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს. ეს გამარჯვება ყველას ერთად გვეკუთვნის. დიდ მადლობას ვუხდი კლუბის დირექტორატს და სამეთვალყურეო საბჭოს, რომლებმაც გუნდისთვის მძიმე წუთებში განსაკუთრებული ნდობა გამომიცხადეს. ამ თანადგომის წყალობით არა მხოლოდ კრიზისი დავძლიეთ, არამედ ჩემპიონის ტიტულიც მოვიპოვეთ”, - განაცხადა პრესკონფერენციაზე კახაბერ ცხადაძემ.

ვერცხლის მედლებისა და უეფას თასის საგზურის ბედი ურთიერთშეხვედრაში გაარკვიეს ქუთაისის “ტორპედომ” და “თბილისმა”. “ტორპედო” ერთი ქულით ასწრებდა მეტოქეს და ფრეც ხელს აძლევდა. თუმცა, მათ სათუოდ არ გაიხადეს საქმე და გამეზარდაშვილის გოლის წყალობით 1:0 დაამარცხეს მეტოქე. “თბილისი” მესამე ადგილს დასჯერდა.

**36-ე ტური**

| | |
|---|---|
| **დინამო (თბ) - დინამო (ბთ)** | **3:0** |
| **ტორპედო - თბილისი** | **1:0** |
| **ლოკომოტივი - დილა** | **0:0** |
| **კოლხეთი - სიონი** | **0:3** |
| **ზესტაფონი - ვიტ ჯორჯია** | **1:3** |

ჩემპიონთა ლიგის ტურნირში საქართველოს ღირსებას დაიცავს თბილისის “დინამო”, უეფას თასზე იასპარეზებენ “ტორპედო” და საქართველოს თასის ტურნირში გამარჯვებული თბილისის “ლოკომოტივი”, ხოლო ინტერტოტოს თასზე “თბილისი” გამოვა. უმაღლეს ლიგას დატოვებენ ფოთის “კოლხეთი” და გორის “დილა”. მათ ადგილს დაიკავებენ პირველი ლიგიდან გადმოსული ბორჯომის “ბორჯომი” და თბილისის “ამერი”.

კალათბურთი

# ახალი კაცი ქართულ კალათბურთში



*ამიერიდან ქართველ კალათბურთელებს კანადელი გორდონ ჰერბერტი გაწვრთნის.*

პაატა თოთაძე

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების უმწვრთნელოდ ყოფნას წერტილი დაესვა. შვიდთვიანი მუშაობის შემდეგ კალათბურთის ფედერაციამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა კანადელ გორდონ ჰერბერტთან. ასე რომ, ამიერიდან საქართველოს ნაკრებს მისი ხელმძღვანელობით მოუწევს თამაში და გამარჯვებების მოპოვება. ამის შესახებ გუშინ გაცხადდა სპორტ-კაფეში, კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე.

გამარჯვებები კი აუცილებლად გვჭირდება. ახლა ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე B ჯგუფში თამაშობს, ფინალურ ტურნირზე მოსახვედრად კი ჯერ A ჯგუფში უნდა ავინაცვლოთ.

თავდაპირველად ფედერაციამ მწვრთნელთა 20 კანდიდატურა შეარჩია. კანდიდატთა შესარჩევად გარკვეული სისტემა შემუშავდა, რათა საუკეთესო შერჩეულიყო. ცოტა ხნის შემდეგ კანდიდატთა რიცხვი 13-მდე შემცირდა. ბოლო ოთხი თვის მანძილზე კი მხოლოდ სამ მათგანთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ესენი იყვნენ ჰერბერტი, ონგორენი და მატიჩი. საბოლოოდ არჩევანი გორდონ ჰერბერტზე შეჩერდა.

კანადელმა სამწვრთნელო კარიერა ფინურ “კორიპიტიაში” დაიწყო. ამას მოჰყვა ფინური “ჰონკა”, ავსტრიული “ობერვარტი”, გერმანული “ვიურცბურგი”, “სკაილაინერზი”. ახლა კი ის “პარიზ ბასკეტ რასინგში” მუშაობს. აღსანიშნავია, რომ “ვიურცბურგის” გარდა ყველა კლუბს სხვადასხვა სინჯის მედალი მოაგებინა შინაურ პირველობაზე. “სკაილაინერზთან” ერთად კი ევროლიგაშიც იასპარეზა. რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, 1995-1997 წლებში იყო ფინეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი - კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი. ჰერბერტს მსოფლიო ჩემპიონატზე მოთამაშის რანგშიც აქვს მონაწილეობა მიღებული. ეს მოხდა 1986 წელს. მაშინ კანადის ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა.

ჰერბერტთან შეთანხმებისთვის ფედერაციას თითქმის ერთი თვის წინათ მიუღწევია, მაგრამ კონტრაქტის დეტალების დაზუსტებამდე ამის გახმაურებას ყველა ერიდებოდა.

ფედერაციის პრეზიდენტის ბესიკ ლიპარტელიანის თქმით, ნაკრების მიზანი 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და 2008 წლის ოლიმპიადაზე თამაშია. თუ მოკლე დროში ჰერბერტი ვერ მიაღწევს წარმატებს, ფედერაციას მასთან კონტრაქტის გაწყვეტის უფლება აქვს. გახსოვთ, ალბათ, ბრაიკოვიჩთან დაკავშირებით ფედერაციას გარკვეული პრობლემები შეექმნა. ჰოდა, ამისგან რომ თავი დაეზღვიათ, ამდენ ხანს ამიტომაც ზუსტდებოდა კონტრაქტის დეტალები. ლიპარტელიანის თქმით, ჰერბერტი ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება ევროპაში. სწრაფი კალათბურთის მიმდევარია, ჩინებულად ათამაშებს გუნდს დაცვაში და ამიტომაც მასზე შევაჩერეთ არჩევანი.

სანახევროდაა გარკვეული ნაკრების მმართველი გუნდის, ე.წ. “სთაფის” შემადგენლობაც. ჰერბერტის მოთხოვნით, მისი ასისტენტი აუცილებლად უცხოელი სპეციალისტი უნდა იყოს. საუბარია შილდსზე, თუმცა, დათანხმდება თუ არა შილდსი, ჯერ უცნობია. მეორე ასისტენტი ნუგზარ კანდელაკი იქნება. ასევე შესარჩევია ფიზმომზადების მწვრთნელი და სამედიცინო პერსონალი. ამაზეც მწვრთნელი იზრუნებს (ალბათ ისევ უცხოელებს მოუხმობს).

ახლა კი მთავარი. ჰერბერტი ივნისში რამდენიმე დღით გვესტუმრება და მისი, ასე ვთქვათ, პრეზენტაციაც მაშინ მოეწყობა. შემდეგ ის ივლისში ჩამოვა. შუა რიცხვებში მოეწყობა ორდღიანი შეკრება ინდივიდუალური ორკვირიანი სავარჯიშო გრაფიკის შემუშავების მიზნით. უშუალოდ ნაკრებს კი 1 აგვისტოდან შეუერთდება. 1-13 აგვისტოს ნაკრები იტალიაში გაემგზავრება. იქ გუნდი ხუთ მატჩს ჩაატარებს. ამხანაგურად გაეჯიბრება იტალიის ნაკრებს და დევიდსონის კოლეჯის გუნდს, შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს იტალიის, თურქეთის და ბულგარეთის ნაკრებებთან ერთად. ტურნირის შემდეგ ქართველები საფრანგეთში გაემგზავრებიან და “პარიზ ბასკეტ რასინგის” ბაზაზე გაივლიან ორკვირიან შეკრებას, 25 აგვისტოდან კი გერმანიაში გადაინაცვლებენ. იქ ჩვენი გუნდი სამ მატჩს გამართავს. სუპერთასზე ქართველების მეტოქეები იქნებიან გერმანიის, საბერძნეთის და ბელორუსის ნაკრებები.

ამის შემდეგ ჩვენი გუნდისთვის იწყება უმთავრესი პერიოდი - ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 3 სექტემბერს ფინეთში ვითამაშებთ, 7 და 10 სექტემბერს კი მაკედონიას და ლუქსემბურგს ვუპასპინძლებთ. წარმატების შემთხვევაში 17 და 24 სექტემბერს A ჯგუფში გადასასვლელი მატჩები გველის.

მოკლედ

## რონალდინიოსთვის ნაკრებში თამაში დასვენებაზე უფრო მნიშვნელოვანია

“ბარსელონას” ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდინიომ კონფედერაციის თასში მონაწილეობის მისაღებად (შეხვედრები გერმანიაში 15-29 ივნისს გაიმართება!) უარი თქვა დასვენებაზე.

“ახლა უკვე 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა ვიფიქროთ. მას, ვისაც ამ ტურნირში უნდა მონაწილეობის მიღება, ეროვნულ ნაკრების შენადგენლობაშიც მოუწევს თამაში, რათა მთავარმა მწვრთნელმა მისი დამახსოვრება შეძლოს”, - განაცხადა ფორვარდმა გაზეთ Folha de Sao Paulo-სთან ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ ნაკრებში რონალდინიოს თანაგუნდელი, მადრიდის “რეალის” თავდამსხმელი რონალდო ჯერჯერობით თავს იკავებს კონფედერაციის თასში მონაწილეობისგან. მან კარლოს ალბერტო პარეირას სთხოვა, რომ ივნისში ნაკრებში არ გამოიძახოს. მიზეზად დაღლილობას ასახელებს.

## ულიე "ლიონის" მწვრთნელი ხდება

“როიტერსის” ცნობით, “ლივერპულის” ყოფილი მწვრთნელი ჟერარ ულიე კარიერას სამშობლოში გააგრძელებს. იგი “ლიონის” თავკაცი გახდება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობამ. ულიემ მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა პოლ ლე გუენი, რომელმაც “ლიონიდან” წასვლა გადაწყვიტა.

## ლუკარელი - იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი

იტალიური კლუბის “ლივორნოს” თავდამსხმელი კრისტიანო ლუკარელი სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ქვეყნის ჩემპიონატში მან 24-ჯერ აიღო მოწინააღმდეგე გუნდის კარი და მხოლოდ ერთი ბურთით გაუსწრო “პარმას” ფორვარდს ალბერტო ჯილარდინოს. საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისთვის გამართულ ბრძოლაში მესამე ადგილი დაიკავა ვინჩენცო მონტელამ (“რომა”). მის ანგარიშზე 21 ბურთია. “მილანის” თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო მეექვსე ადგილზე გავიდა. მან ქვეყნის ჩემპიონატში 17 ბურთი გაიტანა.

## რაფაელ ბენიტესი ინგლისიდან წასვლას არ აპირებს

“ლივერპულის” მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა უარყო ხმები ახლო მომავალში მისი ესპანეთში, უფრო კონკრეტულად კი, მადრიდის “რეალში” გადასვლის შესახებ. The Independent-თან საუბრისას ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორმა განაცხადა: “მადრიდში დავიბადე. კარგად ვიცნობ “რეალს”. იქვე ცხოვრობენ ჩემი ოჯახი და მეგობრები, მაგრამ მე მართლა ძალიან ბედნიერი ვარ “ლივერპულში” და ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ კარგად მოვამზადო გუნდი მომავალი სეზონისთვის და ახალი ტიტულები მოვაპოვებინო”.

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში “ლივერპულის” მონაწილეობის საკითხი ჯერჯერობით ეჭვქვეშ დგას. ამ გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატში მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც, წესების თანახმად, ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლებას არ აძლევს. თუმცა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას არჩევნის გაკეთება შეუძლია პრემიერ-ლიგაში მეოთხე ადგილზე გასულ გუნდს - “ევერტონსა” და “ლივერპულს” შორის. ან უეფამ უნდა დაუშვას ხუთი გუნდი ინგლისიდან.

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იოჰანსონმა გაზეთ the Sunday Times-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროპული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ “ლივერპულს” მომავალ სეზონზეც მისცეს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება.

“გამარჯვებულს თავისი ტიტულის დაცვის საშუალება უნდა მიეცეს. უახლოეს მომავალში ისეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რომლითაც ყველა კმაყოფილი დარჩება”, - განაცხადა იოჰანსონმა.

## "ევერტონს" კუდიჩინის შეძენა უნდა

“ბიბისი სპორტის” ცნობით, “ევერტონი” ლონდონის “ჩელსის” მეკარის კარლო კუდიჩინის შეძენას აპირებს. 31 წლის იტალიელმა, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში პეტერ ჩეხის მოსვლის შემდეგ დაკარგა ადგილი, არაერთხელ დაიჩივლა, რომ სათადარიგო სკამზე ჯდომა უკვე მობეზრდა. თუმცა, საბოლოოდ არაფერია ცნობილი, დათმობს თუ არა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი შესანიშნავ მეკარეს, ან თავად კუდიჩინი წავა თუ არა კლუბიდან.

სხვათა შორის, კუდიჩინის გარდა, “ევერტონის” გეგმებში შედის მიკაელ ფორსელისა და სკოტ პარკერის შეძენაც.

## მარადონას ახალი საყვარელი გუნდი ჰყავს

ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ, რომელიც სტამბულში გამართულ ჩემპიონთა ლიგის ფინალს დაესწრო, აღიარა, რომ ფინალური შეხვედრის შემდეგ “ლივერპული” მისი საყვარელი გუნდი გახდა, გუნდი, რომელმაც “მილანი” დაამარცხა (მატჩამდე იგი “მილანის” გულშემატკივარი იყო!) და მეხუთედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

“ინგლისურმა კლუბმა დაამტკიცა, რომ საოცრებები მართლაც ხდება. “ლივერპულმა” აჩვენა, რომ ფეხბურთი სპორტის ყველაზე ლამაზი სახეობაა. ამიერიდან იგი ჩემი საყვარელი გუნდია. “ლივერპულის” გულშემატკივრებმა ნამდვილად გამაკვირვეს. ფინალამდე ერთი დღით ადრე მათი სიმღერის გამო ვერ დავიძინე, მეორე დღეს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს, როცა მილანის სასარგებლოდ 3:0 ანგარიშის დროს გულშემატკივრებმა ისე იმღერეს, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა”, - განაცხადა მარადონამ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV სპორტი

## სამშაბათი. 31 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკენდი
13:00 ფუტზალი. ჩემპიონთა თასი. ფინალი. “ჟერევან-სლავინჩინი” (ჩეხეთი) - “ალმაზ-ალროსა” (რუსეთი)
14:20 “ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი”. სეზონის შედეგები
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:00 “საფეხბურთო კლუბი”. რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
19:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები
21:45 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. “მილანი” - პსვ. პირველი მატჩი
23:40 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
00:10 "FUTBOL MUNDIAL"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 18:30, 22:00 პრესცენტრი
10:20, 18:45 “ქრონიკა”
10:25 “ჰარმონიის ფორმულა”
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - “როლან გაროსი”
13:15 “რკინის ფაქტორი”. “ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკი”. მეორე ნაწილი
13:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "FRANKFURT GALAXY" - "BERLIN THUNDER"
16:15 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2002 წელი. მეოთხედფინალი. "COLORADO AVALANCHE" - "SAN JOSE SHARKS". მე-5 მატჩი
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 “ბილიარდის მეუფენი”
19:25 “ვარსკვლავური სამშაბათი”
20:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. რუსეთი - სერბეთი და მონტენეგრო. პირდაპირი ტრანსლაცია
22:10 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა მექსიკიდან
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - “როლან გაროსი”. შედეგები
00:05 ახალი ამბები
00:20 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. იტალია - გერმანია

**EUROSPORT**

10:30 “ოლიმპიური თამაშები”. ტელეჟურნალი
11:00 სუპერბაიკი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
11:45 მულტისპორტი. VIP - საშვი
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:30 ფეხბურთი - ევროგოლები
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - “როლან გაროსი”
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - “როლან გაროსი”. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ფეხბურთი - ევროგოლები
22:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი. მიმოხილვა
23:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი - უნგრეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - “როლან გაროსი”. მიმოხილვა
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი - ევროგოლები
02:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
03:15 ახალი ამბები

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე. თემა: **"საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა"**

- ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების და პროდუქციის ჩაბარების საბოლოო ვადაა 2005 წლის 1 ნოემბერი,
- ვიდეორგოლები გამიზნულია საქართველოს ტელე-არხებით დემონსტრირებისთვის,

ვიდეორგოლები გადაღებული უნდა იყოს მაღალხარისხოვანი პროფესიული ტექნიკით (BETACAM),

- ვიდეორგოლების რაოდენობა უნდა იყოს არაუმცირეს ხუთი კლიპისა,

თითოეული ვიდეორგოლის ხანგრძლივობა სავარაუდოდ 30-40 წამია,

- შესრულებული სამუშაო ჩაწერილი უნდა იყოს და დამკვეთს გადაეცეს: DVD დისკზე (3 ცალი) და CD დისკზე (3 ცალი).

ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც დააკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის:**

- მსურველის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

- იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა სასამართლოდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა);

მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

**დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია:**

მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვითა და რეგისტრაციის ადგილის მითითებით),

- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე გაწეული ანალოგიური მომსახურება,

მომსახურების გაწევისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა,

- ტენდერში მონაწილის (მონაწილეთა) კვალიფიკაცია და გამოცდილება.

საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე, არაუმცირეს ხუთ კლიპზე შესრულებული სასცენარო გეგმებით. აგრეთვე, სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით:

- შესრულების ვადები (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის, შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);

ხარისხის კონტროლის მექანიზმი;

- ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში 2005 წლის 15 ივნისიდან 23 ივნისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4. ოთახი N 405.

პირველადი სატენდერო წინადადება წარდმოგენილი უნდა იყოს დახურული კონვერტით.

დაგვიანებით შემოსული განაცხადები, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა დასრულდება 2005 წლის 30 ივნისს.

საკვალიფიკაციო პერიოდში 2005 წლის 23 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით მოხდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო დაზუსტება.

დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა შერჩეულ პრეტენდენტებს 2005 წლის 4 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით 11:00 - 17:00 საათამდე, სატენდერო მოსაკრებლის - 500 ლარის გადახდის შემდეგ.

სატენდერო განაცხადის წარმოდგენისთანავე, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ პირველად სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს: ირმა დოლიძეს, ეკა მაძღარაშვილს, ლელა დაღელაშვილს, ივანე ჩხიკვაძეს ზემოაღნიშნულ მისამართზე.**

**ტელეფონები: 93. 21. 88 / 98. 74. 20. / 99. 50. 06.**

# განცხადება

28.03.2005 წ.

თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური. მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა. აცხადებს ღია ტენდერს შემდეგი საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

***co2 - ქირურგიული ლაზერული სისტემა; საოპერაციო მიკროსკოპი; ყელის; ხორხის და ცხვირის ლაზერული მიკროქირურგიული ინსტრუმენტების ნაკრები.***

*1. co2 - ქირურგიული ლაზერული სისტემა;*

ა) სიმძლავრე - 1-30 ვტ.

ბ) პიკური სიმძლავრე 200-400 ვტ.

გ) საოპერაციო ველის მუშა დიამეტრი 1.5 -3 მმ.

დ) მანიპულატორის მოქმედების რადიუსი - არანაკლებ 120 სმ.

ე) მანიპულატორის დახრის კუთხე - 3600 ჰორიზონტალზე.

ვ) გაცივების სისტემა სითხით დახურულ წრედში.

ზ) კვება - 200-240 ვოლტი 50 ჰც სიხშირე.

2) ბინოკულარული საოპერაციო მიკროსკოპი, რომელიც ერთდება co2 ლაზერთან.

ლინზები 200 დან - 450 მმ - მდე.

3) ინსტრუმენტების ნაკრები ხორხის, ყელის, ცხვირის მიკროქირურგიული ლაზერული ოპერაციების მიკროქირურგიული ინსტრუმენტები.

4) პირდაპირი ლარინგოსკოპი ფიქსატორით.

კომპლექტში უნდა შედიოდეს სისტემის მუშა მდომარეობის უზრუნველყოფის ყველა მოწყობილობა.

- მოცემული მონაცემები დამტკიცებული უნდა იყოს ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტაციით.

(ადგილი - თბილისი). ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

მომსახურების შესრულების ვადაა ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

· დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 ივნისიდან 18 ივნისის 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა, IV სართული სატენდერო აპარატი.

· სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა საკვალიფიკაციო მონაცემების დადასტურებიდან 5 დღის ვადაში.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ფიზიკური პირისათვის:

ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის;

- განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
- ლიცენზიის ასლი საქმიანობის შესახებ ნოტარიულად დამოწმებული;
- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
- სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ცნობა (სასამართლოს გადაწყვეტილება);
- წესდების ასლი;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებთან შერწყმა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა, რომ ორგანიზაციისადმი და მისი ხელმძღვანელისადმი არ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

მსურველი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს განცხადებაში მოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი/ან არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული ტენდერში მონაწილის ხელმოწერითა და ბეჭდით.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემა მოხდება კანონით დადგენილი წესით შემდეგ მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა, IV სართული, თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი, ტელეფონი: 37-96-70; 37-78-09.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება მხოლოდ ტენდერის იმ მონაწილეზე, რომელმაც გაიარა საკვალიფიკაციო შერჩევა და გადაიხადა კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი (500 ლარი) რომელიც ირიცხება მიმღები ერთიანი არასაგადასახადო (რაიონი) ანგ. N200 122 900.

საქართველოს ეროვნული ბანკი: კოდი: 220 101 900

სახაზინო კოდი.

ორგანიზაციებს რაიონული რეგისტრაციის მიხედვით:

ა/ა 300 014 040 (გლდანი-ნაძალადევი):

ა/ა 300 024 040 (დიდუბე-ჩუღურეთი):

ა/ა 300 034 040 (მთაწმინდა-კრწანისი):

ა/ა 300 044 040 (ვაკე-საბურთალო):

ა/ა 300 054 040 (ისან-სამგორი);

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს, ტექსტში მითითებულ მისამართზე.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**
**სატენდერო კომისიის აპარატი**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), ხელმეორედ აცხადებს ღია ტენდერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.28(0.5)-კმ.300 მონაკვეთის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სავარაუდოდ: 2005 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან--2005 წლის 1 სექტემბრამდე)

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 14 ივნისის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 15 ივნისის $17^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

